5 N45

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 1081 ოთხშაბათი, 1 იანვარი 1914 წ. № 1081

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ[illegible] პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ[illegible] და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. [illegible]ის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო გაზეთი“

ელიწადი მეხუთე

წელიწადი მეხუთე

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა და გაზეთს ექნება

კვირაობით სურათებიანი დამატება **კვირაობით**

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის მომწერნი არიან, 1914 წლის განმავლობაში მიიღებენ

45

სამს წიგნს

რველი წიგნი „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1. „უგვირგვინო მეფე“ ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად **სანდრო შანშიაშვილისა.** **„მიმქრალი შარავანდედი“** ისტორიული რომანი **ვ. ბარნოვისა** დასს.

მეორე წიგნი „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: **„დონ-კარლოსი“**, ტრაგედია შილერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი სამეცნიერო კრებული ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი	წლით	11 თვით	10 თვით	9 თვით	8 თვით	7 თვით	6 თვით	5 თვით	4 თვით	3 თვით	2 თვით	1 თვით
ტფილისში და მის გარეთ.	8 მ. 50 კ.	8 მ. — „	7 მ. 50 კ.	6 მ. 75 კ.	6 მ. — „	5 მ. 25 კ.	4 მ. 50 კ.	3 მ. 75 კ.	3 მ. — „	2 მ. 25 კ.	1 მ. 50 კ.	— 75 კ.
საზღვარ-გარეთ.	15 მ. — „	13 მ. 75 კ.	12 მ. 50 კ.	11 მ. 25 კ.	10 მ. — „	8 მ. 75 კ.	7 მ. 50 კ.	6 მ. 25 კ.	5 მ. — „	3 მ. 75 კ.	2 მ. 50 კ.	1 მ. 25 კ.

ცალკე ნომერი ყველგან შაურად; დამატებიანი შვიდი კაპეიკად.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., [illegible] ადრესის გამოცვლა უფასოა. იმ ხელის მომწერმა, რომელიც **სამივე პრემიის** მიღება **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **სამი აბაზი.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კაპ.) შეუძლიანთ გადაიხა- ან ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისათანავე 3 მან., 1 აპრილამდე 2 მ., თიბათვემდე 2 მან., 1 ენკენისთვემდე 1 მან. 50 კაპ., 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია: 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-მდე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახ. ქუჩაზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ Груз. газ. „Сахалхо Гаэети“ поч. ящ. 190.

ამ ნომერში 12 გვერდია.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქიშინევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

ნაგანი ნეულე- ბი	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ირურგ. სნეულე- ბანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მეღ[illegible]ძიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **[illegible]ალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ლთა და ამშობ ნეულე- ბანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. მ.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1.
ავშვთა ნეულებ	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ვიულ. ეულებ. ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი ვ ს.** ყოველ დღე 1—2.
ლ. ყუ- რის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
ვალის ნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
ან. და ნერვ. აგ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლ[illegible] [illegible] ცალკე ოთახი 5 მ. დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. [illegible] კონსილიუმი. [illegible] და შილების კატეტერიზაცია, „606“ [illegible] **ჰაერის შეზხაპუნება,** [illegible] მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1136

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

[illegible] სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუქნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის **Wasserman-ი. წამლობა „606“, „914“.** 1604

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგ. № 51.

ოთხშაბათ, 1 იანვარს,

ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ ვ. აბაშიძის და დამსახ. მსახიობის კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

ყაჩაღი არსენა

დრამა 8 მოქ. ალ. ყაზბეგისა (მოხუბარიძე). მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იშხნელი, ჟუნია, გომელაური, იმედაშვილი, სვრაული, ყიფიანი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ. სწორედ 8 ს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

რეჟისორი **მ. ქორელი.**

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება წარმოსადგ.: ჩრდილოეთის გმირნი, უგვირგვინო მეფენი, (გიორგი სააკაძე), დონ კარლოსი და სხვ.

ადმინ. ქართ. დრამ. საზოგ.

ხუთშაბ., 2 იანვარს, 1914 წ.

ქართული თეატრის დაარსების 64 წლის თავის აღსანიშნავად

გაიმართება

სადღესასწაულო წარმოდგენა.

თ-დი ი. ზარათაშვილი წაიკითხავს რეფერატს.

2) ქარ. დრ. საზ. დასის მიერ წარ. იქნ.:

დავა,

მე-4-ე მოქმ. გ. ერისთავისა.

3) მეოთხედ ახალი ორიგინალური პიესა **ი. გედევანიშვილისა:**

სინათლე,

3 მოქმ. და 7 სურათად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყ. საღ. სწორედ 8 ს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

1648 ქართ. დრამ. საზ. ადმინ.

საჯარო ლექცია

შაბათს, 4 იანვარს 1914 წ. პეტერბურგის ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის და ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორი ვ. ნ. სპერანსკი არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე:

„დედაკაცის ბედის წერა“

დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ა ნ ო ნ ს ი: 10 იანვარს შედგება მეორე საჯარო ლექცია **პროფესორ სპერანსკისა** შემდეგ თემაზე: **„ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები“.** ბილეთები ღირს 50 კ. 2 მ. 50 კ. და ამ თავითვე იყიდება არტისტიულ საზოგადოების დარბაზში შესასვლელთან. 913

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წელიწ. მეათე. ## „ნაკადულზე“ **წელიწ. მეათე.**

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან №. 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის 24 **წიგნი, მოზრდილთათვის** 12 **წიგნი.**

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:

„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“,

(მრავალი სურათებით), **გიორგი ანთელიძისა.**

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., **საზღვარ-გარეთ—7 მ.,** ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

ტფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ელ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყვარში**—ივ. საათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შალბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჰავჰანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **გარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

ქართული თეატრისა და „ახალი კლუბის“ დარბაზებში

6 იანვარს, 1914 წ. გამართული იქნება

ტრადიციონალური

თავად-აზნაურთა ბალი

ღარიბ-მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების სასწავლებლების სასარგებლოდ. ✦ ცეკვა დაიწყება ღამის 10 საათზე. ლოჟები გაღებული იქნება. ვისაც არა ჰსურს საცეკვაო დარბაზში ყოფნა, იმათთვის ღია იქნება ლოჟების „ბელ-ეტაჟი“. მანდილოსანთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. მოცეკვავეთ უნდა ეცვათ ფრაკი, სმოკინგი ან ნაციონალური ტანისამოსი; სამხედროთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი. ბილეთი ღირს 2 მან. 10 კ., სტუდ. 1 მ. 10 კ. ლოჟების დაკვეთა შეიძლება 2 იანვრიდან 1914 წ. თეატრის კასაში „ბელ-ეტაჟში“, და ცალკე ალაგებზე. ბილეთების ფასი და შემოწირულება მიიღება: დიასახლისებთან: **სტატს-დამ კნ. ოლ. ნიკ. ბაგრატიონ-მუხრანსკისთან, კნ. ანნა ალ. ბასულ ამილახვართან,** გამგე კომიტეტის თავჯდომარესთან **გ. ნ. ყაზბეგთან** (ოლღის ქუჩა № 4), და სათავად-აზნაურო სკოლის დირექტორთან ა. ბ მდივანთან (სლეპცოვის ქ. № 5, ანუ გიმნაზიაში). 1642

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული

ქართული წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

უმორჩილესად სთხოვს ყველა

იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე ქალებს და ვაჟებს,

ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, **რეჟისორ ალ. წუწუნავასთან,** ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან. 1652

ტფილისის საპოლიტექნიკო კურსები

ინჟინერ ვინოგრადოვისა,

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი.

განყოფილებანი: სამიწის-მზომლო და სასოფლო-სამეურნეო. ახლად მიიღებიან სამიწისმზომლო და საამშენებლო განყოფილებაში. კურსებზე მიიღებენ გამოუცდელად 1872 წ. წესდებით არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ, ხოლო ამაზე დაბალის სწავლით აღჭურვილთ კი გამოსცდიან. მეცადინეობა **დაიწყება** 7 იანვარს, მოწაფეთა მიღება—20 იანვრამდე. პირობებს ვგზავნით 4 შვიდ-კაპეკიან მარკის მიღებისთანავე. **კურსები** მოთავსებულია სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. პირადი მოლაპარაკებისათვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 ს.-დე. რადგანაც სამიწისმზომლო ტექნიკების დიდი მოთხოვნილებაა, ამ კურსების დამსრულებელთათვის ადგილი უზრუნველყოფილია. 1656

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულოზური წამლობა.** ხელოვნური **პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—99. 1516

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

1913 წლის 20 ნოემბრიდან
ქართვ. შორის წ.-კითხ. გამავრც. საზოგ. ქუთაის. განყოფილებამ
გახსნა ახალი სტამბა
საკუთარი — ქუთაისში —
სტამბა საუკეთესოდაა მოწყობილი და იღებს ყოველ-გვარ საქმიებს ქალაქისა და პროვინციებისას,— ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. ✦ ფასები ძლიერ ზომიერია. 1658

ახალი კლუბი
პარასკევს, 3 იანვარს 1914 წელს
გაიმართება კონცერტი
ცნობილის კომპოზიტორის დ. ი. არაყიშვილის ნაწარმოებიდან.
მონაწილეობას მიიღებენ ქ. ნ. დ. კოლოტოვისა (სოპრანო) ტ. ორდა (ბარიტონი) თავ. ი. ალ. ბარათაშვილის (ტენორი) და გ. ი. დიდმელაშვილისა (ვიოლონჩელი). დაწვრილებით პროგრამებში.
ფასები თეატრში 3 მან. 50 კაპ და ქანდარაზე 20 კ. 40 კაპეიკამდე.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1635.

ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა
მებაღე შეგირდების მიღება.
მებაღეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა აინტერესებთ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.
Тифлисъ питомники С. С. Хетагури. 1577

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ხ. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვა. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით 1462

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.
ახპიხოვი— ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3 | 4 ს.
ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.
ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
სათვალეების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3 სახ გაბაშვილისა.

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1608

ექიმი
ი. ზ. ბძლიშვილი
იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით· 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. 916

ექიმი კბილისა პ. მ. მუ ლია-კუხალეიშვი
გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე, № დაც ტფილისის კერძო სამკუ ლოა მიხაილოვის პროსპექტის სასტუმრო ვეტცელის ახლო. დილით 9—2 საათ. საღ. 4—7

ექიმი ი. ი. ბერიშვი სწამლობს სამ განოთა, ათაშანგისა ვასსერმანის რეაქციით იკურ. შინაგ. მოწამლ. სისხლს. მიღება შუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედი № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სა სტო განყოფ. პირდაპირ.

ქ. გორში
ექიმი (დოქტორანტ მ. დ. წინამძღვრიშვ
ყოფილი ორდინატორი ხარკ უნივერსიტეტისა და სამედიც ინსტიტუტის შინაგან სნეულ კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მყოფობანი გულისა, ფილტვისა და ს სპეციალურად. იღებს დილის 9—12 სა გორის სამკურნალოში, დანარჩენ დრო ხლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზი დაპირ.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვი
ორდინატორად ნამყოფი კოევ ვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, გამართულია ელექტრონის სამკ ლო კაბინეტი.

სახლი აპასთუმან
ქვისა, სამ-სართულიანი, გამოსა სასტუმროსათვის, სანატორიუ თვის და სხვა. იჯარით გაიცემა წ. პირველ იანვრიდან.
ცნობების მიღება შეიძლება: ტ ლისში, მიხეილის ქუჩა, № 12
914 კნ. სუმბათაშვილისა

1913 წელიწადი

1913 წელიწადი ჩვენში

წელიწადი წელიწადს მისდევს და ჩვენი ცხოვრებაც წინ მიდის. წინ მიდის არა მხოლოდ დროს მიხედვით, არამედ თავისი შინაგანი თვისებითაც. ყოველ-დღიური პრესა ოდნავადაც ვერ გამოხატავს ცხოვრების იმ დუღილს, რომელიც დაუსრულებლივ სწარმოებს და დროთა ბრუნვაში ჰქმნის ახალ-ახალ ღირებულებებს. დაუსრულებელი ეკონომიური ზრდა, სოციალური განახლება, გამდიდრება კულტურული ცხოვრების შინაარსისა, გაღრმავება იდეიური, —ყველა ეს თვალსაჩინოდ ეჩნევა ჩვენს ცხოვრებას, რომლის სრულს სურათს ყოველ-დღიური პრესა ვერ მისცემს. მიუხედავად ამისა, მაინც მოთხოვნილებადა აქვს გადაქცეული ადამიანს, ანგარიში გაუწიოს განვლილ წელიწადს და თვალის ერთი გადავლებით მაინც განიახლოს მეხსიერებაში, რა მოჰხდა ამ წელიწადს, ახალი რა შეჰმატა ისტორიულ წარსულში ჩაბარებულმა წელიწადმა.

ჩვეულებრივად ამ გვარ მიმოხილვებს ქრონოლოგიურის წესით დაიწერენ ხოლმე. მაგრამ ჩვენ გვინდა ამ წლის ვილაპარაკოთ და მკითხველის ყურადღება მივაქციოთ სულ სხვანაირ მოვლენაზე. როგორც თავმჯდომარე რომელიმე საზოგადო კრებისა, დღიურ წესრიგის განხილვაზე აუწყებს საზოგადოებას, რა დანაკლისი განიცადა მან მიმდინარე წელს და მხოლოდ იმის შემდეგ გადადის მიმდინარე საკითხებზე, ისე ჩვენც გვინდა დავიწყოთ იმ დანაკლისიდან, რომელიც ჰხვდა წილად ქართველ საზოგადოებას 1913 წელს. არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებაზე მოგახსენებთ. მთელი შეგნებული ქართველობისთვის საზოგადოდ და ჩვენი რედაქციისთვის კერძოდ განსვენებული არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალება ფრიად სამძიმო დანაკლისი იყო. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე არჩილ ჯორჯაძემ განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა და მაშინვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. ეს აიხსნება არა მხოლოდ არჩილ ჯორჯაძის პირადი თვისებებით, არამედ იმითაც, რომ მან მოახერხა გარკვეულ ფორმულაში ჩამოყალიბება მთელი შეგნებული საქართველოს მისწრაფებისა. ისტორიული მნიშვნელობის საკითხი ნიჭიერმა პუბლიცისტმა თავისი მწერლობით ჩამოაყალიბა და თვით ისტორიულ პიროვნებად გადაიქცა. რაც მეტი დრო გავა, საქართველოს პოლიტიკური იდეალი რაც უფრო პოპულიარული გახდება, რაც უფრო დავუახლოვდებით იმ იდეალს, რომელსაც ყოველი შეგნებული ქართველი გულში ატარებს, მით უფრო მეტად გაიზრდება ხალხის თვალში არჩილ ჯორჯაძე და მით უფრო მეტად შეიმოსება შარავანდედით მისი სახელი. სავსებით არჩილ ჯორჯაძე დაფასდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს ეროვნული განვითარება თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივა, ასეთი იყო არჩილ ჯორჯაძე და ასეთი ადამიანი დაჰკარგა საქართველომ წარსულ წელიწადს.

—

ის იყო გადავდგით ფეხი მეცამეტე წელიწადში და ბოლოც მოეღო იმ ბრძოლას, რომელიც თავად-აზნაურთა წრეებში სწარმოებდა. მრავალი საქმეებით იყო დატვირთულ თავად-აზნაურობა: გადაწყვეტას ელოდა ისეთი საკითხები, რანაირიც არის კახეთის რკინის გზა, დროებით ვალდებულ გლეხთა ლიკვიდაციით მიღებულ ფულის უტილიზაცია და მრავალი სხვა მიმდინარე საკითხი, რომელთა გადაწყვეტასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის. დიდის ბრძოლის შემდეგ არჩეულ იქმნა მარშლად თ-დი კ. აბხაზი. მას შემდეგ შეწყდა ბრძოლა თავად-აზნაურთა წრეებში და ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. დადგა დრო დადებითი მუშაობისა, და, მართალიც, ჩვენა ვხედავთ, რომ თ-დ აბხაზის მეთაურობით კახეთის რკინის გზის საქმე გამობრუნდა და დასრულდა ისე, როგორც ფართო საზოგადოებას ჰსურდა რომ დასრულებულიყო. სწორედ ამ დროსვე დაიწყო პრესაში ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ გამოეყენებინათ საზოგადოებრივ რამ საქმესთვის ნაწილი იმ ფულისა, რომელიც უნდა მიიღონ მემამულეებმა გლეხთა დროებით ვალდებულების მოსპობის შემდეგ. ლაპარაკი ბევრი იყო, პროექტებიც კი დაიწერა, მრავალი პროექტიც, მაგრამ საქმე ოდნავადაც ვერ წაიწია წინ და არც არავინ იცის, განხორციელდება თუ არა საზოგადოების იმედი.

რახან თავად-აზნაურთა საქმეებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აღვნიშნავთ ორ უმთავრეს მოვლენას, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ, და რომელნიც დაკავშირებულნია თავად-აზნაურობასთან, როგორც აქტიურად მოქმედ ელემენტთან. ჩვენ მოგახსენებთ ხიზანთა და პოლიტეხნიკუმის საკითხთა შესახებ. 1913 წელს თავად-აზნაურთა საკრებულო ყურადღების ცენტრად გადაიქცა, რადგანაც ორივე ზემოხსენებული საკითხის შესახებ თავად-აზნაურობამ განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირა. ამასთანავე ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხიზანთა საკითხი იმ სახით, როგორც იგი წარმოდგენილი აქვს თავად-აზნაურობას, ახალ მარშლის ხელში მემკვიდრეობით გადმოვიდა, პოლიტეხნიკუმის საკითხი კი მის დროს დაიწყო და მის ხელშივე დაბოლოვდა. მკითხველს უეჭველია კარგად ეხსომება ისტორია ორივე საკითხისა. ამიტომ დაწვრილებით აღარ აღვნიშნავთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ხიზანთა საკითხში თავად-აზნაურობამ განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირა. მთავრობის კანონ-პროექტს, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერავის დააკმაყოფილებს, თავად-აზნაურობამ დაუპირისპირა თავისი საკუთარი მოსაზრებანი.

თავად-აზნაურობა დიამეტრალურად წინააღმდეგ პოზიციაზე იდგა და ჰსურდა ხიზნები გამოეცხადებინა მოიჯარადრეებად. ამას, რასაკვირველია, თავისი შედეგებიც მოჰყვებოდა. ათასნაირი შეიძლებოდა ეს შედეგი; ყველა მათ ჩამოთვლას და დახასიათებას აქ არ შევუდგებით, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ მათ არაფერი საერთო ექნებოდა ხიზნების მოწყობასთან, ხიზნების მიწადმფლობელობის მოწესრიგებასთან. საკითხი საქართველოდან პეტერბურგში გადავიდა, ჩვენი შინაური წრეებიდან სახელმწიფო სათათბიროში. მისი ასე თუ ისე გადაწყვეტა უკვე 1914 წლის საქმე იქნება.

პოლიტეხნიკუმის საკითხშიაც თავად-აზნაურობამ დიდი როლი ითამაშა. ეს საკითხი თავის-თავად არც იმდენად დიდ-მნიშვნელოვანია, რამდენადაც, ვსთქვათ, იგივე ხიზანთა საკითხი, მაგრამ შედეგები კი ფრიად თვალსაჩინო მოიტანა. თავდაპირველად პოლიტეხნიკუმის საკითხს არავითარი სიმწვავე არა ჰქონდა. თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, ვალდებული იყო ასე თუ ისე დახმარება გაეწია მომავალ უმაღლეს სასწავლებლისთვის. თავად-აზნაურობამაც, რაკი დარწმუნდა, რომ ნავთლუღი სრულიად შეუფერებელია პოლიტეხნიკუმისთვის, გამოსძებნა ადგილები საბურთალოზე, იყიდა და შესწირა პოლიტეხნიკუმს. ასე გაჩნდა დავა ნავთლუღსა და საბურთალოს შორის. საუწყებათა შორისო კომისია ობიექტიურად იხილავდა ორივე ადგილის ღირსება-ნაკლულოვანებას და მისი ობიექტიური მსჯავრი არავითარ აღშფოთებას არ გამოიწვევდა, ერთბაშად პოლიტეხნიკუმის საკითხის გარშემო, ბაქოს კაპიტალისტებისა და სხვათა ზედ-გავლენით, ფრიად არა სასიამოვნო ატმოსფერა რომ არ შექმნილიყო. ზემოხსენებულმა წრეებმა ულტიმატუმიც წამოაყენეს და ამით თავისუფალი, ობიექტიური მსჯავრი საუწყებათაშორისო კომისიისა შეუძლებელი გახადეს. ამ განსაკუთრებულმა ატმოსფერამ გამოიწვია აღშფოთება ქართველ საზოგადოებაში, რომლის ყველა წრე თითქოს ერთნაირად იყო შეურაცყოფილი. რა თქმა უნდა, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც ბევრი რამ იყო გაზვიადებული და წრეს გადასული. მაგრამ საპოლიტეხნიკუმო ადგილის არჩევამ და მთელმა იმ კამპანიამ, რომელიც მის გარშემო ასტყდა, ბევრს აუხილა თვალი და დაანახვა ბევრი რამ ისეთი, რასაც დღემდის მხოლოდ საქმეში ღრმად ჩახედული ადამიანი თუ ჰხედავდა.

ბევრი რამ საყურადღებო გამოირკვა, ცხადი გაჰხდა სომხის ბურჟუაზიული წრეების სულისკვეთება, მაგრამ ამასთანავე ერთად ყოველი შეგნებული ადამიანისთვის ცხადი გაჰხდა ისიც, რომ ამნაირის გზით სიარული ყოვლად შეუძლებელია, რომ აუცილებლად საჭიროა მეზობელ ერთა მოწინავე ნაწილმა გამოჰყოს თავის წრიდან ელემენტები, რომლებიც ერთმანეთის აზრს გაიგებენ და გამოსძებნიან საფუძველს თანამშრომლობისას. მეტად მავნებელია ასეთი მდგომარეობა ორივე ერისთვის, და ამიტომ არა გვგონია სომხის საზოგადოებაში არ მოიძებნებოდეს ისეთი ელემენტები, რომელთაც ეს ესმოდეთ. დაე, მომავალმა წელმა მაინც გვაჩუქოს ეს თანხმობა!

—

ერთი იმ თვალსაჩინო მოვლენათაგანი, რომლის გარშემოც ტრიალებდა საზოგადოებრივი აზრი წარსული წლის განმავლობაში, იყო ილია ჭავჭავაძის ძეგლის კურთხევა. ილია ჭავჭავაძის სახელმა წარსულ წელს ორნაირი დაფასება მიიღო: ქართველი საზოგადოების მადლიერმა ნაწილმა მას ძეგლი აუგო, თაყვანისმცემლებმა მისი თხზულებათა ძვირფასი გამოცემა მისცეს საზოგადოებას, უმადურმა ნაწილმა კი ცნობილ პროტესტების ვაკხანალიაში გაჰხვიეს მისი სახელი. ჩვენი ცხოვრების მემატიანე გვერდს ვერ აუხვევს იმ გარემოებას, რომ მაშინ, როდესაც ქართველი საზოგადოების ნაწილი თავის საუკეთესო მომავალს ძეგლს უგებდა, გვერდით მისივე თანამემამულე ბნელს მუშაობას სწევდა იმ დიადი შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად, რომელსაც ყოველთვის ახდენდა ტრაგიკულად მოკლული მგოსანი ქართველ საზოგადოებაზე. 1913 წლის ისტორიის ფურცლებზე კვლავ აღიბეჭდა ერთის მხრით უდიდესი თანაგრძნობა და, მეორეს მხრით, უპატივცემლობა მგოსნისადმი, რომელიც თავის მშობელ ერის საკეთილდღეოდ იღწვოდა და სისხლიც მშობელ მიწაზე დაანთხია. ღმერთმა ჰქმნას წარსული წელიწადი უკანასკნელი წელიწადი იყოს ასეთი.

—

წარსული წლის თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ახალი ეგზარხოსის დანიშვნა. ქართული ეკლესიის მდგომარეობა ნორმალურად ვერ ჩაითვლებოდა აქამდის და ვერც ეხლა ჩავთვლით მის მდგომარეობას ნორმალურად. საკითხი საქართველოს ავტოკეფალიისა ჯერ ისევ დაგასაწყვეტია და არც არავინ იცის, როდის დადგება დრო მისი გადაწყვეტისა. მაგრამ ავტოკეფალიის გადაწყვეტამდისაც ქართულ ეკლესიისთვის ბევრი რამ სასარგებლო შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მის მმართველებს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ და ქართული ეკლესია პოლიტიკურ ექსპერიმენტების ასპარეზად არ გადაექციათ. მოსალოდნელი იყო, რომ ისტორიულ წარსულში გამდიდრებული და გაძლიერებული ქართული ეკლესია ცხოვრების ახალ პირობებში უფრო განვითარდებოდა, მაგრამ ამას ჩვენ ვერა ვხედავთ. პირ-იქით ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, რანაირი გაუგებრობა ადიმართა ქართველ სამღვდელოებისა და ეკლესიის უმაღლეს მმართველის შორის. განიდევნა ყველასაგან პატივცემული ეპისკოპოსი კირიონი, ეპისკოსი დავითი იძულებული გახდა სამშობლო ქვეყანას მოჰშორებოდა. მოიგონეთ, რანაირი ისტორია დაატყდა თავს დიდუბის ეკლესიას, რანაირ ეროვნულ ქიშპობის ასპარეზად გადააქციეს ქართველების ძველის-ძველი ეკლესია? ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ნორმალურად ვერ ჩაითვლება და არაფერი საერთო არა აქვს იმ მშვიდობიანობასთან, რომლის შესახებაც ხშირად სწერენ ხოლმე ზოგიერთი გაზეთები.

ახალმა ეგზარხოსმა მოსვლისთანავე განაცხადა, მე მინდა მშვიდობა მოვიტანო ქართულ ეკლესიაშიო. ეს მშვიდობა, რომელიც შეიძლება სხვა და სხვანაირად ესმოდეს ადამიანებს, დიდი ხანია სწყურიან ქართულ ეკლესიას. მაგრამ ერთი მაინც უნდა ითქვას: მშვიდობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დამყარდეს, როდესაც სათანადო პატივისცემით მოექცევიან ქართულ ეკლესიას და იმუშავებენ მის ასაყვავებლად. მომავალმა წელიწადმა უნდა გვიჩვენოს, სიტყვა საქმედ როგორ იქცევა.

—

წარსული წელიწადი ქართული მუსიკისთვისაც თვალსაჩინო წელიწადი იყო: ამ წელს ქართველმა საზოგადოებამ პირველად მოისმინა ქართული ოპერა ბ-ნ ზ. ფალიაშვილისა და ფრიად შინაარსიანი კონცერტი ბ-ნი დ. არაყიშვილისა. ე მაც და მეორემაც დაუმტკიცა რთველ საზოგადოებას, რომ რთული მუსიკა განვითარების ადგილი და, შორს აღარ არის ის როდესაც იგი ევროპიულ მუსი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს. უ ველია ყველას ეხსომება, რა აღ ცებით შეჰხვდა ქართველი საზო ლოება ფალიაშვილისა და არაყიშ ლის კონცერტებს; ყველას ეხსომ ბა, რანაირი სადღესასწაულო ფერი ედო მაშინ თეატრის დარბ ეს საუკეთესო დამამტკიცებელი ბუთია იმისი, რომ თვით საზო ლოებასაც გაჰღვიძებია მოთხო ლება სერიოზული ეროვნული სიკის მოსმენისა. იქ, სადაც მოთ ვნილება არსებობს, უეჭველია ბადებიან ისეთი პირნიც, რომელ ამ გაღვიძებულ [illegible] ხოვნილებას დააკმაყოფილებენ მხრით ბ-ნთ არაყიშვილისა და ლიაშვილის კონცერტები თვალ ჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალ

—

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია ნიშნოთ იუბილეი წინამძღვრი კარის სკოლისა და არტისტის მესხიშვილისა.

—

ჩვენის აზრით, მიმოხილვის დამ რი გვერდს ვერ აუხვევს ისეთს ვლენებსაც, რომლებიც იდეო სფეროს არა სცილდებიან, მაგ რომელთაც ძალიან დიდი საზო დოებრივი მნიშვნელობა აქვთ. მოგახსენებთ იმ იდეიურ მოძრაო შესახებ, რომელიც დასელთა რის სწარმოებს. ეროვნული ერთი იმ საკითხთაგანი იყო, ლიც ყოველთვის ჰყოფდა და ეხ ჰყოფს ქართველ საზოგადოებას უმთავრეს ბანაკად. დასელები, თ დასელის თქმითვე, დღემდის უ ეროვნული ნიჰილისტები იყვნენ, ი. პირდაპირ უარჰყოფდნენ ერო ნულ საკითხს და არა სცდილობ ნენ ასე თუ ისე გადაეწყვიტათ ი 1913 წელიწადი ამ მხრით უფრო ყოფიერი გამოდგა. დასელთა წრე ში დაიწყეს ახალი გზების ძებნა. დგანაც ძველი გზა დამაკმაყოფი ბელი ვერ გამოდგა. დღეს ყვ ავტონომისტი ხალხის მტრად არის გამოცხადებული მხოლოდ ტომ, რომ იგი ავტონომისტია; პ იქით, გვესმის ისეთი რამაც კი, რ თვით დასელთა შორის არიან ავტ ნომისტები. 1913 წელს ეს განსა თრებით თვალსაჩინო გაჰხდა. პროცესი იდეიური განახლებისა დ ყველა ღირებულებათა ხელახ შეფასებისა, უეჭველია, აღარ შეჩე დება და თავის ბუნებრივ გასავა იპოვის. შეიძლება გამოჩნდნენ ი თი პირები, რომელნიც, ძველ ტ დიციებზე აღზრდილნი, წინააღმ გობის გაწევას მოისურვებენ, მ რამ ერთხელ ამოძრავებული ა მაინც თავისას გაიტანს და დღეს ა ხვალ სასურველ დასკვნამდე მივა.

ლტურული მუშაობა საქართველოში
1913 წელს.

სეთი ერებიც-კი, რომელნიც ბე- ერები არიან დამოუკიდებელ ებით, საჭიროებენ საკულტუ- დაწესებულებებს. მართალია, მა- ულტურული ცხოვრება მხოლოდ საზოგადოებებში არ გამოიხატე- მაგრამ მათ მაინც დიდი მნიშვ- ობა აქვთ თავისუფალ ერების ვრებაში. რაღა თქმა უნდა; რომ უკიდებულ ერთა ცხოვრებაში ლტურო დაწესებულებათ ერთი რველესი ადგილი უჭირავს. რაც მეტია საკულტურო დაწესე- ება, მით უფრო მაღალ საფე- ზე სდგას ერის კულტურული ვრება; და რაც უფრო ცოტაა ცხვი ასეთ დაწესებულებათა, მით რო დაქვეითებულია კულტურუ- ცხოვრება ამ ერისა. ამიტომ ლტურულ დაწესებულებათა ცხო- ბის განხილვა რაოდენადმე მაინც ავცემს სურათს საერთო კულტუ- ლი ცხოვრების განვითარებისას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ჩვენ საკულტურო დაწესებულე- ა შორის უპირველესი ადგილი ირავს ქართველთა შორის წერა- ხვის გამავრცელებელ საზოგა- ებას. ამას მოწმობს ის გარემოე- რომ მშვენიერი ნიადაგი აღმოა- ა, სადაც-კი მისი განყოფილება ხსნა, ამასვე ამოწმებს ის სიყვა- ლი და თანაგრძნობა ხალხისა, მელიც გამოიხატება როგორც ვრად ჩაწერით, ისე სხვა რაიმე ნებრივ თუ ზნეობრივ დახმარება- ამასვე ამოწმებს ის გარემოება, უფილა არც ერთი ღირსშესა- მნავი ანდერძი, სადაც ამ საზო- ოებისათვის ნაანდერძევი არ ყო- ლიყოს რაიმე. ეს ნდობა და სიყვარუ ათი წლობით აქვს მოხვეჭილი სა- გადოებას და რაც ხანი გადის, უფრო იზრდება და ღრმავდება სიყვარული ხალხის გულში. 13 წლის 1 იანვრისათვის წევრთა ცხვი იყო სულ განყოფილებე- ნად 2283; 1913 წლის განმავ- ობაში კი წევრთა რიცხვმა თითქ- ნახევრით იმატა. 1914 წლის 1 ვრისათვის წევრთა რიცხვი დაახ- ოვებით*) 3200 აღემატება.

1913 წლის 1 იანვრისათვის სა- გადოებას 19 განყოფილება ჰქონ- : ბათუმში, ბაქოში, ბორჯომში, რში, გუდაუთში, თელავში, ზუგ- დში. კავკავში, ლიხაურში, ოჩამ- რეში, სამტრედიაში, სენაკში, ონალში, სოხუმში, ფოთში, ქუ- ისში, ყვირილაში, ჰიათურაში და ნში. წარსული წლის განმავლო- ში მიემატა შვიდი განყოფილება მდეგ ადგილებში: მახხანში, ხი- სთავში, ტუაპსეში, ვანში, ერე- ში, განჯაში და ახალ-ციხეში. 13 წლისათვის საზოგადოებას ნდა 16 სკოლა. აქედან, ა) ვის ხარჯით ინახავდა: ატენისა, რგეთისა, გომარეთისა, საგურამო- ყალამშიისა, ბათუმისა, ბაქოსა, ლავისა, კავკავისა და სოხუმის ოლებსა. ბ) საზოგადოება ინახავდა ლაქისა ან სოფლის დახმარებით სკოლას: ნავთლუღის, წინარე- ა და გიორგიწმიდისა. გ) ორ ოლას: ქუთაისისა და სენაკის რთულ სათავად-აზნაურო სკო- ებს ინახავს ქუთაისის საადგილ- ულო ბანკი. დ) ტფ. ქალთა სა- ელმოქმედო საზოგადოების სკო- ას-კი საზოგადოებამ დახმარება მის- . წარსული წლის განმავლობაში მწუხაროდ დაიხურა ერთი სკოლა: ორგიწმიდისა, ამაში ბრალი საზო- დოებას არ უდევს; მიზეზი ის არის, ამ სახალხო სკოლების დირექციამ ოთქოს ჯიბრით ამ სოფელში მეო- სამინისტრო სკოლა გახსნა. იმ როს, როდესაც საზოგადოების სკოლის შესანახად თვით სოფლის საზოგადოება იხდიდა ხარჯებს, სამინისტრომ თვით შეძლია ფული სოფლელებს სკოლის გასახსნელად. სოფლელებმა პირობები არ შეასრულეს და საზოგადოების სკოლა დაიხურა. მაინც ეს მოვლენა ფრიად არა სასიამოვნოა.

სამაგიეროდ წელსვე გაიხსნა ორი სკოლა სოფ. შრომაში და ქ. ფოთში. ამ სკოლებში სწავლობდა 2000-მდე მოწაფე. საზოგადოებას ჰქონდა 56 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, 1913 წლის განმავლობაში გაიხსნა კიდევ ცხრა ახალი, უმეტეს ნაწილად დასავლეთ საქართველოში. საყურადღებოა ცნობები თუ ვინ სარგებლობს ამ ბიბლიოთეკებით: ათი სოფლის ბიბლიოთეკა-სამკითხველოში ხელის მომწერთა რიცხვი ყოფილა სულ 1209, აქედან კაცი—804, ქალი—232. მათ რიცხვში; თავად-აზნაურნი- 117, სასულიერო წოდ. 63 გლეხი—302, მუშა—196, მოწაფე 227 და სხვანი 67.

11 ბიბლიოთეკა-სამკითხველოში*) ერთი წლის განმავლობაში მკითხველები ყოფილან სულ 52119 მათ რიცხვში: ქალი—5013 და კაცი—47106. აქედან თავად-აზნ.—1725, სასულიერო წოდ.- 2246, გლეხი—6054, ვაჭარი—4879, მუშა—17000, მოწაფე—9441 და სხვანი 644. როგორც ვხედავთ წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოსიარულეთა კონტინგენტს შეადგენს უმთავრესად გლეხობა და მუშები.

წელს გამგეობის განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული სექციების დაარსების საკითხს. საზოგადო კრებებზე არა ერთხელ გამოთქმულა ის აზრი, რომ საზოგადოებას აუარებელი საქმეები აქვს და გამგეობის წევრები ვერ ასწრებენ ყველაფრის შესრულებას. საზოგადო კრებაზე პრინციპიალურად გადასწყდა საკითხი გამგეობასთან სექციების დაარსების შესახებ. არჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელმაც გამგეობასთან ერთად ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შეიმუშავა მოხსენება, რომელიც მიღებულ იქნა უკანასკნელ საზოგადო კრების მიერ წარსული წლის ნოემბერში. ამ მოხსენების მიხედვით საჭიროდ იქნა აღიარებული, და საზოგადოების წევრებისაგან აირჩიეს ოთხი სექციის შემადგენლობა; საგამომცემლო, სასკოლო, სამუზეუმო და ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი სექციებისა. ყველა ეს სექცია იარსებებს გამგეობასთან და მოქმედებს გამგეობის ერთ-ერთ წევრის ხელმძღვანელობით. სექციების თავმჯდომარებად დაინიშნენ გამგეობის წევრები: არ. ჯაჯანაშვილი—საგამომცემლო სექციისა, ლ. ლ. ბოცვაძე—სასკოლო, დ. კარიჭაშვილი—სამუზეუმოსი და შ. დედაბრიშვილი—ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი. სექციებმა უკვე დაიწყეს მუშაობა. წარსული წლის განმავლობაში საზოგადოებაში შემოვიდა დ. სარაჯიშვილის სასტიპენდიო თანხა; აგრეთვე განთავისუფლებულ იქნა ვალისაგან სამუზეუმო ადგილი—„ფიქრის გორაზე“; დამტკიცდა გოგებაშვილისა და ხახანაშვილის ანდერძები. წელსვე დასრულდა ი. ჭავჭავაძის ძეგლი და მოხდა მისი კურთხევა. სტიპენდიები წელს თითქმის იმავ მდგომარეობაში იყო, როგორც შარშან. საზოგადოებას ჰქონდა სტიპენდიები: ძმ. ზუბალაშვილების სახელობის—თექვსმეტი და ღოღობერიძის სახელობის—სამი. იანვრიდან მიემატება სარაჯიშვილის სახელობის ოთხი სტიპენდია. მხოლოდ ყოველ წლობით თითო. ეს სტიპენდიები მიეცემა იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მოისურვებენ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლების მიღებას.

წელს საზოგადოებამ დაჰკარგა ერთი უძვირფასესი წევრთაგანი. გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც თავისი ნაწერები უანდერძა საზოგადოებას.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

ჩვენი ერის კეთილდღეობა მომავალში სასოფლო მეურნეობაშია, ყოველი ღონის ძიება უნდა ვიხმაროთ მეურნეობის ყველა დარგის აყვავებისა, რადგან საქართველოში მშვენივრად ვარგობს თითქმის ყველა კულტურა. პატარა დანია აყვავებულია მეურნეობის შემწეობით. ბევრი ნაწარმოები დანიის სასოფლო მეურნეობისა ჰკვებავს უცხო ქვეყნების ბაზრებს. მით უმეტეს შესაძლოა ეს საქართველოს უხვ ბუნებაში, თუ კი პრიმიტიული კულტურა შეიცვლება შესაფერი მაღალი კულტურით. სამწუხაროდ ვერ ვიტყვით, რომ ქართველი ინტელიგენცია საკმაო ყურადღებით ეპყრობოდეს ამ საქმეს. გლეხობას და საერთოდ სოფლის მეურნეთ, სიღარიბისა და უცოდინარობის გამო, თავი არა აქვთ გაუძღვნენ ახალ კულტურას და არჩიევენ ადამის დროინდელ პრინციპებს. ჩვენში სასოფლო მეურნეობის აღორძინების მნიშვნელობა კარგად შეიგნო ერთმა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომელმაც სამი—ოთხი წლის წინეთ თავ. დიმიტრი ჩოლოყაშვილის მეთაურობით დაარსა ტფილისში ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. ძნელი იყო ამ საზოგადოების მიერ ნაკისრი საქმე; მას უნდა შეესრულებინა ის, რაც ყოველი ქართველის, მაშასადამე მთელი ქართულ საზოგადოების მოვალეობას უნდა შეადგენდეს. მით უფრო ძნელი იყო, რომ პირველადვე მოთხოვნილება დიდი იყო, საქმე აუარებელი, საჭირო თანხები კი სრულებით არა, და ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სრულებით არ გვყავს სხვა და სხვა სამეურნეო დარგებისათვის მომზადებულნი პირნი, მიუხედავად ამისა 1912 წელს (პირველი წელია საზოგადოების პრაქტიკულ მოღვაწეობისა) საზოგადოება პირნათლად გაუძღვა საქმეს, გადალახა ბევრი დაბრკოლებანი და პრაქტიკულად განახორციელა ბევრი სამუშაო ქართლსა და კახეთში. 1913 წლის განმავლობაში, რასაკვირველია, საზოგადოება უფრო მტკიცე ნიადაგზე იდგა, რადგან მოქმედების პირველმა წელმა დაანახვა, თუ რა არის საჭირო, რას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და სხვ., ერთი სიტყვით ცხოვრებამ თავის თავად წამოაყენა საკითხები, რომელზედაც მოუხდა პასუხის გაცემა საზოგადოებას. წარსულ წლისათვის საზოგადოებას ნავარაუდები ჰქონდა ხარჯთაღრიხვაც 25 ათასი მანეთი. მაგრამ სამწუხაროდ საზოგადოებას იმედები გაუცრუვდა; თავად - აზნაურობისაგან მხოლოდ $12^1/_2$ ათასი მანეთი მიიღო და ამის გამო მოუხდა განზრახულ გეგმის შევიწროება. რათა ეს გეგმა ძლიერ არ შევიწროებულიყო მოახმარა მას მიწად-მოქმედების დეპარტამენტისაგან მიღებული დახმარება ზოგი განსაკუთრებული დანიშნულებისამებრ და ზოგიც სესხობრივ სხვა დარგსა. დეპარტამენტისაგან საზოგადოებამ მიიღო 3640 მან. და დაპირებისამებრ დეკემბერში ელოდნენ 5000 მან. ასეთი იყო ქონებრივი მხარე საზოგადოების მდგომარეობისა. იგი არც თუ ისე სახარბიელოა; რადგან 15—20 ათასი მანეთით შეუძლებელია მეურნეობის ყველა დარგში თვალ-საჩინო რამ გაკეთდეს ხალხისათვის. მატერიალური ხელმოკლეობა ერთად ერთი დამაბრკოლებელი მიზეზია საზოგადოების გაფართოებისა, რადგან იგი აიძულებს საზოგადოებას ვიწრო ხაზით შემოფარგლოს თავისი მოქმედება. მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოდ დავინახავთ, საზოგადოებამ ბევრი რამ გააკეთა ამ წლის განმავლობაში. როდესაც საზოგადოების მოქმედებაზე ვლაპარაკობთ უმთავრესად საქმეში უნდა ვიქონიოთ საბჭოს მოქმედება.

არც ერთი საზოგადოების კრებები არ იყო ასეთი მრავალ რიცხოვანი და მუყაითი, როგორც სამეურნეო საზოგადოებისა. კრებები თითქმის ყოველ კვირას იმართებოდა. ქართული საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა სამეურნეო საზოგადოებისადმი, რაც გამოიხატა იმაში, რომ საბჭოს ყოველ კრებას თუ საბჭოს წევრთა რიცხვზე მეტი არა ნაკლები გარეშე პირთა ესწრებოდა. ამ წლის განმავლობაში საბჭომ ზაფხულში გამართა საკოოპერაციო კურსები, რომელზედაც მოწვეული იყო ცნობილი ლექტორები. ამ კურსებმა მისცა საბაბი იმისა, რომ მომავალშიაც სისტემატიურად მართოს ასეთი კურსები ერთხელ მაინც წლის განმავლობაში. საბჭომ გამართა საგარეჯოში თათბირი სხვა და სხვა სამეურნეო დარგებიდან საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად. ამ თათბირს შედეგად მოჰყვა: ა) ივრის რაიონისათვის რკინის გუთნის შერჩევა, ბ) ამერიკულის წესით ხილის გახმობის ხალხში გავრცელება, გ) ადგილობრივ სამეურნეო კომიტეტის დაარსება და დ) ქალთა სახელსაქმო სახელოსნოს დასაარსებლად ნიადაგის გამზადება. უკანასკნელ საქმისათვის ხარჯთაღრიცხვა უკვე განზრახულია; სოფელი საგარეჯო, სადაც არსდება სახელოსნო, მზად არის იკისროს განხორციელება და საქმეს გაზაფხულიდანვე შეუდგეს. გარდა ამისა საბჭომ მონაწილეობა მიიღო ხილეულობის გამოფენაში; გამართა იუბილე წინამძღვრიანთ კარის სკოლის 30 წლის არსებობისა და ი. წინამძღვრიშვილის მოღვაწეობისა, ამ იუბილესთან დაკავშირებით დაარსდა ფონდი ი. წინამძღვრიშვილის სახელობაზე. შემუშავებულ იქნა საკითხები შესახებ სტიპენდიების დაარსებისა სხვა და სხვა სამეურნეო დარგებში მცოდნე პირთა მოსამზადებლად, და საბჭომ შესაფერი მოხსენება შეიტანა დეპუტატთა საკრებულოში. აგრეთვე შეიმუშავა მოხსენება მანქანა-იარაღების საწყობების დაარსების შესახებ და წარადგინა დეპუტატთა საკრებულოში. შეუდგა სისტემატიურად სარწყავი და გამოსაყვანი წყლების შესახებ საჭიროებათა წინ გაძღოლას. საბჭომ რამდენიმე ალაგას გამართა თავის ინსტრუქტორთა და დეპარტამენტის ინსტრუქტორებთან ერთად საცდელ-საჩვენებელი საქონლის კვება დანიურის წესით; მოაწყო დათვალიერება ლილოს საკოოპერაციო ამხანაგობისა, რომელსაც დაესწრნენ ადმინისტრაციის მთავარი წარმომადგენლები; გაჰგზავნა კომისია ამიერ კავკასიის სამეურნეო ინსპექტორთან ერთად კახეთში დაწყებულ სამუშაოების დასათვალიერებლად. გაგზავნილი იყო კომისიები რაიონის აგრონომების მოქმედების და ნამუშევრის გასასინჯავად. საბჭომ შეიმუშავა ძირითადი პრინციპები, რომელზედაც აშენებული უნდა იყოს სამეურნეო პრაქტიკული მუშაობა მომავალ წელს. წლის განმავლობაში საბჭო ეცნობოდა თავის აგრონომ ინსტრუქტორების მოქმედებას ადგილობრივ და თავის წევრებით იღებდა მონაწილეობას სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში. წლის დამლევს საბჭომ რუსეთში განგზავნა ერთი ინსტუქტორი და ერთი აგრონომი ადგილობრივ შესასწავლად იმ კითხვებისა, რომელიც წლის განმავლობაში პრაქტიკულმა ცხოვრებამ წამოუყენა. აგრეთვე წარსულ ზაფხულს ერწოში, იკვლივის მთაზე მოაწყო საჩვენებლად კარაქის დამზადება სეპარატორის საშუალებით, აქვე ერწოში დააარსა საკრედიტო ამხანაგობა და გაამზადა ნიადაგი მერძევეთა საკოოპერაციო ამხანაგობის დასაარსებლად, როგორც ერწოში ისე ხაშმში, სართიჭალაში და სხვაგან. როგორც წინედ ისე წელსაც საბჭო დახმარებას უწევდა ამირაჯიბის სახელოსნო სკოლას. წელს დახმარება გაუწია 100 თუმნით. საზოგადოების ხარჯით ამ სკოლაში გაიგზავნა კურსის დასამთავრებლად ერთი მოწაფეთაგანი ქიზიყიდან. აღარ ჩამოვთვლი რაიონის აგრონომებსა და ინსტრუქტორების მოღვაწეობას, რომელიც გაცილებით ნაყოფიერი და ფართო იყო, ვიდრე 1912 წელს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საზოგადოებას ესაჭიროება მცოდნე პირნი სპეციალური ცოდნით აღჭურვილნი ყოველ დარგში და აგრეთვე თანხა, პირველიც და მეორეც უნდა მიაწოდოს მთელმა ქართველობამ, რადგან ეს საზოგადოება ემსახურება ისეთ საქმეს, რომლისგანაც დამოკიდებულია საქართველოს მომავალი ბედ-იღბალი.

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება.

როგორც ყველა ჩვენი საზოგადოებისა, ისე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ერთად-ერთი და უმთავრესი შემაფერხებელი გარემოება ის არის, რომ საზოგადოება თითქმის ქველმოქმედებით ინახება.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველობისათვის, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი წარსულის შესასწავლ ნივთებისა და მასალების შეგროვებაში, წევრების რიცხვი ეგოდენი მრავალი არ არის, რომ საწევრო გადასახადი შესამჩნევ შეღავათს აძლევდეს საზოგადოებას. არც კერძო შემოწირულება არის დიდი. ამიტომ ერთად-ერთ შესამჩნევ და მუდმივ წყაროდ უნდა ჩაითვალოს თავად-აზნაურობის შემწეობა, რომელიც ყოველ წლივ 5000 მანეთს უდრის. გარდა ამისა წელს თავად-აზნაურთა წლიურმა კრებამ გადასწყვიტა ზედმეტი მიეცა საზოგადოებისათვის კიდევ 3000 მანეთი სპეციალურად ფრესკების გადასაღებად. მაგრამ ეს ძლიერ ცოტაა შედარებით იმ დიად საქმისათვის, რომელსაც შეადგენს ქართულ ფრესკების დაცვა-გადმოღება, ამ დიდებულ განძს, რომელიც საამაყოა არამც თუ საქართველოსათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. ამიტომ საზოგადოება სცდილობდა პირველ თავში უმეტეს ნაწილად ისეთი ფრესკები გადმოეღო, რომელსაც დაღუპვა მოელოდა. ფრესკებზე წელს მუშაობდნენ გრინევსკი, კაკაბაძე და გამოჩენილი ნორვეგიელი მხატვარი კრონი. და წელს საზოგადოების მუზეუმი გამდიდრდა თხუთმეტი ფრესკით, მათ შორის რამდენიმე ვეებერთელა ძვირფასი ფრესკაა. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს საფარისა და ბეთანიის მონასტრების ფრესკები, რომელიც გადაღებულია კრონისა და მისი მეუღლის მიერ.

რადგანაც მუზეუმს შევეხეთ, ჩამოვთვლით ყველა შემოწირულებას. 1913 წლის განმავლობაში საზოგადოებისადმი შემოწირულებათა იყო 299 შემთხვევა. ყველაზე საყურადღებო ამ შემოწირულებათა შორის არის **კირიონ ეპისკოპოზისა**—წიგნები და ნივთები აუარებელი რიცხვი. საყურადღებოა აგრეთვე თამარაშვილის შემოწირულება. დანარჩენი შემოწირულება თავის დროზე გამოცხადებული იყო გაზეთში. ამავე წლის განმავლობაში საზოგადოების მუზეუმს შეჰმატებია: ა) ნაბეჭდი წიგნები—350 სახელწოდებისა დაახლოვებით*).

ბ) ხელთნაწერი წიგნები—136, გ) სურათები დაახლოვებით—83, დ) რამდენიმე ალბომი სურათებით, ე) სხვა და სხვა ნივთი 300, ვ) ქსოვილები—85. საზოგადოებას ბევრი ნივთის ყიდვა უხდება, მაგრამ ხელმოკლეობა ძლიერ აფერხებს საქმეს. ხელმოკლეობის მიზეზით წელს ვერ მოხერხდა იმდენი ექსკურსია, როგორც შარშან. საექსკურსიოდ წასული იყო მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი, რომელიც გაემგზავრა ქუთაისს, იყო აგრეთვე სამეგრელოსა და გურიაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოგზაურობა სულ ცოტა ხანს გაგრძელდა, იგი მეტად ნაყოფიერი იყო. მან ბევრი ძვირფასი სიძველე შეაგროვა. წელს პირველად მოიწვიეს სპეციალისტი ფოტოგრაფი, რომელიც დადიოდა საბჭოს წევრებთან ერთად და იღებდა სურათებს. ამრიგად მუზეუმმა შეიძინა აუარებელი სურათი.

წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა ერთი საზოგადო წლიური კრება ხალხის თანადასწრებით, რომელზედაც წაკითხული იყო რამდენიმე მეტად საყურადღებო მოხსენება და 16 ჩვეულებრივი საბჭოს კრება.

ღარიბ მოწაფეთა დამხმარე გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოება.

ეს საზოგადოებაა, რომლის წყალობით შევერჩენია ერთად-ერთი სკოლა, სადაც კიდევ ტრიალებს ცოტაოდენი ეროვნული სული. მეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ სკოლას ჩვენთვის და რა ღვაწლი მიუძღვის ამ საზოგადოებას ჩვენს წინაშე. როგორც წინედ, წარსულ წლის განმავლობაშიც საზოგადოების ყურადღება ერთთავად მიქცეული იყო ქართულ გიმნაზიებისადმი (ვაჟთასა და ქალებისა). ფინანსიური მხარე საზოგადოებისა წელს არ იყო შარშანდელზე უმჯობესი. გამგე კომიტეტს ქალთა კომიტეტისა აქვს პროცენტებიანი ქაღალდები: 22,100 მან. ბილეთები ნომინალურის საფასურით, ამას გარდა საპენსიო ფონდი 92,860 მან. 42 კაპ. შენახული ბანკში ქაღალდებით.

ამ ქაღალდების გირაოში სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებას ვალი აქვს: პირველი ქაღალდებისა—17,095 მან. და 38 კაპ., მეორეთა გირაოში—74,070 მან. 64 კაპ., ე. ი. სულ 88,166 მან. 2 კაპ. ამ ვალებზე გამგე კომიტეტი სარგებელს იხდის ყოველ წლიურად—7,000 მანეთამდე. რადგანაც ამ ვალების სარგებელი აღემატება მიღებულ პროცენტებს, გამგე კომიტეტმა განიზრახა მოეხდინა კონვერსია ამ სახით: ქალთა კომიტეტის ქაღალდების ვალი გადაეხადა საპენსიო ფონდის თანხიდან, აგრეთვე ამ თანხითვე გადაეწყვიტა საპენსიო ფონდიდან აღებული ვალი და თვით საპენსიო ფონდის გირაოში ვალი გადაეწერა თავის თავზე. მხოლოდ ბანკის ვალი კი მოეშორებინა. ამ სახით გამგე კომიტეტს აზრად ჰქონდა საზოგადოების ხარჯი ყოველ წლივ შეემცირებინა 6500 მანეთით. ეს გეგმა მიღებულ იქნა საზოგადო კრების მიერ გამგე კომიტეტმა ჯერჯერობით მოასწრო მხოლოდ ნაწილის შესრულება. საზოგადოების უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისაკენ. 1912 წელს ვაჟთა გიმნაზიაში მოწაფეთა რიცხვი იყო 818, 1913 წელს კი—843. შარშან მერვე კლასში იყო 42 მოწაფე. აქედგან რვა კლასი დაასრულა 30 კაცმა, 10 მოწაფე ისევ მერვე კლასში დარჩა, ორმა კი სწავლას თავი დაანება. წელს მერვე კლასში ირიცხება 39 მოწაფე. ქალთა გიმნაზიაში იყო სამი განყოფილება და ორი კლასი. წარსულ წელს გახსნეს მესამე კლასი. ქალთა სასწავლებელში 1912 წელს იყო 97 მოწაფე, წარსულ წელს კი—161.

ამ გიმნაზიების კეთილდღეობა დამოკიდებულია საზოგადოების ფინანსიურ მდგომარეობიდან. თუ ფინანსიური მხარე საზოგადოებისა არ არის კარგი, არც გიმნაზიების ნიადაგია მჭიდრო. ვალების გამო საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობა თან და თან უარესი ხდება, გიმნაზიის შენობა დაგირავებულია სათ.-აზ. საადგილ-მამულო ბანკში. ამ სახლის ვალი იყო 1912 წელს 852354 მან. 21 კაპ. წელს მიემატა კიდევ 26,000 მანეთი. რადგანაც ბანკის მხოლოდ ნედლიმჭა და სავალდებულო შესატანი გაიზარდა 114,000 მანეთამდე და ამ თანხას

---

*) რადგანაც ჩვენი საკულტურო დაწე- ულებების კრებები გაზაფხულობით იმარ- ბა, ამიტომ ანგარიშებიც ამ დროისა- ის მზადდება. ჩვენი ციფრები ამიტომ ახლოვებით არის გამოანგარიშებული.

*) უმრავლესობა დაბა-ქალაქებში.

*) ამ რიცხვში კირიონისა და თამარაშვილის შემოწირულება არ შედის, რადგან ჯერჯერობით აღნიშნული არ არის. აგრეთვე სხვა რიცხვები დაახლოვებით არის ნაანგარიშევი.

თან და თან პენი ემატება, საზოგადო კრებამ, თანახმად გამგე კომიტეტის მოხსენებისა, დაადგინა: ამავე სახლის გირაოთი სათ.-აზ. საადგილ-მამულო ბანკიდან გამოიტანოს დამატებითი ვალი ისეთი ჯამისა, რაც საჭიროა ამ ვალების გადასახდელად. შემდეგ თუმც ყოველწლიური შესატანი თითქმის 1000 მანეთით გადიდდება, მაგრამ, სამაგიეროდ საზოგადოებას თავიდან ასცილდება პენები. ვინაიდან ფინანსიური მხარე საზოგადოებისა არამც თუ გაუმჯობესდა, არამედ უფრო ცუდია, ამიტომ საზოგადო კრებამ უკიდურეს ზომად სცნო სწავლის ფასის მომატება მომავალი წლიდან 75 მანეთამდე; როგორც ვაჟების ისე ქალების გიმნაზიებში.

1912 წელს გიმნაზიასთან დაარსდა მშობელთა წრე; ხოლო მოქმედება დაიწყო წარსულ წელს. მშობელთა წრეს საფუძვლად დაედო სახაზინო გიმნაზიების წრეების პრინციპები, მხოლოდ იმ გამონაკლისით, რომ წრის საბჭოს წევრნი იმავე დროს წარმომადგენლები არიან საპედაგოგიო საბჭოს კრებებზე. ამას გარდა ყოველივე საკითხი, რომელიც წარდგენილი იქნება დელეგატთა კრებაზე, დადასტურებული უნდა იქნეს გამგე კომიტეტისაგან, რომელსაც მინიჭებული აქვს ,,veto''-ს უფლება. წრის საბჭო შეძლების დაგვარად სცდილობს დახმარება აღმოუჩინოს გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს და გამგე კომიტეტს რთულსა და პასუხსაგებ სწავლა აღზრდის საქმეში. ჩვენი გიმნაზიის მოწაფეთა 80% ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდის.

მშობელთა წრემ დაახლოვებით გაიცნო გიმნაზიის მოწაფეების ყოფა-ცხოვრება და შეძლების დაგვარად ეხმარება ღარიბ-ღატაკ მოწაფეებს.

სიტყვა კაზმული მწერლობის საზოგადოება.

არც ერთი დარგის მოღვაწენი არ არიან ჩვენში ისე გაფანტულნი და განცალკევებულნი, როგორც მწერლები. მათ შორის არ არსებობს არავითარი კავშირი სულიერი ან ზნეობრივი. მოქმედება მათი არ არის შეთანხმებული. ხშირად ერთმა არ იცის ვინ არის მეორე, ან რას ესწრაფის იგი. ასეთი განცალკევებით მოქმედება და დაქსაქსვა ძლიერ ცუდ დაღს ასვამდა ჩვენ მწერლებს. სწორედ ამ მიზნით, მწერლებს და საერთოდ ლიტერატორების შორის კავშირის განსამტკიცებლად, მათ დასაკავშირებლად სულიერად, საჭირო იყო რაიმე ორგანიზაციის შექმნა, რომელშიაც ყველანი მიიღებდნენ მონაწილეობას, რომელნიც გაიცნობდნენ ერთი მეორის სულიერ მისწრაფებას. სიტყვა-კაზმული მწერლობაც სწორედ ამას უნდა ემსახუროს. გარდა ამისა შეძლება მისცეს ახალგაზდა მწერლებს გამოაქვეყნონ თავისი ნაწერები და სხვა. სამწუხაროდ საუცხოვო,უსაჭიროესი იდეია საზოგადოებისა უმრავლესობას არა აქვს კარგად შეგნებული; არამც თუ საერთოდ ფართო საზოგადოებას, არამედ თვით მწერლებსა და ლიტერატორებს. ეს არის მიზეზი, რომ ამ საზოგადოებამ ოთხი წლის განმავლობაში ისე ფართოდ ვერ გაშალა ფრთები, როგორც მოსალოდნელი იყო. მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ როგორც კი ჩვენი მწერლების და საერთოდ საზოგადოების წევრთა საკმაო რიცხვი შეიგნებს, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს ამ საზოგადოებას ჩვენთვის, მაშინ ამ ჩინებულ საკულტურო დაწესებულებას განუმტკიცდება ნიადაგი და იგი ისეთივე მძლავრი ორგანიზაციით აღიჭურვება, როგორც მაგ. რუს ლიტერატორების საზოგადოება პეტერბურგში.

წარსული წლის განმავლობაში საზოგადოების კრებული „გრდემლის“ მორიგი ნომერი არ გამოსულა და ამაში დანაშაული ისევ ჩვენ მწერლებს მიუძღვის, რადგანაც მასალები არ მიაწოდეს საზოგადოების საბჭოს. სამაგიეროდ დამზადებულია მასალები ს. გრიშაშვილის ლექსების ტომის გამოსაცემად, და საბჭო მალე შეუდგება წიგნის გამოცემას. წარსული წლის განმავლობაში ხუთი საჯარო კრება მოხდა, რომელზედაც წაკითხული იყო საყურადღებო მოხსენებები. ამ კრებებს ხალხი ბლომად ესწრებოდა. გარდა ამისა საბჭოს კრებები ხშირად იმართებოდა, რომელზედაც სწყდებოდა სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხები. სხვათა შორის წელს ამ კრებაზე უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლას.

პრაქტიკულმა ცხოვრებამ საბჭოს დაანახვა, რომ საწევრო გადასახადი წლიურად 12 მან. დიდია, ამიტომ საბჭომ გადასწყვიტა საწევრო ფული სამ მანეთამდი შეამციროს და ამით შეძლება მისცეს წევრად ჩაწერისა ფართო საზოგადოებასაც. გარდა ამისა შეცვლილი იქმნა ის მუხლი, რომელიც ეხება ახალი წევრების მიღებას. წინად ეს მუხლი ამბობდა, რომ საზოგადოების ნამდვილ წევრებად მიიღებიან მხოლოდ სიტყვა-კაზმული მწერლობის დამსახურებული მოღვაწენი. საბჭომ ეს მუხლი ასე შესცვალა: საზოგადოების წევრებად მიიღებიან ყველანი, ვისაც-კი რაიმე დამოკიდებულება აქვს საერთოდ ლიტერატურასთან.

წესდება შეცვლილი სახით უკვე დამტკიცებულ იქნა სათანადო მთავრობის მიერ და იმედია მომავალში ამ საზოგადოების მეტ მხნეობას ვნახავთ.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება ა. ხახანაშვილის სახელობისა.

ეს საზოგადოება მეორე წელიწადია, რაც არსებობს. პირველ წელს იგი თითქმის დამლევს დაარსდა და მხოლოდ რამდენიმე კრების გამართვა მოასწრო, რომელზედაც გადასწყდა საორგანიზაციო საკითხები. ასე რომ პრაქტიკული მოქმედება საზოგადოებამ მხოლოდ წარსულ წელს დაიწყო. ამ წლის განმავლობაში საზოგადო კრება გაიმართა რვა. მათ შორის საკანონმდებლო—სამი, ხუთი — აღმასრულებელი, უკანასკნელთა რიცხვში—ოთხი საჯარო და ერთიც დახურული მოწვეულ პირთა მონაწილეობით. გარდა ამისა ფასიანი კრება იყო ორი. სულ კრებებს დაესწრო 2,800 კაცამდე. (ამათში 2000 კაცამდე დაესწრო ბუნების მეტყველთა მე-XIII კრების მონაწილეთათვის გამართულ საჯარო კრებას). საჯარო კრებებზე წაკითხული იყო ათი მოხსენება. წლის განმავლობაში საზოგადოების საბჭოს თორმეტი კრება ჰქონდა. წლის განმავლობაში საზოგადოებას შემოსავალი ჰქონდა 786 მან. 98 კაპ., ხარჯი—489 მან. 19 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა – 297 მან. 79 კაპ.

ფილარმონიული საზოგადოება.

უცხოელები მოდიოდნენ, ჰკრებავდნენ ჩვენ ძვირფასს ხალხიდან წარმოშობილ მარგალიტებს და მიჰქონდათ უცხო ქვეყნებში. ეს ძვირფასი მარგალიტები—ქართული ხალხური მელოდიები ამშვენებდნენ სხვის ოპერებს და სიმფონიურ ნაწარმოებს, დიდება და სახელს უხვეჭავდნენ მის შემკრებს. ჩვენ ვერ შეგვეგნო, თუ რა ძვირფასი განძი გვქონდა შინ ხალხური მელოდიების სახით, არ ვიცოდით, თუ რა მდიდრები ვიყავით ეროვნული მუსიკით. დაარსდა ფილარმონიული საზოგადოება, რომელიც სათავეში უდგას ამ სასურველ საქმეს; ეს საზოგადოება პირველ ხანებში თოთო იყო, სხვის ხელმძღვანელობას საჭიროებდა, უცხო მუსიკით იკვებებოდა, მაგრამ ეხლა თან და თან გამაგრდა, ქართველ ხალხში ფეხი მოიკიდა და მალე იმედია ნამდვილ ეროვნულ დაწესებულებათ გადაიქცევა, სადაც ქართველნი მოისმენენ და შეისწავლიან მშობლიურ ჰანგებს, ქართულ მუსიკას. 1913 წლის განმავლობაში საზოგადოებამ გამართა სამი სახალხო ქართული კონცერტი, დადგმული იქნა ბ. ზაქარია ფალიაშვილის ახალი ორიგინალური ოპერის ,,აბესალომ და ეთერ''-ის ორი აქტი.

გამართულ იქნა ერთი სასულიერო კონცერტი. ერთი საკვარტეტო საღამო. გამგეობა შეუდგა ფონოგრაფის ვიროფიტებზე ჩაწერილ ქართულ სახალხო სიმღერების ნოტებზე გადაღებას და ამზადებს მასალებს ახალი კრებულის გამოსაცემად. გამგეობას ჰყავს ქართული გუნდი, რომელიც ეს მეხუთე წელიწადია ჰგალობს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. გამგეობამ წარსულ წელს დეკ. მირიანაშვილის შუამდგომლობის მიხედვით გუნდის მეორე ფილიალური განყოფილება დააარსა დიდუბის ეკლესიაში. გუნდი უკვე ნოემბრიდან გალობს წირვა-ლოცვასა უმთავრესი ყურადღება გამგეობისა. მიპყრობილი იყო სამუსიკო სკოლისადმი, სამუსიკო სკოლა თან და თან იზრდება. 1912 წელს სკოლაში სწავლობდა 140-მდე მოწაფე. წარსულ წელს კი 175 მოწაფე სხვა და სხვა სპეციალი საკრავებზე: ფორტეპიანოზე, სკრიპკაზე, ვიოლონჩელზე, კონტრობასზე, სიმღერა (solo), სრული კურსი თეორია კომპოზიციისა და ხოროს კლასი. მოწაფეთა რიცხვში 140 ქართველია.

წლის განმავლობაში სკოლამ გამართა ოთხი საჯარო სამუსიკო დილა მოწაფეებისა. კლასიკურ. ნაწარმოებთა შორის შესრულებული იყო აგრეთვე ქართული მუსიკაც. მასწავლებელთა რიცხვი—15, მომეტებული ნაწილი უმაღლესი სასწავლებელ (კონსერვატორია) კურს დამთავრებულია. გამგეობას აზრად აქვს მომავალი 1914 წლიდან სამუსიკო სკოლის გეგმა გააფართოვოს და რუსეთიდან მოიწვიოს მასწავლებელი უმაღლეს კურსების დასაარსებლად და ხელმძღვანელად. ამის შესახებ გამგეობამ უკვე გამართა მიწერ-მოწერა კონსერვატორიის დირექტორის იპოლიტე-ივანოვთან. საზოგადოებასა და მაშასადამე სკოლისაც უმთავრეს წყაროს შეადგენს მოწაფეთა სწავლის ფული, რომელიც წლიურად 10,000 მანეთამდე ადის. გარდა ამისა საზოგადოებას აქვს შემოსავალი საწევრო გადასახადისაგან და ერთ დროული დახმარება ტფ. გუბ. თავად-აზნაურობისაგან. საზოგადოებას დიდს შეღავათს აძლევს ,,ახალი კლუბი'' რომელიც დაეხმარა: დარბაზის თუ თეატრის უსასყიდლოდ დათმობით სამუსიკო დილების გასამართავად და აგრეთვე კლუბის ორკესტრის უფასოდ დათმობით.

დრამატიული საზოგადოება.

1913 წლის განმავლობაში მოხდა არჩევნები გამგეობის წევრებისა და თავმჯდომარისა. გამგეობის შემადგენლობა სრულებით შეიცვალა. გამოირკვა, რომ სამწუხაროდ ჯერჯერობით ჩვენ არავითარი ნიადაგი არ მოგვეპოვება დრამატიული კურსებისათვის. ამიტომ დრამატიული კურსები საზოგადოებისა დაიხურა. ეჭვს გარეშეა, რომ კურსებს მეთვალყურენი და ხელმძღვანელები არა ჰყავდა შესაფერი, მაგრამ სულ მათ ვერ ვაკუთვნებთ ბრალს. ისიც ცხადია, რომ კურსებზე უსარგებლო იყო ლექციების კითხვა, რადგან მსმენელთა კონტინგენტს შეადგენდნენ ისინი, რომელთაც არავითარი მომზადება არა ჰქონდათ და ლექციების ერთი სიტყვაც არ ესმოდათ. ერთად ერთი სარგებლობა ამ კურსებისა ის იყო, რომ ზოგიერთმა მსახიობმა ქალებმა პლასტიკა ისწავლეს და სცენაზე ცოტა რამ ხორეოგრაფიისდაგვარი გვანახეს, ვიდრე წინანდელი უშნო სიარული და ტლანქი მიხვრა-მოხვრა. მაგალითად „სინათლეში“ მსახიობი ქალები ცეკვავდნენ. რასაც სიამოვნებით ვეგებებით და ვუსურვებთ წარჩინებას. მსახიობისათვის საჭიროა მუსიკისა, სიმღერისა და ცეკვის ცოდნა, აგრეთვე ენებიც.

რადგანაც დრამატიული კურსები დაიხურა, ამიტომ გამგეობის ყურადღება ერთთავად ანტრეპრიზისაკენ იყო მიპყრობილი. ამ მხრივ საქმე კარგად მიდის. სეზონის პირველი ნახევარი დასრულდა და შეგვიძლია მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობები პიესების შესახებ. სეზონი დაიწყო 15 სექტემბერს. 1914 წლის 1 იანვრამდის ყოფილა სულ 46 წარმოდგენა (შარშან 36); ამ რიცხვში შედის შვიდი წარმოდგენა ახალი კლუბისა, ერთი კერძო საღამო დ. კლდიაშვილისა. წარმოდგენილი იყო სულ 41 პიესა. აქედან განმეორდა ათი პიესა; სამჯერ ითამაშეს სამი პიესა. მაშასადამე სულ იყო 58 პიესა (განმეორებით 41 პიესიდან ორიგინალური იყო 21 პიესა: ახალი 5 და ძველი 16. ახალი პიესებიდან განმეორდა მხოლოდ „სინათლე“ ი. გედევანიშვილისა („სინათლე“ პირველად დაიდგა 22 დეკემბერს, განმეორდა 26 დეკემბერს; ორივეჯერ თეატრი სავსე იყო და აუარებელი ხალხი დაბრუნდა უკან უბილეთობის გამო; ასე რომ სეზონის ბოლომდე კიდევ რამდენჯერმე განმეორდება), და „უპრეტენზიო კომედია“ ვ. შალიკაშვილისა (კლუბში). ნათარგმნი პიესების რიცხვი იყო სულ 28; განმეორდა ორი პიესა ორჯერ და სამიც სამ-სამჯერ. ამ რიცხვიდან: ახალი იყო—8, ძველი 20. სამჯერ განმეორდა „მეორე პრინცი“, „ინსტინქტი“ და „დამარცხებული რომი“. წარმოდგენებს უმეტეს ნაწილად საშუალო შეძლების, მშრომელი ხალხი და მუშები ესწრებოდა. პირველი რიგები მუდამ ცარიელი იყო იმ შემთხვევის გარდა თუ რაიმე ექსტრაორდინალური არ ხდებოდა.

წრევანდელი გამგეობა განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. რადგანაც ქუთაისში წელს სეზონი არ შესდგა ამიტომ ტფილისის დრამატიულმა საზოგადოებამ ქუთაისის საზოგადოებასთან შეთანხმებით გადასწყვიტა ქუთაისში რეგულიარულად წარმოდგენების მართვა, მაგრამ ქუთაისის გამგეობამ პირობები ვერ შეასრულა, და ამიტომ ქუთაისში წარმოდგენების მართვა შესწყდა. მხოლოდ აქაურ გამგეობას შერჩა გადიდებული დასი, რომელიც ბევრს ზედმეტ ხარჯს იწვევს. ამის გამო ბიუჯეტი საზოგადოებისა გადიდდა. ამ დროს კი დეპუტატთა საკრებულომ ყოველწლიური დახმარება 3000 მანეთით შეუმცირა. მიუხედავად ამისა საქმე გვარიანად მიდის. ყოველ წარმოდგენას ორთა შუა რიცხვით 250 - 350 მანეთამდე შემოსავალი აქვს.

ქალთა საზოგადოება.

წარსული წელი არ იყო მდიდარი ახალი საზოგადოებებით. შარშან დაიწყო მოქმედება ქალთა საზოგადოებამ. დიდი ხანია მომწიფდა აზრი ქალთა კავშირის საჭიროებისა. მაგრამ აქამდე არაფერი არ გაკეთებულა. ჩვენი ქალების ერთი ნაწილი იმ აზრის იყო რომ საჭირო არ არის ცალკე დაარსება ქართველ ქალთა საზოგადოებისა. რადგან უკვე არსებობს კავკასიის ქალთა საზოგადოება საკმარისია იქ წევრებად შესვლა და მუშაობა. მხოლოდ ბოლოს დამოუკიდებლად მოქმედების ტენდენციამ გაიმარჯვა და წარსული წლის დამლევს ქალთა საზოგადოების წესდება დამტკიცდა. რასაკვირველია, მოქმედების შესახებ ბაასი ჯერ ნაადრევია, რადგანაც ორი-სამი თვის განმავლობაში უმრავლეს შემთხვევაში საორგანიზაციო საკითხებსაც ვერ ასწრობენ. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქალები მხნედ შეუდგნენ საქმეს. უკვე გადაწყვეტილია და მალე განხორციელდება ლექციების მოწყობის საქმე.

საზოგადოებამ დაადგინა, რომ თავის წევრთათვის და აგრეთვე გარეშე პირთათვის, ვინც მოისურვებს, ქალთა საზოგადოებასთან იმართებოდეს ლექციები, აგრეთვე გადასწყდა, გამოსცენ ალმანახი და სხვა.

ბევრი, ძლიერ ბევრი კულტურული საქმე შეუძლიანთ გააკეთონ ჩვენმა ქალებმა. მათი საზოგადოება ჯერ ნორჩია და პატარა, მაგრამ ეხლავე ეტყობა სიცოცხლე. ვიმედოვნებთ, რომ ისე გადიდდება და გაძლიერდება, როგორც დიდია ის საქმე, რომელსაც ეს საზოგადოება უნდა ემსახუროს.

„განათლების“ საზოგადოება.

ჩვენი ქალების მიერ არის შექმნილი აგრეთვე „განათლების“ საზოგადოება. საზოგადოების საქმეებს განაგებს გამგეობა. წლის განმავლობაში გამგეობას 20 სხდომა ჰქონია, რომელზედაც უმთავრეს საკითხებად წამოყენებული იყო ხოლმე საკითხები: სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, საპროფესიო განყოფილების მოწეს-რიგება და სწავლის გეგმის შერჩევა. უმთავრესად საზოგადოების მოქმედება ქალთა სკოლის შენახვაში გამოიხატება. მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო საზოგადოება იძულებულია, თვისი მოქმედება შეზღუდოს. წარსულ წელს სასწავლებელი შესდგებოდა სამი მოსამზადებელი და ოთხი პროგიმნაზიული კლასიდან. ითვლებოდა 207 მოწაფე. წარსულ წელს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული საპროფესიო განყოფილების მოწყობის საქმეს. ამავე განყოფილებასთან იყო საზოგადო განვითარების მისაღები გაკვეთილებიც. საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ დაწესდეს სამხატვრო სახელოსნო სკოლა. გეგმა შემუშავებული იყო გამგეობის მიერ, მიიღო არა ჩვეულებრივმა კრებამ და წარადგინა დასამტკიცებლად მეფის მოადგილეს.

ქართველ ქალთა ამხანაგობა.

ეს საზოგადოება დიდ საქმეს არ ეკიდება; მაგრამ მიზანი მისი არსებობისა ფრიად სიმპატიურია და საყურადღებო. მას სურს პროფესიონალური ცოდნა მიაღებინოს იმ ქართველ გოგონებს, რომელთაც არავითარი სახსარი არ აქვს საერთოდ საცხოვრებლად და კერძოდ სწავლის მისაღებად. რადგანაც მომავალში ასეთმა ქალებმა თავისი შრომით უნდა მოიპოვონ პური თვისი, ამიტომ ქალთა ამხანაგობას აქვს მათთვის შესაფერი სწავლა, სადაც ყოველივეს საჭიროს პრაქტიკულად სწავლობენ.

ამ საზოგადოების შემოსავალს ერთთავად შეადგენს შემოწირულება და საერთოდ ქველმოქმედება ასაზრდოებს მას. იმედია, მომავალი წელი ამ მხრივ უხვი იქნება და ხელს შეუწყობს ფრიად სიპატიურ მიზანის განხორციელებას.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ ქალთა კომიტეტი, რომლის წყალობით ქართველ მოწაფეთა უღარიბესი ნაწილი ჰპოულობს საზრდოსა. ეს კომიტეტს ქართულ გიმნაზიასთან აქვს უფასო სასადილო, სადაც 120 ბავშვი იკვებება უფასოდ.

ეკონომიური დაწესებულებანი.

ასეთ დაწესებულებათ უნდა ჩავსთვალოთ ჩვენი ბანკები და საკოოპერაციო ამხანაგობანი.

პირველთა რიცხვი საკმაო ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკები, სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოება, სოხუმისა, ბათომისა, ქუთაისისა, ჭიათურისა და სხვა საურთიერთო ნდობის საკრედიტო დაწესებულებანი და სხვანი. უმთავრესია, რასაკვირველია, საადგილ-მამულო ბანკები, რადგანაც მათი შემოსავალი ასაზრდოებს ჩვენ არსებულ საკულტურო დაწესებულებებს.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი ფრიად მჭიდრო ნიადაგზე არის, წმინდა მოგება თანდათან იზრდება; ქუთაისის ბანკის მდგომარეობაც გაცილებით უკეთესია. წარსულ წელს პირველად იყო წმინდა მოგება და ეხლაც დიდ მოგებას ელიან. საკოოპერაციო საზოგადოების საქმეც თანდათან ვითარდება, ჯერ-ჯერობით ჩვენში სამაგალითოა „კახეთის მევენახეთა საზოგადოება“. ამ საზოგადოების წევრების რიცხვი თანდათან მრავლდება. სასიამოვნოა ის მოვლენა, რომ გლეხობაც ძლიერ ეტანება.

ამრიგად სოფელი თანდათან ასცდება ჩარჩებს და საქმეს თვით წაიყვანს.

ამით ვათავებთ ჩვენი საკულტურო ცხოვრების მიმოხილვას, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი საზოგადოებანი და დაწესებულებანი მოქმედებენ ტფილისში. რასაკვირველია, ჩვენი საკულტურო და ეკონომიური დაწესებულებათა რიცხვი ამით არ განისაზღვრება. ბაქოსა, განჯაში, ქუთაისში, ბათომში, ფოთში, გორში, კავკავში და სხვა ქალაქებში, ყველგან მოგვეპოვება ასეთივე საზოგადოებები და შეიძლება სულ ახალიც, მაგრამ სამწუხაროდ მათ ანგარიშს ჯერ-ჯერობით ვერ ვათავსებთ, რადგან ცნობები დროზე ვერ მივიღეთ. ეს კი ცხადია, რომ ქართველობას ყოველ წლობით დიდი წინსვლა ემჩნევა, [illegible]
დამდგარი წელი ამ მხრით არ გა
ვიცრუებს იმედებს.

საკრედ. კოოპერაცი

ტფ. გუბ. 1913 წ.

იმ საკითხებში, რომლებიც ხა
ში მუშაობის საქმეს ეხებიან, კ
პერაციის განვითარების საკითხ
პატიო ადგილი უნდა ეჭიროს.
თალია ქართული პრესას ყურადღ
ეპყრობა ამ საქმეს, მაგრამ საჭი
იგი უფრო პოპულიარული გახ
ჩვენი საზოგადოების იმ მოწი
წრეებში, რომელთაც ერის აღო
ნების საქმის ხელის შეწყობა მიზ
დაუსახავთ. უკანასკნელი სიტყ
მგონია უბრალო ფრაზა არ უნდა იყ
კოოპერაციის განვითარებას მჭიდრო
დამოკიდებულება აქვს ზემო მო
ნებულ საკითხის პრაქტიკულად
ვითარებასთან: კოოპერატივებში
ნაწილეობს დიდი ნაწილი ჩ
გლეხობისა, ამასთანავე მოწი
უფრო შეგნებული ნაწილი.
თვის კოოპერატივი არა მა
ეკონომიურად აღორძინების ი
ლია, არამედ მთელი სკოლაა ს
გადოებრიობისა; აქ თავისუფ
გზა აქვს ინიციატივას, თავისუფ
შეიძლება დაიბადოს და განვით
დეს თვითმოქმედება.

მით უფრო გვაინტერესებს ე
კითხი, რომ საკრედიტო კოოპ
ტივები ჩვენში უკვე არსებობენ,
ლურ ფაქტორს წარმოადგენენ
ამასთანავე თავისი პატარა ის
რიაცა აქვთ. ჩვენი მიზანია, რ
ნადაც. შეგვიძლიან, აღვნიშ
მათი ეხლანდელი მდგომარე
მათი ნაკლი, რომელიც მათ თე
დანვე დაჰყოლია და მიუთით
მათ უახლეს საჭიროებებს.

კერძოდ ჩვენ გვაქვს მხედვ
ბაში საკრედიტო კოოპერაცია, რო
გან ეს ტიპი კოოპერაციისა, შ
რებით სხვა ტიპებთან, უფრო
ვითარებულია და მეტი მნიშვნე
ბაცა აქვს.

ამასთანავე ავიღებთ საკრედ
კოოპერატივებს ტფილისის გუ
ნიის საზღვრებში.

პირველ იანვარს 1914 წ.
ლისის გუბერნიაში ითვლება
120 საკრედიტო კოოპერატივი,
ლებიც უკვე მოქმედებენ.

ამ რიცხვიდან 87 საკრედ
ამხანაგობაა, 33 კი შემნახველ-
სესხებელი ამხანაგობა. გვახსო
ისა, რომ ტფილისის გუბერ
არსებობენ მარტო ზემო მოხს
ბული ტიპის საკრედიტო კოოპ
ტივები.

ყველა ისინი მოქმედებენ ფინ
მინისტრისაგან 14 ენკენ. 190
დამტკიცებულ სამაგალითო წე
ბის ძალით. ისიც საჭიროა აღ
ნოთ, რომ ამ რიცხვიდან ერთი
კრედიტო ამხანაგობა (გრემის ხე
დუშეთის მაზრ.) გახსნილია,
ორგანიზაცია არსებობს, მხოლ
ძირითად თანხას სახელმწიფო ბ
დან იანვრის პირველ რიცხვ
გაიტანს.

ამ კოოპერატივების ზრდა
იყო. 1907 წ. გაიხსნა 1 ამხან
ეკატერინფელდში (ბორჩ.
გერმანელთა კოლონიაში. 190
—ვორონცოვკაში (ბორჩალოს
რა) მალაკანთა კოლონიაში
ქართლში, სოფელ დოესში.
ნასკნელი ამხანაგობა—პირველი
ხანაგობაა ქართველ გლეხებში დ
სებული. 1909 დაარსდა უკვ
ამხანაგობა — ყვარელში, აწყუ
ძველ გავაზში, 3 ამხ. ქალაქ ტ
ლისში, საგურამოში და აკარ
1910—მარტო ორი—ცხინვალში
ლაგოდეხში. შემდეგ ასეთი ს
რით მიდის მათი ზრდა ტფილ
გუბერნიის ყველა მაზრებში:

1911 წ. გაიხსნა—25 ამხანაგ
1912 „ „ —45 „
1913 „ „ —37 „

ამ ჟამად წვრილი კრედიტის
ტრალურ სამმართველოს მიერ
ტკიცებულია 13 ამხანაგობა,
ლებიც დამდეგ წლის პირველ
ებშივე გაიხსნება. ამასთანავე

ებაში ათამდე შუამდგომლობა ამხანაგობის დაარსების შეებ.

მოთ მოხსენებული რიცხვი ამხანაგობებისა ესე განაწილებული სხვა სხვა მაზრებში:

ახალქალაქის მაზრაში—	10.
ახალციხის ,,	1.
ბორჩალოს ,,	18.
გორის ,,	27.
დუშეთის ,,	11.
სიღნაღის ,,	18.
თელავის ,,	9.
თბილისის ,,	23.
თიანეთის ,,	1.
ზაქათალის ოლქში	2.

ურის ისეთი მაზრები, როგორც ციფრებიდანა სჩანს, რომლებიც როვანად არ არიან გამოკვლეულნი მხრით, შეიძლება იქ დაარსდეს ხანაგობები თუ არა. დარწმუნებული კი ვართ, რომ მთელ ტფილისის გუბერნიაში დიდი—დიდი კიდევ დაარსდეს 40—60 ამხანაგობა მგვარივე რაიონებით, როგორებიც ლო უმთავრეს ნაწილად არსებობენ. ეს ამხანაგობები ქსელივით საამიან მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, სოფელი არ დარჩება, რომ რომელიმე ამხანაგობის რაიონში იქმნას ჩართული, და უთუოდ— თეულ მეურნე—გლეხს საშუალება ექნება ჩაეწეროს უახლოეს ამხანაგობაში და იშოვოს იაფი კრედიტი. ნ, თავიდანვე თვითეული ამხანაგობის არსების ინიციატივა ეკუთვნის ადგილობრივ ინტელლიგენტურ ძალებს. სანამ შუამდგომლობა აღიძვროდა ადგილობრივი ინტელლიგენტები უხსნიდნენ გლეხობას, რომ არ თებობს მათთვის სასარგებლო დაწესებულებები, და მათი თანხმობით კოლექტიურ შუამდგომლობას გზავნიდნენ საგუბერნიო კომიტეტში, რომელ ორგანოსაც ეკუთვნის ამხანაგობის გახსნის ნებართვის უფლება. განვიჭვრეტთ, რომ უმთავრესი ნაწილი ენეთელი არსებული კოოპერატივებისა გახსნილია ადგილობრივ შეგნებულ ძალების ინიციატივით.

კოოპერატივთა რიცხვის გავრცელებასთან ერთად საჭიროა, რომ ადგილობრივ ძალების დახმარებით გაღრმავდეს კოოპერატივში მუშაობა, ე. ი. კოოპერატივებმა შუამავლობა გასწიონ მწარმოებელ გლეხსა და ბაზრის შორის, ანა და გლეხს შეაძენინოს შეღავათიან პირობებში მისთვის საჭირო სამუშაო იარაღები; შეაძენინოს გლეხს ცოდნა და სხვ. ერთი სიტყვით დიდი მუშაობა მართებს როგორც ადგილობრივ ძალებს, ისე ინსპექციის შემდეგში, რომ კოოპერატივებში მუშაობას მეტი შინაარსი მიეცეს, გაღრმავდეს.

გადავიდეთ ახლა იმ კითხვაზე, თუ საიდან შოულობენ ჩვენი კოოპერატივები საწარმოვო საშუალებას, ფულს. ჯერ აღვნიშნოთ მთელ გუბერნიაში მომქმედ კოოპერატივთა შეერთებული ანგარიში, შემნახველგამს. ამხან. ცალკე, საკრედიტო ამხ. ცალკე. ასეთი ანგარიში გვაქვს მხოლოდ 1913 წ. 1 ღვინობისთვის.

შეერთებული ანგ. 84 საკრედიტო ამხანაგობისა.

პასსივი:

საკუთ. ძირით. თანხა—	12445—04
ნასესხები ძირით. თ. მთავრობის წყარ.—	152075—00
სათადარიგო თანხა —	6027—54
განსაკუთრებულ დანიშნულებ. გადადებული თანხა	22201—52
მობარებული ფული	94213—42
ნასესხები: სახელ. ბანკში კრედიტი	487939—79
ნასესხები: სხ. და სხ. პირებ. და დამწ.	27386—03
გარდამავალი თანხა	405—62
მოგება და %	68834—89

აქტივი:

საკრედიტო. დამწ. შეტ. ფული და პროც. ქაღ.	2994—57
გაცემული სესხი	755946—37
შეძენილი საქონელი	4540—60
ქონება	8409—07
ზარალი	626—17
სხ.-და-სხ. ხარჯები	40893—44
კასსა	58118—63
ბალანსი	871528—85

ამ 84 ამხანაგობაში 1 ღვინობისთვეს ითვლებოდა 24433 ამხანაგი. შეერთებული ჯამი მათი ნდობისა ამხანაგობაში უდრის—1845145 მან.

შეერთებული ანგარიში 31 შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისა.

პასსივი:

წილის ფული	57235 32
საკუთ. ძირით. თანხა	3562—70
ნასესხ. ძირით. თანხა მთავრობის წყარ.	59805—00
სათადარიგო თანხა	2142 82
განსაკუთრ. დანიშნ. გადად. თანხა	5338—74
მობარებული ფული	78565—16
ნასესხ.: სახელმ. ბანკში კრედიტიდან	203312—56
ნასესხ.: სხ. და სხ. პირ. და დამწესებ.	14458—14
გარდამავალი თანხა	226—47
მოგება და %	36107—98

აქტივი:

საკრედიტო დამწ. შეტ. ფული	4002—00
გაცემული სესხი	408910—83
შეძენილი საქონელი	3068 53
ქონება	6682—25
სხვა და სხვა ხარჯი	18438—56
კასსა	19652—72
ბალანსი	460754—89

ამ 31 ამხანაგობაში 1 ღვინობისთვეს ითვლებოდა 8617 ამხანაგი, მათი ნდობა ამხანაგობაში - 777405 მ.

ამ შეერთებულ ანგარიშში არ შედის 1 ღვინობისთვის შემდეგ 31 დეკემბრამდი გახსნილ 5 ამხანაგობის ანგარიში.

დაუკვირდეთ ამ ანგარიშებს. ორივე ტიპის კოოპერატივების საკუთარ თანხების ჯამი უდრის 108953 მან. 68 კ. ამ ჯამში შედის წილის ფული, საკუთარი ძირითადი თანხა, სათადარიგო და განსაკუთრებული დანიშნულებისათვის გადადებული თანხები. გარდა წილის ფულისა სხვა თანხები შესდგება უმთავრესად ამხანაგობების წმინდა მოგებიდან: წლის ბოლოს ამხანაგობა ვალდებულია თავის უმეტესი ნაწილი წმინდა მოგებისა გადასდოს ზემო მოხსენებულ თანხების გასაძლიერებლად ანუ დასაარსებლად. მაშ საკუთარი თანხა 115 ამხანაგობას ამდენი აქვს. ახლა გადავიდეთ იმ კითხვაზე, თუ რამდენი უშოვიათ ფული ამხანაგობებს თავის ინიციატივით, ე. ი. რამდენია მობარებული ფული. ერთად ეს ფული უდრის—172778 მ. 58 კ. რომ მივიღოთ მხედველობაშ რუსეთის შუა გუბერნიებში არსებული კოოპერატივების ის მდგომარეობა, რომ მათთვის უმთავრეს წყაროს, საიდანაც საწარმოვო საშუალებას შოულობენ, არის მობარებული ფული, დავრწმუნდებით, რომ ჩვენ კოოპერატივებში დადებული მობარებული ფული შედარებით მათ საერთო ბალანსთან სწორეთ ერთი წვეთია ზღვის მორევში. მაშ ჩვენი კოოპერატივების საკუთარი თანხები და მობარებული ფულები 300,000 მანეთამდისაც არ ადის მილიონ-ნახევრიან ბალანსთან. სხვა ფული მოდის მარტო მთავრობის სხვა და სხვა წყაროებიდან, სახელმწიფო ბანკის დახმარებით.

ნუ დავივიწყებთ იმ შესანიშნავ მოვლენასაც, რომ მობარებულ ფულს უმეტესად ვხედავთ ტფილისის გუბერნიის იმ კოოპერატივებში, რომლის რაიონში ან რუსებია, ან გერმანელები და სხ. ქართველ მასსიდან შემდგარ კოოპერატივში მობარებულ ფულს ძვირათ ხედავს კაცი. ეს ეპიდემიური მოვლენაა. ჩვენი ახალგაზრდა კოოპერატივების ცდა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ საკუთარი წყაროები ფულისა გააფართოვონ, მისაბარებლათ ფული მიიზიდონ და ეცადონ, რომ დამოუკიდებელ პირობებში დააყენონ თავისი საქმე.

ახლა სახელმწიფო ბანკი დახმარებას უწევს წვრილ კრედიტთა დაწესებულებებს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სხვა ქარმა დაჰბერა უცბათ, და მთავრობამ მათ დახმარებაზე უარი უთხრა.

ამას ის შედეგი მოჰყვება, რომ ყველა საკრედიტო ამხანაგობებმა უარი უნდა სთქვან არსებობაზე. დიდად საგულისხმო მოვლენაა ისა, რომ 1 იანვარს 1914 წ. მთავრობის წყაროებიდან ყველა კოოპერატივებს ძირითად თანხად მიცემული აქვთ 224.105 მ. ამავე დროს ყველა (120) კოოპერატივს ნდობა აქვს (კრედიტი აქვთ გახსნილი) ტფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორაში 996.000 მანეთის. აღვნიშნოთ ის, რომ ახლანდელი ბანკის გამგეობა და მისი „учетно-ссудный" კომიტეტი თანაგრძნობით ეპყრობა წვრილი კრედიტთა დაწესებულებებს, დახმარებას ფულით ფართოდ უწევს. ამ მხრივ თბილისის გუბერნიის წვრილი კრედიტის დამწესებულებანი განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიან. რომ გამოიცვალოს ბანკის ამ საკითხთან დამოკიდებულება?

ყოველის მხრით უკეთესია, რომ თავისი წყაროებიც გაიჩინონ ამხანაგობებმა, მით უმეტეს, რომ მობარებული ფული ამხანაგობას თითქმის იმდენი უჯდება, როგორც სახელმწიფო ბანკიდან ნასესხები.

კერძოდ საინტერესო მოვლენაა ის, რომ ქართულ საკრედიტო კოოპერატივებში საკუთარ წყაროების, კერძოდ მობარებული ფულების თანხის ზრდას ნაკლებად ვამჩნევთ. ეს უთუოდ მით აიხსნება, რომ სოფლად ეს დამწესებულებები ჯერ ახალგაზდანი არიან, ჯერ თვითეული მათგანი სცდილობს სოფელში საუკუნოებით დამკვიდრებული მევახშეობა მოსპოს. სანამ მევახშეობა სოფლად მოსპობილი არაა, საიდან გაჩნდეს ამხანაგობის კასაში მობარებული ფული?

თუ ვინმე სოფლად ამხანაგობაში ფულს მისაბარებლად მიიტანს, პირველი ეს სოფლის ფულიანი—მევახშეა, რომელიც ჯერ კიდევ მარჯვედაა და თავისუფლად ასესხებს 40 კ. ან 50 კ. თუმანს თვეში. როცა ამხანაგობები მომაგრდებიან და მევახშეს ფულის გასესხების გზა დაკეტილი ექნება, მაშინ ეს უკანასკნელი ფულს მოიტანს ამხანაგობის კასაში, და რა გზა აქვს კასიდან 7 კ. % მანეთზე წელიწადში არ დათანხმდეს? მეორე ისაა, რომ საკრედიტო კოოპერატივები თანდათან პოპულიარული ხდებიან ფართო მასსაში და ეს უკანასკნელი პირველთ თანდათან მეტის ნდობით ეპყრობა. თუ კოოპერატივი ნდობას მოიპოვებს, მოსაბარებლათ ფულს ყველა მიიტან მის კასსაში.

გადავიდეთ ეხლა კოოპერატივთა იდეიურ მხარეზე და ამაზე შევაჩეროთ ყურადღება. კოოპერატივი ერთგვარი სკოლაა გლეხობისათვის. ამ დამწესებულებაში მონაწილე გლეხი, დაინტერესებული საქმის მატერიალური მხრით, მუდამ ეძიებს სხვებთან ერთად გზას, თუ როგორ წაწიოს წინ საერთო საქმე, თუ როგორ უკეთ გამოიყენოს ამხანაგობის წმინდა მოგება. მას მით უფრო აინტერესებს ეს საქმე, რომ ის ცხადად გრძნობს, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მისგანაა დამოკიდებული, ამ საკითხის გადაწყვეტაში იგი სრულიად დამოუკიდებელია.

აქ ის ცხადად ჰხედავს, რომ მისი დამოკიდებულება კოოპერატივის გამგეობასთან არა ჰგავს მისივე დამოკიდებულებას მამასახლისთან ან სოფლის სამმართველოსთან: აქ სულ სხვაა, აქ ამხანაგური საქმეა, მას ეკითხებიან, და აღარ სჩანს იგი იმ უპიროვნო არსებად, როგორც აქამდის ჰგრძნობდა თავის თავს. მაშ ის ცდილობს ითაოს რამე, კვალი რასმე დააჩინოს. ეს ხომ ცხადზე უცხადესია, მხოლოდ რა გზით შეიძლება ასე თან და თან განვითარდეს ჩვენი კოოპერატივები, რომ იგინი გლეხთა თვითმოქმედების განვითარების სკოლად იქცენ? ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენ არსებულ კოოპერატივებიდგან ნამდვილი კოოპერატივები შევქმნათ, საჭიროა რომ გლეხი დავაახლოვოთ საქმესთან, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ გლეხისათვის კოოპერატივის გამგე ორგანო იგივე სოფლის მწერლისაგან და მამასახლისისაგან შემდგარი სოფლის სამმართველო არ იქნეს. ამისათვის ჯერ საჭიროა, რომ კოოპერატივებს სათავეში უდგნენ საქმით დაინტერესებული, საქმის მოყვარულნი პირები. საჭიროა სოფლად მომუშავე ინტელლიგენცია, რომლის საკმაო რიცხვი ჯერ სოფლად, სამწუხაროდ, არა გვყავს. კოოპერატივის არსებობისათვის უუპირველესი საჭიროა თანხა და ადგილობრივ იტელლიგენტური ძალები. რომელი უფრო საჭიროა, ამ ორ პირობაში? ორივე აუცილებელი საჭიროა, ერთი უმეორეოთ ვერ შეჰქმნის კოოპერაციის ორგანიზაციას.

მხოლოდ, თუ შექმნილია უკვე ორგანიზაცია და დაისვა კითხვა მუშაობის გაღრმავების შესახებ, აქ კი უპირატესობა მეორე პირობას ეკუთვნის, ე. ი. ყველაფერი დამოკიდებულია მაზე, არიან თუ არა ინტელლიგენტური ძალები, რომლებიც მზათ არიან საქმეს წინ გაუძღვნენ. ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი კოოპერატივებისათვის საკუთარ წყაროების აღმოჩენის და ამ დაწესებულებების შემწეობით ცოდნის გავრცელების შესახებ. ყველაფერი მოსახერხებელია, თუ სოფლად მომუშავე შეგნებული პირები იქნებიან. უნდა გამოვტყდეთ, რომ უკვე არსებულ 120 კოოპერატივებიდან ცოტაა ნამდვილი კოოპერატივი, რადგან სულ ცოტაა საქმის სათავეში მდგომი კოოპერატორები. ვისგან შედგებიან ეხლანდელი ხელმძღვანელები? მღვდლებისაგან, მასწავლებლებისაგან უმეტეს ნაწილად. ეს პირები სოფელთან მუდამ დაკავშირებულნი არიან, სოფელში, ესე რომ ვსთქვათ, იგინი ჩაბმული არიან. თავის პირდაპირ მოვალეობათა შესრულებასთან ერთად იგინი ხელმძღვანელობენ სხვა კულტურულ დაწესებულებებს, მაგ. საკრედიტო კოოპერატივებს, სამკითხველოებს, საზოგადო მაღაზიებს.

ამათ გარდა ძალიან ცოტაა ქართველთა სოფლებში ისეთი პირები, რომელთაც სოფელში კულტურულ მუშაობისათვის დარჩენა გადაეწყვიტოს. რაღაც ქართული ფუქსავატობა ემჩნევა ჩვენ სოფლის შეგნებულ ძალებს: სოფელში არ ჩერდებიან, ქალაქებში მირბიან ოც-ოც მანეთიან ადგილებზე, ქალაქებში თუ არ მოკალათდებიან—მაშინ სადმე რკინის გზაზე, სადაც ადამიანი სოფელთან შედარებით უფრო მეტად გაერთობა. საკვირველად ახასიათებს ეს ფაქტი ჩვენ სოფლის შეგნებულ ძალებს თუნდ სომხების სოფელში მყოფ ინტელლიგენციასთან შედარებით იმდენად საჭიროა სოფლად ინტელლიგენტური ძალები, რომ ბევრგან სხვა რომ არაა, თვით სოფლის მწერალი ან მამასახლისი ხელმძღვანელობს კოოპერატივს. დალოცა ღმერთმა, რომ რამდენიმე შემთხვევაში ეს მამასახლისები პირადის ღირსებით ან შეგნებით საუცხოვოდ ხელმძღვანელები გამოდგნენ საქმისა. რომ ამათაც უარი ეთქვათ საქმის ხელმძღვანელობაზე?

მეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ქართველთა სოფლებში, შედარებით სხვა ერთაგან დასახლებულ სოფლებთან, ხელმძღვანელები ნაკლებად არიან დაინტერესებული მატერიალურად: მათი შრომა უმეტეს ნაწილად სრულიად დაუფასებელი რჩება, მხოლოდ საქმეს არ ანებებენ ამის მიზეზით თავს.

გადავიდეთ ეხლა მეორე პირობაზე, რომელიც აუცილებლათ საჭიროა, რომ საქართველოში არსებულ კოოპერატივებისაგან ნამდვილი კოოპერატივები შეიქნას. საჭიროა, რომ გლეხი დაახლოებული იყოს ამხანაგობასთან საჭიროა, რომ მას საშუალება ჰქონდეს თავისუფლად გაეცნოს თუ როგორ მიდის კოოპერატივის საქმე, ხომ არ ზარალობს ამხანაგობა, ხომ უნაკლოდ იწერება დავთრები; საჭიროა, რომ იცოდეს, თუ რაზე აწერინებენ ხელს, რის პასუხისმგებელია; ერთი სიტყვით აუცილებელი საჭიროა, რომ საქმის წარმოება მისთვის გასაგებ ენაზე წარმოებდეს. ამ კითხვაში ჩვენი კოოპერატივები განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. იმ დროს, როცა ასეთი კითხვა სრულიად არ არსებობს რუსეთის კოოპერაციის განვითარების დროს, ჩვენში ეს კითხვა მეტის მეტად მნიშვნელოვანია. უმრავლესი ნაწილი ჩვენი კოოპერატივებისა მოგვაგონებს ძველებურ სასამართლოებს, სადაც თავი და ბოლო საქმისა იყო მდივანი, ანა და მოვიგონოთ ეხლანდელი სოფლის კანცელიარიეები, სადაც უდიდესი პირი სოფლის მწერალია, რადგან მას ესმის, თუ რა სწერია კანონში, თუ რას იწერება მთავრობა, და როგორც უნდა, ისე შეუძლიან საქმე წაიყვანოს. უმრავლესობა ჩვენი კოოპერატივებისა სამწუხაროდ ამ დამწესებულებებს მოგვაგონებს. საქმის წარმოება რუსულადაა, დავთრები რუსულათაა დაბეჭდილი, პატარა წიგნაკებიც კი, რომლებიც ამხანაგებს ხელში აქვთ, ისიც რუსულათ იწერება. ამხანაგობების გამგეობაში საქმის მწარმოებელი მოგვაგონებს იმავე მდივანს ანუ სოფლის მწერალს, რის ნაწერსაც ვერ ხვდება უმეტეს შემთხვევაში გამგეობის წევრებიც კი; ასე რომ, თუ ინსპექციამ ყურადღება არ მიაქცია, საქმის მწარმოებელს (მონანგარიშეს) შეუძლიან ბევრი ბოროტ მოქმედება ჩაიდინოს განზრახ დავთრების ბრუნდათ წერით. ვინაა მისი კონტროლი, თუ რუსული წერა კითხვა მის მეტმა არავინ იცის? თუმცა ასეთ ბოროტმოქმედებას ჯერ ტფილისის გუბერნიაში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ვინაა თავმდები, რომ მომავალში არ ექნება? განა მარტო ისაა საჭირო, რომ ბოროტ მოქმედება ავიცილოთ თავიდან? ჩვენ გვინდა, რომ ჩვენ კოოპერატივებში ნამდვილი კოოპერატიული ატმოსფერა მეფობდეს; ამისათვის პრაქტიკა ცხადად გვიმტკიცებს, რომ საჭიროა საქმის წარმოება ქართულად იყოს და ზედამხედველ ორგანოსაც, ინსპექტორსაც, ესმოდეს ქართული, ურომლისოდაც ბევრს ვერას გააკეთებს.

ორი სამი წლის პარქტიკამ ბევრი საგულისხმიერო რამ გვიჩვენა. საჭიროა წარსულით ვისარგებლოთ და გამოცდილებით შეიარაღებულნი ჩავებათ მუშაობაში ახალის წლიდან უფრო ენერგიულად. დრო არ გვიცდის, ბევრი კარგი პირობები გვაქვს, რომ დავეხმაროთ ჩვენ გლეხობას. ამით თუ არ ვისარგებლეთ, შესაძლებელია ბევრი რამ დავკარგოთ.

მაშ ვულოცავთ ჩვენ ახალგაზრდა კოოპერატივებს ახალ წელს და ვუსუვრებთ მეტს სიცოცხლეს, მეტს ენერგიას.

კრიტიკული ესკიზები.

,,1913 წლის მწერლობა''.

(საახალწლო მიმოხილვის მაგიერ.)

1913 წელი მრავალის მხრით არის ჩვენთვის აღსანიშნავი. ამ წლის განმავლობაში თვალსაჩინო არა გაკეთებულა რა ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე, თუ ,,გაკეთებულ'' საქმეთ მარტოოდენ რეალურ სახით მოვლენილსა და შექმნილ საგანს მივიჩნევთ.

მაგრამ, სამაგიეროდ, ამ წლის განმავლობაში ძლიერ ბევრი რამ გაკეთდა, თუ კი საგანს ღრმად ჩავუკვირდებით და რეალობად არა მარტო ხილულ, ობიექტიურ საგანს მივიღებთ, არამედ შინაგან, სულიერ ზრდას, აზრისა და გონების მომწიფებას, მოვლენათა ობიექტივურ ჩაკვირვებას და სხვ.

ყველა ამან შეიძლება დღეს კიდევ თვალსაჩინოდ ვერ გახადა საზოგადოებისათვის: რა მიემატა ამ ხანში ჩვენს ცხოვრებას? მაგრამ მან უკვე აშკარად და ნათლად დაასკვნა, რომ მას მალე მიემატება და ისიც სისწრაფით გაიზრდება.

⁂

უბრალო მომაკვდავ ადამიანზე ბევრად უფრო სათუთი და მგრძნობი ფსიხიკა ანიჭა ბუნებამ ხელოვანს და უკანასკნელიც შინაგან სხვებზე უფრო ძლიერ განიცდის არსებობის ტრაგედიას.

მისი პოეტური ბუნება მეტყველ და აშკარა მოქმედებისაკენ იწევს და ასეთ მოქმედებას ფანტაზიის წყალობითა ჰქმნის.

მაგრამ აი, წარმოუდგა მას თვისი შემოქმედება ნათლად და მან აშკარად დაინახა კონტრასტი არსებულისა და პოეტურ სინამდვილეს შორის.

აქ ისევ იჭვნეულობა, სასოწარკვეთილება და უიმედობა იმკვიდრებს პოეტის სულში და ისიც ისევ ცრემლებად იღვრება.

ჭეშმარიტად ძლიერი უნდა იყოს მისი შემოქმედი ძალა, რომ მან არსებულ უმოქმედობაში პოტენციალური შემოქმედი ძალა იხილოს და ბრძოლის წყურვილი რეალურ ბრძოლად მიიღოს.

ამას სჭირია ნამდვილი ღია მჭვრეტი ფსიხოლოგი-პოეტი, რომელსაც შეუძლიან იგრძნოს მთელი სიძლიერე შინაგან, იდუმალ მუშაობისა, რომელსაც გარეგნულად სახვა სწყურია. ასეთ მწერლებისათვის უკვე დამთავრდა კვნესა-ვაების და უიმედო ცრემლების ხანა... ისინი ორგანიული ნაწილი არიან ჩვენის ერისა და ამ ერის წიაღში აღშფოთებულ ლტოლვას და სულიერ წყურვილს აშკარად ხედავენ. მათ იციან, რომ ყოველი შინაგანი წყურვილი გარეგნულ მოქმედებას იწვევს თავის დასაკმაყოფილებლად.

მე არ ვიტყვი, რომ ასეთი ძლიერი ბუნების მწერლები ბევრი იყვნენ ჩვენს უახლოეს პოეზიაში, მაგრამ, ცხადია, ისინი არსებობენ და სწორედ მათი ხმა გაისმის განსაკუთრებული ძლიერებით და ყოველი ჩვენგანი შინაგან განიცდის, რომ სწორედ ეს ხმა არის ახალი და ჭეშმარიტი. აი, ეს ოპტიმისტური განწყობილება გადმოსცა 1913 წლის პოეზიამ ახალს წელს და უკანასკნელს მართებს უფრო მეტი ენერგიით და სიხალისით მისი დამუშავება.

ამავე დროს არც მცირედია ისეთ მწერალთა რიცხვი, რომელნიც ძველებურად გოდებენ და სტირიან და თითქოს მათთვის დაფარული იყოს ეს შინაგანი ზრდა ჩვენის ცხოვრებისა.

მაგრამ მკითხველიც შეეჩვია ამ ვაებას და ეხლა მის გულწრფელობაშიაც ეჭვი ეპარება. იგი აქ თითქოს რაღაც არა ბუნებრივ სულის კვეთებას ხვდება, რომელიც ათასჯერ ამოუკითხავს სხვა და სხვა ფორმებით, აოეეზრებია კიდეც. ეხლა ასეთი სულიერი განწყობილება მას ცოტა რაიმეს ეუბნება და იგი ინსტინქტით გრძნობს ამ ტრაღიკულ პოზის სიყალბეს... ამ მკითხველის წინ იშლება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი მოქმედება დარდებს უქარვებს.

რა თქმა უნდა, ინდივიდუალიზმის განმტკიცება პოეზიაში სანეტარო და პროგრესიული მოვლენაა, მაგრამ მას მაშინ მოეპოება ნიადაგი, როცა ზოგად ხასიათის პრობლემები დადებითად გარდაიჭრება და თავისუფალი ინდივიდუალობა თვის მდიდარ, ორიგინალურ ქვეყნიერებას და მსოფლიოს გაშლის. ხოლო დღეს, განსაკუთრებით ქართულ პოეზიას არ მოეპოება საამისო ნიადაგი, რადგან პიროვნება მრავალმხრით განიცდის შევიწროებას და დევნას, და ეს დევნა საშინელის სიმძიმით აწევს იმ კრებულს, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით იდეითა და მდგომარეობით.

ამის გამო, ჩვენს პოეზიაში, აშკარაა, ჯერ კიდევ მოქალაქობრივი მოტივის ჭარბობა. თვით ის ინდივიდუალიზმი, რომელიც გარეგნულად თითქოს გაბატონდა ჩვენს პოეზიაში, თვით ამ ხასიათის ლირიკა უნივერსალურ იერს გადიკრავს.

ყოველი პოეტი თავისებურ ფორმაში შლის საკუთარ ვარამსა და ქენჯნას, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით მის ვაების მიზეზებს, მივხვდებით, რომ იგი მიზეზი ზოგადია, საერთო ხასიათის; და რაკი მიზეზები ერთგვარია, თვით ლირიკაც ერთგვარობის ხასიათს იღებს. მე არა ერთხელ აღმინიშნავს, რომ ახალგაზრდა პოეტებს ერთმანეთისაგან ვერ გამოჰყოფთ, ვერ გაარჩევთ და მართლაც დიდი ნიჭია საჭირო, რომ ეს ზოგადი ტანჯვა ინდივიდუალურ სახეში გაშალოს და ორგინალობა ამჟღავნოს.

ამგვარად დაიფშუტა ინდივიდუალური ხასიათის ლირიკა და საზოგადოდ პოეზია ჩვენში.

მაშინ, როდესაც ევროპის ლიტერატურა გაამდიდრა და გაამრავალფერა ამ მიმდინარეობამ, ჩვენში იგი თითქოს ერთ მოჯადოებულ წრეს უტრიალებდა და მომაბეზრებელ ერთფეროვანობისა იყო.

ცხადია, ჩვენი ცხოვრება ჯერ კიდევ არ ყოფილა მზად, რომ ასეთ მიმდინარეობას გზა ხსნილი მისცეს, და ჩვენი მწერლებიც უნიადაგოდ ეწევიან უცხო მიმდინარეობის გადმონერგას.

⁂

გასულმა წელმა აშკარად ახადა ფარდა ამ ინდივიდუალურ ლირიკის სისუსტეს. ვერც ერთი პოეტი ამ დარგისა ოდნავადაც კი ვერ წაიწია წინ და მათი ბედიც მართლაც სავალალო შეიქმნა. ზოგს ბრაზიც მოსდის: კარგა ხნის მწერალს არ მაფასებენო.

მაგრამ როგორ შეიძლება ერთი მათგანის შესახებ სთქვა ის, რაც მეორეს და მეათეს შესახებ არ ითქმის, მაშინ როდესაც ისინი სავსებით ერთი და იმავე ხასიათის და ფორმის ლირიკები არიან.

გასულ წელსაც ჩვენ შევეძლო მარტო **შანშიაშვილზე** და **გრიშაშვილზე** შევჩერებულიყავით, რადგან მხოლოდ პირველმა შესძლო სევდა მამულისადმი და მისი ბედი, შედარებით, რთულ პრობლემაში გაეშალა და შინაარსიანის ლექსებით აეწყო, რადგან მხოლოდ მეორემ შესძლო თავისი გულის კვნესის ნაფ-

ლექსები ორიგინალურ, ჯერ უცხო ფორმებში გაეშალა და თვისი განსაკუთრებული განცდა ამ თავისებურ ფორმით ემღერებინა.

მაგრამ დანარჩენი პოეტებიც ენერგიული გამოდგნენ წერის მხრით, ისინი გულს არ იტეხენ და სწერენ ძველებურად.

საინტერესოა, რად არ ჩამოსცილდა ზოგი ნიჭიერი მწერალი ამ „უნიადაგო“ ნიადაგს და რად არ უბრუნა ზურგი ინდივიდუალურ ლირიკას?

სამისო მიზეზი ისევ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ.

პოეტი ჰქმნის შინაგანი ხმის მიხედვით, მის ბუნებაში გროვდება ენერგია, რომელსაც სწყურია—გამოხეთქოს და წაჰყვეს რაიმე ობიექტიურ ხმაურს, მოძრაობას. ქმნა, იგივე მოძრაობაა, და მოძრაობა მუდამ ახალ მოძრაობას ეძიებს.

აქ სუბიექტიური მოძრაობა ობიექტიურ სიცოცხლესა და მოძრაობას ეძიებს... და, რაკი ასეთს ჰპოებს, მას გაჰყვება და თვის გულის თქმას ამ გარეშე თქმაში ანელებს. აქ შემოქმედება პიროვნებიდან გარე მოვლენებზე გადადის და მათ ცვალებადობას და სვლას ხელოვნურად სჭვრეტს. აქ შემოქმედი ცხოვრებაში ჰპოებს ძალას, მას შეიყვარებს და თვის თავს კოსმოსის ნაწილად გრძნობს. ცხადია, აქვე უნდა ვეძიოთ წყარო ხალისიან დასაწყისა და ოპტიმიზმის, რომელსაც რელიგიური ხალისიანობის იერი აკრავს.

ასეთ დროს პოეტის ენით მთელი ერი, მისი საუკეთესო სწრაფვანი და ცოცხალი ბუნება მეტყველებს.

აქ ობიექტიური მოძრაობა, ცხოვრების ჩქეფა პოეტის სულიერ ღელვის ფორმით გვევლინება და თვით ავტორს ნაკლებად ვსჭვრეტთ. ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ გარეგნულ ცხოვრებას და მოძრაობას. აქ ლაპარაკია არა პოეტის განწყობილებაზე, არა მის იდეებზე, არამედ მრავალ საზოგადოებრივ მოვლენებზე, გარეშე ადამიანებზე, რომელნიც არც არიან და ნამდვილადაც არსებობენ, ე. ი. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ტიპებთან და ტიპიურ მოვლენებთან. ასეთი შემოქმედება ღრმად სწვდება და ენათესავება ჩვენს სულს, იგი მუდამ ჩამაფიქრებელია.

დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში საზოგადოებრივი მოძრაობა გარეგნულად არ გამოხატულა; მასში იდუმალი ძალა სცემს, მაგრამ ძალა იგი უაქტო და უენებოა დღეს. და პოეტის ბუნებაში შობილი ძალა სიცოცხლისა და აქტიობის გარეშე ცხოვრებაში ვერ პოულობს ხმაურს; და იგი ძალა შემოქმედისა მისსავე ბუნებაში რჩება, მისსავე ,,მე‘‘ს საზღვრებში ბრუნავს და ამკვიდრებს უიმედობასა და ვაებას. აქ სუბიექტიურმა ცხოვრებამ და მოძრაობამ ვერ ჰპოვა ობიექტიურ ფორმებში გზა-ხსნილი და იგი არც კვდება და არც გარეგნულად სცოცხლობს.

ამიტომ დღეის ინდივიდუალისტთა შემოქმედებაც ცოცხალ-მკვდარია. ,,შიგნითი რგოლი‘‘, რომელშიაც მომწყვდეულა შემოქმედი ძალა, ფრიად ვიწრო ჰორიზონტია და, ამის გამო, იქ საშინელი სილატაკეა ფორმათა სახვის. ამით აიხსნება ის საშინელი ერთგვარობა, რომელიც დღეის პოეზიაში გამეფდა. ყოველ რთულ პოეტურ შემოქმედებას სარჩულად ცხოვრების სინამდვილე უდევს და არა მარტო პირადი განწყობილება მწერლისა.

ხოლო არსებულ სინამდვილეს, როგორც ინერციულ ყოფისა და უმოძრაობის სიმბოლოს, პოეტის აქტიური ბუნება სრულებით ვერ ითვისებს... ამიტომ მისი შემოქმედება დაშორებულია სირთულესა და მთლიანობას; იგი შემოქმედება მარტოოდენ ლირიკის სახით ამოიწურება.

ეს ინდივიდუალური ლირიკა ოდნავ გამოცოცხლდება და სიმკვირცხლეს გამოიჩენს, როცა მის მოტივად ეროსი გარდაიქცევა. აქ სასიცოცხლო ძალის მას წმინდა ვნება შთაბერავს და სიყვარულის სახით დამწყვდეული, ჩაკეტილი „მე“ ნათესავ სულს ეძიებს. აქედან იწყება „შიგნითი რგოლი“ს გატეხა და შემოქმედ ბუნების გარემელავნება. სატრფოს ძიება მარტოოდენ შინაგან მოძრაობით ვერ დასრულდება. იგი მოძრაობა გარედ გამოდის, ნათესავ სულს დაეძებს. აქ მას არ შეუძლია ობიექტიური ქვეყნიერება მიიღოს და მასში შეიჭრას, მისსავე წიაღის საზიარებლად. მაგრამ იგი მაინც შედის ობიექტიურ ქვეყნიერებაში, როგორც სატრფოს სამყოფში.

აქ მისთვის ადამიანები და მათი სიცოცხლე არ არსებობს, რადგან აქ ისევ უმოძრაობას ხედავს; მაგრამ სამაგიეროდ იგი იყვარებს ბუნებას და მის ცვალებაში ხედავს სიცოცხლის საიდუმლოებას და ჭეშმარიტ მოქმედებას ღმერთისას, ე. ი. მოძრაობას ამჩნევს.

აქ იწყება მისი შერიგება ბუნებასთან და სიყვარული მას შემოქმედ სხივს ულევებს. აქ ბუნება მის კალმის ქვეშ სუნთქავს, სცოცხლობს და ისეთივე წარმტაცია, ვით პოეტის სატრფო, რომელიც ამ ბუნების წიაღში დამკვიდრდა.

საუკეთესო გამომსახველი სატრფოს სულის ძიებისა და ბუნების წარმტაც სიცოცხლის ისევ ი. გრიშაშვილია და მის პირდაპირ მოწაფეთ ჩაითვლება მეორე ახალ-გაზრდა პოეტი გუცა, თუმცა უკანასკნელი ბევრად მკრთალია და მის შემოქმედებასაც უფრო პესსიმისტური იერი აკრავს.

⁂

გათავდა.. შინაგანი რგოლი გატყდა, იგი გასტეხა სიყვარულის ძალამ, რომელსაც გარეგნულად სახვა და მაღალ იდეების ძიება, მუდმივი მოძრაობა სწყურიან. სიყვარული უშრეტი ძალაა, რომელიც კერძო პიროვნებისაგან გამოდის და მთელ მსოფლიოსაკენ იწევს, რომ ხალისიანობის და მშვენების რელიგიად იქცეს. სიყვარულის უშრეტმა ძალამ დაუსრულებელი სახეები და ფარდები მიუძღვნა მგოსნებს და ჩვენში მათ შორის პირველი გრიშაშვილია.

მისი სული ,,ნიავია‘‘, ,,მისებრ მალი, იდუმალი‘‘... ბევრგვარ ცვალებადობას განიცდის იგი სული პოეტისა, მაგრამ რამდენადაც იგი ხალისიანია, როცა ბუნების წიაღში დანავარდობს, იმდენად ნაღვლიანია, როცა თვის სატრფოს უახლოვდება, ამ დროს სატრფო აღარ არის ღვთაებრივი კულტი და პოეტიც იქვით იმსჭვალება.

ამ დროს მას ისევ სწყურია—დაკარგოს თვალიდან სატრფო, რომ ხელახლა ცხოვრების მაღალ მიზნად გაიხადოს და ეძიოს. და ეგ მუდმივი ძიება მას ტანჯვას მოჰგვრის, მაგრამ სიყვარულით ტანჯვა წმინდაა და პოეტსაც სანანებლად არ რჩება იგი.

„მე შენ დაგეძებ, შენ, სიხალისევ,
და მიტომ შევქმენ დღე საგანგებო,—
რომ ხვალ ხელახლა დაგკარგო ისევ,
რომ ზეგ ხელახლა ისევ გეძებო.
გაფიცებ, სატრფოვ, სიცოცხლის იერს
სიკვდილის ეშხით მინაზებულსა:
მე ტანჯვას ვეძებ, ტანჯვას მშვენიერს,
თვით სიყვარულზე შეყვარებულსა“.

აქ პოეტი აშკარად განიცდის, რომ მას უყვარს თვით სიყვარული და მითი კმაყოფილება. უკეთ რომ ვსთქვათ, მას უყვარს თვისი პოეტობა და შემოქმედებითი ტანჯვა.

გრიშაშვილის ეროსი განსაკუთრებით ძლიერია უსატრფოოთაც, მის მდიდარ ფანტაზიას შეუძლიან თვით სატრფოს წარმოშობაც სინამდვილეში, მაშინ, როდესაც იგი სატრფო შორს არის მისგან.

წინააღმდეგ, ეგ სიყვარული ბევრად უფრო ძლიერის ნაკადით გადმოსჩქეფს, როცა იგი ფანტაზიით ჰქმნის სატრფოს სახეს. აქ კიდევ უფრო ცხადად სჩანს, რომ იგი დაეძებს სატრფოს იდეალურ სახეს და რაკი სინამდვილეში ეჭვი იპყრობს, იგი მას შორდება და ფანტაზიით ჰქმნის სასურველ სინამდვილეს. ამ დროს იგი მართლაც ორგანიული ნაწილია ბუნების, მისი ვნებიანი და ხალისიანი პირმშო.

აი, ასეთ ადგილას განსაკუთრებით აშკარა ხდება ყველასათვის, რომ გრიშაშვილის პათოსი მშრალი არ არის, რომ მას მართლაც სწამს რეალობა იმ სინამდვილისა, რომელიც მისმა ფანტაზიამ შეჰქმნა.

„იცი! შენ თუ მართლა წახველ, მე ეს არა მჯერა,
რადგან სიზმრად შენი სახე ვნახე რამდენჯერა:
მე ეხედავდი **თვალთა ჟღერას, ვარდის ფერ სიარულს;**
მე ვხედავდი **თმების ღიმილს,** ღიმილსა მხიარულს;
მე თვით... მე თვით გავიგონე შენი ხმათა ბგერა
და შენ წახველ? მართლა წახველ? **რა ვქნა— არა მჯერა.**
დღეს ვეწვიე შენს სარეცელს და რა მომელანდა:
შენი ტანის ხვეულები შენს ლოგინზე სჩანდა
და ის ნაკვთი, ის ნაკვლევი იყო ისე ნაზი,
ვით ტილოზე ქანდაკება ყალმით მონახაზი“.
(იხ. „უიმედო იმედი“)

⁂

მაგრამ გრიშაშვილის შემოქმედება მარტო ცოცხალის წარმოდგენით და ორიგინალი სახეებით არ ამოიწურება. ბოლო ხანებში შესამჩნევი გახდა, რომ მისი შემოქმედება ჭეშმარიტი განცდაა თვითონ მოქმედებისა და აქტის, რასაც ასე მოკლებულნი არიან დღეის პოეტები. მას არა მარტო სწამს ჭეშმარიტება თვის შემოქმედებისა, იგი არა მარტო ჭვრეტით კმაყოფილდება ამ პოეტურ სინამდვილესა, არამედ თვითონ მონაწილეა, მოქმედია ამ სფეროში. ამიტომ მისი სახე არასოდეს არა ჰქრება შემოქმედებაში, როგორც სახე ინდივიდუალისტ-ლირიკოსთა, მაგრამ რამდენადაც უკანასკნელნი პასსიურნი არიან, იმდენად პირველი აქტიური და დაუღალავი მოქმედია. იგი სჭვრეტს, მოქმედებს და ჰქმნის ამ ჭვრეტა-მოქმედებით. ეს ორი მომენტი მჭიდროდ გადაბმულია მის შემოქმედებაში. უკანასკნელი, ამრიგად, სინტეზია გარდამა მხარის ჭვრეტა-მოქმედებისა, მოძრაობისა.

ამრიგად გრიშაშვილის პოეზია იმქვეყნიურობის, პოეტურ სინამდვილის **მოძრაობის ჭვრეტაა.**

„იქ მე **ასე** გადაგიწვენ სათუთ მკლავზე გადატეხით,
იქ მე კოცნით წავშლი მიწას აქოჩრილსა შენის ფეხით;
იქ მე **ასე** მსურს მოვკოცნო შენი ტუჩი მოხასხასე
აი **ასე** მსურს მოვკოცნო...**აი ასე აი ასე**...
იქ დღეს სულ სხვა სალამოა,
სხვა სალამო, სხვა სალამო
წამო ტყეში! ტყეში წამო!“.
(იხ. „ღამე ტყეში“)

თქვენს ყურადღებას მივაქცევ სიტყვებზე: „ასე, აი ასე, აი ასე!..“ აქ თითქოს პოეტი მოქმედებს, წინასწარ ისე ცოცხლად წარმოუდგა მას სურათი, რომ მისი აღწერაც-კი ზედმეტად მიაჩნია, მას თითქოს ვერც კი უპოვია სიტყვა, ფორმა,, რომელიც ამ სურათს გამოსახავდა და ის ამ მოქმედებაზე გვითითებს: „აი ასე!..“ და თითქოს ჩვენც ვხედავთ, გვესმის ყოველივე. ასეთ მოქმედებას და აქტივობას თვით მოქმედების წუთებში მრავალჯერ შევხვედრივართ გრიშაშვილის ლექსებში. განსაკუთრებით ბოლო ხანებში ასეთი მოძრაობითი ჭვრეტა იტაცებს ჩვენს მგოსანს და ეს პირველ საბუთია პოეტის ჭეშმარიტ პათოსის, მის გულწრფელობის, რომელიც ასე ათრობს მის ფხიზელ გონებას და ქმნილ სინამდვილის ორგანიულ ნაწილად ხდის.

ჭეშმარიტად დიდია პოეტის ბუნებრივი ნიჭი და ჩვენ უფრო მეტს მოველით მისგან.

⁂

ზოგ მწერალს უკვე აღარ აკმაყოფილებს სქესობრივი ლირიკის დარგი და აქ ისინი სრულ უაზრობასა და უმიზნობას ხედავენ. მაგრამ ,,შიგნითი რგოლი‘‘ უკვე გატეხილია, პოეტი მისგან გამოვიდა, თავისუფლად ამოისუნთქა და მას აღარ შეუძლია ისევ ამ რგოლში მომწყვდევა, არ უნდა შიგნითი ტყვეობა განიცადოს; მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სიყვარულის ძალა და მისი წარმატება იგრძნო.

აქ იგი ახალ გზას გაჰყვება, ისევ სიყვარულის ხმას მისდევს, მაგრამ ისეთ სიყვარულისას, რომელიც შვებასა და შინაგან კმაყოფილებას მოგვრის.

და აქ იცვლება სიყვარულის ობიექტი; უკანასკნელი საზოგადოებრივ ხასიათს იღებს.

აქ ვხედავთ მთელ ჯგუფს ჩვენის ახალ მწერლებისას და მათ შორის პირველი ადგილი ისევ ა. შანშიაშვილს უჭირავს. მის პოეზიის სათაყვანოდ დიდი ხანია, რაც სამშობლო გამხდარა და იგიც მტკიცედ ემსახურება მას. მაგრამ შანშიაშვილის შემოქმედების ამ მოტივზე ბევრი გვსმენია.

⁂

ჩვენთვის უფრო საინტერესოა იმ დარგის პოეტთა შემოქმედება ამ საგანზე, რომელნიც ამ თემას სავსებით უარჰყოფდნენ და ხელოვნურად გზას უვლიდნენ. სიყვარული სამშობლოსადმი ისეთი ძლიერი გრძნობაა, რომ იგი თავგანწირულებამდე მიიყვანს ადამიანს და მომაკვდავს გმირად აქცევს; მას არ სწამს კერძო ბედნიერება, მაშინ, როცა სამშობლო განსაცდელშია და ისიც გმირულად სწირავს თავს.

ასეთი მომენტი ნიჭიერად გადმოუცია ნ. ჩხიკვაძეს ლექსში: „სიყვარული“.

...„ვნახე გმირი მკლავ-მედგარი, ახალგაზრდა, სავსე, სრული,
[illegible] რის ისრითა განგმირული.
მაგრამ იგი არ კვნესოდა, მამულისთვის განწირული,
და ბრძოლისთვის სხვებს იწვევდა მისი სიტყვა, ხმა გმირული.
გამიკვრდა საქმე მისი, ვაჟკაცობა საოცარი,
მიველ მასთან, მივესალმე და თამამად ეს ვუთხარი:
„ესდენ ძალას აწ რა გაძლევს, როს დაჭრილსა გხდება სული?
მან მომაპყრა სიყვარულით სახე მისი მოღიმარი,
მშობელ მიწას ხელი დაჰკრა და მომიგო:—სიყვარული!..“

ასეთ თავგანწირულებას წარმოშობს პოეტის აზრით სიყვარული სამშობლოსადმი, რომლის ხსნა საუკეთესო მიზანია ადამიანისთვის. მეორე პოეტი გ. ქუჩიშვილი უფრო გარკვევით სახავს სამშობლოსადმი სიყვარულის ძალას და მის უუფლებობით აღშფოთებას.

ზოგ მის ლექსში აშკარად მეტყველებს სამშობლო ქვეყნის მდიდარი ბუნება და ამ მშვენიერ ფონზე იხატება აღმაშფოთებელი სურათები ადამიანთა ჩაგვრისა და ერის დევნისა. და ამ სურათის დანახვაზე ავტორს ბოღმა ერევა და იგი იმდენად აღშფოთებულია სამშობლო ქვეყნის დევნით, რომ ყველა მგოსნებს აქ მოუწოდებს და პირდაპირ ამბობს: „მგოსანი უნდა იყოს ერისა“ო, რომ

,,მშობელი ქვეყნის ბოღმით, ვარამით,
იგიც აივსოს და ბობოქრობდეს,
ხალხს წინ უძღოდეს რწმენის ალამით
მის სასიცოცხლოდ სიკვდილს ნატრობდეს.
არა, არ მინდა ჩემი ფანდური
ნაზ-ტკბილ წკრიალა მგოსნის ქნარს გავდეს;
მსურს ჩაგრულ ერთა იყოს მსახური
მის მტერს და დუშმანს გულსა გმირავდეს‘‘.
(იხ. ,,ერის მგოსანი.‘‘)

აქ აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ეს ორი პოეტი ეხლა აშკარად აღიარებენ იმ გრძნობის მოქალაქობრიობას და კეთილშობილებას, რომელსაც მათი მრწამსის ხალხი დღესაც სდევნის.

ეს მოვლენა სულ ახალია და მან უმეტესად გასულ წელს იჩინა თავი.

თითქოს ეხლა აშკარა გახდა, რომ სოციალურ მოტივთან ერთად, ეროვნულ მოტივსაც შეუძლიან საპატიო ადგილის დაჭერა.

როცა სამშობლოს კერა დარბეულია და შავი ყორანი თავს დაგვჩხავის, მგოსანსაც არ შეუძლიან გულდამშვიდებულად უცქიროს ამ შესაზარ სურათს. მგოსანი ორგანიული ნაწილია, შვილია სამშობლოისა და მშობელ სულს დაეძებს მისი სულიც; სულს, რომელიც წმინდად და შეულახველად არის დაცული, რომელსაც დროთა ვითარების გადამგვარებელი კვალი ჯერ არ დაშთენია... მაგრამ ვაი, რომ ასეთი სახე, წმინდად დაცული სული აღარსად მოიპოვება და ეულად დაეხეტება მგოსანი და ტყვილად დაეძებს თვის ,,სამშობლოში სამშობლოს დაკარგულს‘‘).

პოეტ. კ. მაყაშვილის სული ნამდვილი ქართველის სულია, რომელსაც უნდა მშობლის სულს ეზიაროს; და იგი მას დაეძებს ტაძარში, სკოლაში, ოჯახში, ქალაქში და სოფლად, მაგრამ შეულახველი წმინდა ქართული სული აღარსად სჩანს... მას ყველგან სდევნიან და რყვნიან. ყველგან დამონებულია სამშობლო და „სხვისი რჯული და ენა“ გამეფებულა.

„ჩემს სამშობლოშივე“, ამთავრებს გულმოკლული მგოსანი დაუსრულებელ ძიების შემდეგ,

„სამშობლოს დაკარგულს
დავეძებ ბედისგან კრულს!
სამშობლოს ჩვენივე ხელითა დამარხულს
მის სხეულს და იმის სულს“!..

ძლიერ შორს წაგვიყვანდა ყველა იმ პოეტთა ჩამოთვლა, რომელნიც თვის სამშობლოს ბედს დასტრიალებენ და მის მომავალს უმღერიან. დღეს ასეთების რიცხვი ლეგიონია.

მაგრამ მათ შორის გამოიყოფა თითო ოროლა, რომელნიც ამ მოტივს ახალის სახით ამუშავებენ. თუ აქამომდე მარტოოდენ წარსულის მოგონება და აწმყოს უნუგეშო სურათით სევდა ვარამი და ნაღველი სჭარბობდა, დღეს ამ თითო-ოროლა მგოსანთა სულიერი განწყობილება შეიცვალა და ისინიც შურისძიების წყურვილით და უკეთესი მომავლის იმედით აღინთენ.

ამ პოეტთა შორის აღსანიშნავი არიან ბ. ფაშალიშვილი და ცვარნამი. პირველს კარგა ხანია იცნობს მკითხველი საზოგადოება, ხოლო მეორე სულ ახალი მწერალია (ქუთათურ გაზეთებში სწერს), მაგრამ უეჭველია დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს და თუ შრომა არ დაეზარა, თვალსაჩინო ადგილის დაჭერა შეუძლია ჩვენს პოეზიაში.

ფორმის სიმდიდრე და სურათების ცოცხალი წარმოდგენა, სადა, მაგრამ მდიდარი სალებავები და გრძნობი, სიმშვენიერე; აი, რა აძლევს განსაკუთრებით ღირსებას ცვარ-ნამის ლექსებს.

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის არჩ. ჯორჯაძის გარდაცვალების გამო მრავალ პოეტთა აღმოხდა კვნესა ლექსის სახით, მაგრამ ყველა მათგანში გამოირჩეოდა ცვარ-ნამის ლექსი და იგი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა მკითხველზე.

მაშინ, როცა დანარჩენთა ლექსები ტყვიასავით მძიმეა, ცვარ-ნამის ლექსი ცელქად რაკრაკობს, მსუბუქი და ლამაზია.

მოვიყვან ზოგ ადგილებს მისი ლექსიდან: „ცეკვა“.

„დაჰკარ, დაჰკარ, დაჰკარ, დაირს,
ააკვნესე სალამური
შეარხიე ეშხით ქალო
ეგ ლერწამი საამური.
ვარდის ტოტზე შეხტა ჩიტი,
ფრთა გაშალა, შეფრთხიალდა
ადგილს მოსწყდა მინდვრის შველი
წრის გარშემო დასრიალდა.
. . . .
თოვლნაფიფქი თეთრი კაბა
თრთის და ღელავს, ზღვად იშლება
შავ-ხუჭუჭ-თმა მკერდს უკოცნის,
ხან ბროლის ყელს ტბად ევლება.
. . . .
აუთრთოლდა ვარდის ბაგე,
გიშრის ტბაზე ჩაჰქრა სხივი,
დაეკარგა ღაწვებს ფერი
ცეკვის ჟინით ანაღვივი.
შუბლით მოსწყდა მარგალიტი,
წარბის ბოლოს დაეკონა,
მოიქანცა ცეკვის ღმერთი,
მოიქანცა ცეკვის მონა.
დაჰკარ, დაჰკარ...“ და სხვ.

აქ ისე ცოცხლად გვიდგება თვალწინ ეს ლამაზი ცეკვა და მისგან მოღლილი ქალწული, რომელსაც დაღლილობით „შუბლს მოსწყდა მარგალიტი“, რომ თქვენ გიტაცებთ დაირის ხმა და ქალის ლერწამი, საამური ტანის რხევა.

აი, ჭეშმარიტი [illegible]
ბის შობა.
მაგრამ მე ამ შემთხვევაში ც
ნამის პოეზიის მთავარი მოტი
ინტერესებს და არა მისი ლ
ფორმა.
თითქოს ავტორი ინტუიციი
ხვდა, რომ შეუძლებელია საუკუ
ბით ცრემლთა ღვრა, რომ ამ
რა-ვაებასაც ბოლო უნდა მო
და შურისძიების ხმამაც უნდა
ჰქოს.
მის პოეზიაში დაგმობაა სიბნე
მოცულ უიმედობა — სასოწარკვ
ლების და ყველგან შურის ძ
ნაპერწკალი ღვივა.
„ფრთა შევასხი ალმაფრენას,
ყვავილებით მოვრთე ქნარი,
შავ ოცნების **ცის შავ მკერდზე**
ავაფეთქე ვარსკვლავთ ჯარი.
ნიავს მივეც ოხვრა, დარდი,
სულს ავხადე სევდის რიდე...
სამშობლო მხარეს მიდამოს ტ
ზამთარი დაეპატრონა და ყორ
დასჩხავის, მაგრამ პოეტის გულ
იღვიძებს საგაზაფხულო წყურ
და ისიც სწყევლის ზამთარს.
„ამევსო შხამით წვეთ-წვე
შურის ძიების ფიალი, —
ჰოი, ზამთარი, ზამთარი,
ჰოი ზამთარი ტიალი!“
(იხ. „ზამთარი
ან და მეორე ლექსში; „ზღვ
აი, რას ამბობს პოეტი:
„ნავი დამემსხვრა, ვერ შევსძ
შელეწვა ტალღათ მკერდისა
გულის-პირს სისხლი ჩამომდის
ბრძოლაში ნათავხედისა,
. . . . .
აწ ვნახო საით გამტყორცნის
ეგ უცილობა ბედისა“.
აქ პირდაპირი ბრძოლა გამოუ
და პოეტმა უსამართლობას, რა
იცის, რომ ამის მეტს ვერას ავნ
ვერსად გასტყორცნის ბედი და
ნასკვნელი შებრძოლება სწყურ
შურის ძიებით აღვსილს.

⁂

პოეტ ს. ფაშალიშვილისათ
თითქოს ყოველი მნიშვნელობა
კარგავს ცრემლთა ღვრას და ვა
იგი აშკარად გრძნობს, რომ მო
ლის შვილია და ამ მომავლის
სიმღერას ემსახურება... დღეის გლ
ვა და წუწუნი მას ბევრჯერ სმენ
მაგრამ მისთვის სანეტარო შე
ამ ტანჯვა-ვაებისა...
„მე კარგად ვიცი“, ამბობს
„თუ გლოვის ჟა
გულ-ხელ დაკრებით მეც ცრემ
ვღვა
სხვაც მე ბანს მომცემს და ზ
დაერთ
იარას, ისევ იარა მწარე“.
პოეტს თუმცა კარგად ესმის
სამშობლოს კვნესა და ვაება,
რამ ამ კვნესას კვნესითვე ვერ
სუხებს, რადგან
„მას სულ სხვა გზა აქვს...
რის ტრფობ
გონება მისი ეტრფის სხვა
სკვლ
და ბედის ჟამთა ცვალებადობა
მის სულის სწრაფვას ვერ სძლ
ვერა კლ
აქ სჩანს, რომ პოეტმა ვაება ს
ღერად შესცვალა, მაგრამ იგი ს
ღერა მისდა სანუგეშოდ კი
შეუთხზავს, არამედ ერის გასამხ
ვებლად, მის საკეთილდღეოდ:
„ჩემი სიმღერა ერის მოთქმაა,
სახე მის წყლულის ხვაშიადისა
სასტიკი გმობა უსამართლობის
და მოწოდება განთიადისა“.
თვისი სიცოცხლის ერთად-ერ
დანიშნულებასაც მარტო ერის მ
მავლის სამსახურში ხედავს პოეტ
რად ან იგი ერმა აღზარდა და
ერს უნდა გადაუხადოს წმინდა ვალ
რაკი იგი მსხვერპლს ითხოვს.
„მე ერის მწარე კვნესამ გამზარდა,
მის ცეცხლის ცრემლმა აღმინთო გუ
ლ
ჩემი სიმღერაც იმას ეკუთვნის,
მისი მოთქმაა და მისი წყლული..
და დედის ძუძუ შხამად შემერგოს,
წყევლად გადმექცეს მის ტკბილი ნან
თუ ტრფობა ჩემის ტანჯულ ქვეყნის
თვით სამარეშიც არ ჩამყვეს თანა“.
(იხ. ,,მაშინ მე ვმღერი‘‘.)

⁂

ყველაფერი მაღალი იყო ადამია
თან ერთად სიყვარულიც. **ჯორჯ**
კიას პატარა მინიატურა: „ნინო დ
ვახტანგ“ საკმაო სიძლიერით გვიხ
ტავს ამ დიად გრძნობათა ძალას დ
ქართველი ქალის მაღალ, სპეტ
ბუნებას სიყვარულს. ვახტანგი დ
ნინო სტკბებიან ურთი-ერთის ს
ყვარულით, მაგრამ დადგა დრ
სამშობლოსგან საცდელისა და ვა
ტანჯიც მოუფიქრებლად გაიქ
ბრძოლად; გაიმარჯვა ქართველთ

III

დაიხსომე!
ლექს ვიტყვი და... და შემდეგ კი ნება მომე,
რომ მე სახლში გაგაცილო!
(რა გიჟი ხარ, ღმერთო ჩემო, რა ცელქი და სასაცილო)
იცი! ეხლა ამ თქვენს მხარეს თურმე დადის ეს ლეგენდა:—
—სადიდებლად, სატრფოვ, შენდა
აქეთ მიტომ გამოვჩქარდი,
რომ ფიქრები შენსკენ ჰფრენდა,
რომ მიყვარდი... რომ მიყვარდი...
რაო? რა სთქვი? ჰა... არ მესმის. არაფერი? სტყუი! მაშ და—
ლალის ბეწვ-ბუსუსი
კოცნის ცეცხლით შენატრუსი
რისთვის... რისთვის ათამაშდა?!.

დავათავე!
და ეხლა კი გაგაცილებ!—ხომ დაგპირდი?...
აღარ არის უკვე ადრე
და მეტადრე
მე ამ ბრბოში
თავს ისე ვგრძნობ, ვით კუბოში.
მომენატრა სისუფთავე...
რად გაჰკვირდი?..
ჰა! არ მესმის... გარკვევით სთქვი... სთქვი რა უფრო მოგეწონა:
ლაპარაკი, გრძნობა, სახე, სიტყვები თუ ლექსთა კონა?
გახსოვს მე ვსთქვი:—
—ცას ავხედე და დავთვალე ცხრა ვარსკვლავი მონაწყვეტი,
შენს თვალებში ჩავხედე და იქ დავთვალე ორით მეტი.
ე. ი. იქ თერთმეტი.
და ეს ლექსი-გამოცანა,
გამომიტყდი ახსენ განა!?.
ამიხსენი!..
და თუნდ გახდეს განთიადის ცხრა საათი,
გეფიცები, არ შევსწყვიტო ამ საგანზე მასლაათი
ა-მ-ი-ხ-ს-ე-ნ-ი!
აღარ მინდა გაგაცილო...
(რა გიჟი ვარ, ღმერთო ჩემო, რა ცელქი და სასაცილო).

კავკავი.

ი. გრიშაშვილი.

ჯარმა და იგი ბრუნდება თავის ქვეყანაში. ნინო და ვახტანგი ერთმანეთს ჩაეკვრებიან, მაგრამ ნინო რაღაც სევდას ატარებს, მას თითქოს სიყვარული აღარ ახარებს. ვახტანგს ეჭვი იპყრობს და ერთხელ ამ მოწყენის და სევდის მიზეზს ჩაეკითხავს ნინოს. ამაზე უკანასკნელი უპასუხებს, რომ მას ეგონა თვისი მიჯნური რაინდობით თავს ისახელებდა და ომიდან ისე დაბრუნდებოდა, ვით ნამდვილ მეომარს შეშვენის: დაჭრილი, დაკოდილი...

ამ სიტყვებზე ვახტანგი ღილს გახსნის და ნინოც მის მკერდზე ჯერ [illegible] დაუშუშებელ იარას დაინახავს.

— ვახტანგ, რა რიგ მიყვარხარ!.. ამოიძახებს აღფრთოვანებით ნინო და ჩაეკვრება მის მკერდს. აი, ბუნება ძველის ქართველი ქალისა, რომელსაც წმინდა მაღალი სიყვარული სწამდა. აქ პატრიოტიზმი ქალსაც რაინდად და თავგანწირულად ხდიდა, რომელსაც საკუთარი ბედნიერება და სიყვარული გარეშე საერო ბედნიერებისა არა სწამდა.

დღეს იგი გრძნობა სამშობლოსადმი მიმქრალა და ქალის სახეც საშინლად დასახიჩრებულა... იგი ტიკინად ქცეულა, რომელიც თვის გრძნობებს მიჰყვება და თვისსავე ოჯახიდან ქართულ სულსა და ენას სდევნის.

* * *

მინდოდა ერთ მოტივზე კიდევ შევჩერებულიყავ ჩვენს პოეზიაში, მაგრამ სამწუხაროდ იგი წელსაც ისე მკრთალია, როგორც აქნობამდე ყოფილა. ინდივიდუალიზმი დიდი წყაროა სარელიგიო ძიებათა, მაგრამ ჩვენში იგი უბრალო მოთქმა-ტირილს ვერ გასცილდა და რელიგიური მოტივიც სრულიად დაუმუშავებელი დარჩა 1913 წელშიაც. საკვირველია, რომ ქართველთა ისტორია სავსეა მოწამეთა და განდეგილთა რიცხვით, სავსეა სარწმუნოებით გატაცებულ ადამიანებით, რომელსაც ისე იპყრობს რელიგიური ექსტაზი, რომ ისინი ერთ წუთსაც კი არ შეჩერდებიან სიკვდილის წინ. დღეს კი ეს გრძნობა სრულიად მიმქრალა; და არც მისი მოტივი სჩანს პოეზიაში. რამდენიმეე რელიგიურ მოტივს დასტრიალებს ნიჭიერი მგოსანი ქალი **ბაბილინა**. მაგრამ მის ლექსებს არა გარკვეული რელიგიური მსოფლხედვის იერი აკრავთ, არამედ ისინი უბრალო ღაღადისს შეიცავენ. აქ ბუნდოვანი განცდაა მარადისობის და ღვთიურის ძალისა, რომელიც მწყობრ მსოფლიოს განაგებს და რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული უჩანს.

* * *

ამ საიდუმლო ძალას მაშინ იგრძნობს ადამიანი, როცა ღვთიური სიყვარულით აღმოივსებს მთელ ბუნებას. განსაკუთრებით ეგ ძალუძს პოეტთ, რომელთაც შეუძლიანთ დროულ და წარმავალ მოვლენებთან გასწყვიტონ და მარადისობაში შეიჭრნენ. მრავალთათვის ეს გაუგებარი მოვლენაა და ტყვილა „ჰკითხავენ მგოსანს, რას აკეთებს“, რადგან თუ თვით არ განიცდი ღვთაებას, ისე მისი რაციონალურად ახსნა და დასაბუთება შეუძლებელი ხდება.

„შემოქმედო, მარტო იყავ, ჰქმენ
სიცოცხლე—იყავ მარტო!
ჩვენ ბევრნი ვართ... რას აკეთებ?
მკითხავენ; რა განვუმარტო?
საგალობელს ვსწერ ეტრატზე,
ვსწერ სიცოცხლის ღაღადებას!
ნუ მკითხავენ—რას ვაკეთებ? სული
სწვდება ქრისტეს ვნებას.
ნუ მკითხავენ—რას ვაკეთებ? ან
როგორ განვუმარტო?“

ასე იტაცებს ადამიანს მარადისობის საიდუმლოება, მაგრამ საუკუნოებით ამ ექსტაზთან და გრძნობასთან იბრძვის ადამიანის გონება, მისი ფხიზელი პიროვნება.

და ადამიანი ორის მხრით უდგება ღვთიურ ძალას: რელიგიურის და მეცნიერულის.

პირველის იარაღი გრძნობაა, მეორის გონება. რამდენადაც პირველი სიყვარულით სწვდება იმ ქვეყნიურ საიდუმლოებას, იმდენად მეორეს არ შეუძლია უკრიტიკოდ, დოგმატიურად მიიღოს ღვთის არსებობა—მას სწყურია საიდუმლოების კარების შელეწვა... მაგრამ უძლურია მეცნიერება, სუსტია გონება და ადამიანიც შორდება ღვთაებრივ საიდუმლოების განცდას.

თითქოს სატანამ განსაცდელში შეიყვანა იგი. და ამ სფეროში გონებითი დასაწყისი მგოსნებს თავიდანვე დემონიურ დასაწყისის სინონიმად გაუხდიათ. მილტონის „დაკარგულ სამოთხეში“ სატანა გამოდის გონების დასაწყისად და იგი აცდუნებს ადამიანს, რათა უკანასკნელი გონებით მისწვდეს ღვთაებას და მისი საიდუმლო ძალა ახსნას. იგი ბუნებაშია, რომლის სული ვერ მოისვენებს, სანამ ყველაფერს არ ჩასწვდება და არ გაიგებს. ამიტომ მილტონი, რომელიც რაციონალურ ფილოსოფიისაკენ იხრებოდა, სიმპატიით ეპყრობა სატანას. ეს მომენტი საიდუმლოების ახსნის წყურვილისა გადმოუცია ბაბილინასაც „ქურუმში“.

„დასაბამიდან აწ და მარადის,
ღმერთო, შენ გესავ,—შენი ვარ
მონა!
. . . .
გემსახურები, ღმერთო, ქურუმი,
განვასპეტაკე სამსხვერპლო შენი;

და თითქოს ამ თავგანწირულ სამსახურის წილ მგოსანი მარტო ერთს მოითხოვს: აუხსნას სახე თვისი.

ერთხელ აიშვი პირსაბურავი,
ერთ წამს გიხილო, როგორა
ჰშვენი“!

მაგრამ ამ დროს მგოსანი თითქოს ინსტინქტიურიდ გრძნობს, რომ ეს გზა სატანიურია, რომ მასთან მიიჰრა მილტონის დემონი საცდუნებლად. და „ქურუმი ქალი“ შეუმცნებლად ღმერთს მიმართავს:

„რად წარმავლინე, ღმერთო, განსაცდელს?—
ბოროტი სული დამეპატრონა“...

ასეთი ხასიათის მარადისობის საკითხები იპყრობენ შანშიაშვილის ყურადღებას, როცა ამას სწადია სიკვდილის საიდუმლოებას პირბადე ახადოს და მისი ძალა განმარტოს. იგი აშკარად აღიარებს, რომ ადამიანის გონება აქ საშინელ უმწეობას განიცდის. (იხ. „იდუმალობის წინაშე“).

* * *

ამ მხრივ სწორედ აღსანიშნავია ბ. ბარნოვის კარგა მოზრდილი ნაწარმოები: „აჩრდილი სიკვდილისა“. მთელი საიდუმლოება სიცოცხლისა, ავტორის აზრით, სიყვარულია. იგია ჭეშმარიტი წყარო და ერთად ერთი გამართლება მსოფლიოს ყოფისა: სულთა ნათესაობა და ერთმანეთისადმი ლტოლვა ქმნის სიცოცხლის ბედნიერებას. და ელიზბარი შემთხვევით ნახავს ლიზიკოსა და მათ შორის გაიბმება სიყვარულის საიდუმლო ქსელი... აქ ავტორს მშვენივრად აქვს გადმოცემული თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგია, რომელსაც აქტის წინ იჭვნეულობა იპყრობს და ვნებას ანელებს. ელიზბარი თითქოს დამფრთხალი შეშინებული ადამიანია, მას არ შეუძლია გულში გადასწყვიტოს და სისრულეში მოიყვანოს იგი გადაწყვეტილება. სანამ სატრფოდან დაშორებულია, იგი მტკიცეა, და თითქოს დაწვრილებითი გეგმასაც იმუშავებს, თუ როგორ გარდაუშალოს თვისი გრძნობა ლიზიკოს, მაგრამ დაუახლოვდება თუ არა მას, მთელი გეგმა ირღვევა და ფიქრი ფიქრად რჩება.

ბოლოს იგი მიაღწევს მიზანს: ლიზიკოც მას გაჰყვება და სიყვარულიც იმარჯვებს. ეხლა ნამდვილ ცხოვრებაზე იწყება ზრუნვა და ფიქრი... ორი მონათესავე სული დაუახლოვდა ერთი მეორეს და ორ ახალგაზრდას სწყურიათ სამშობლოსა და ერის სამსახური. და აი, აქ ჩნდება მსოფლიოს მეორე და უძლიერესი საიდუმლოება: სიკვდილი. მისი აჩრდილი თან დევს ამ ორთა სიცოცხლეს და თან-დისთან იპყრობს მათ გონებას.

მაშ რაა სიცოცხლე, თუ კი მას თანა სდევს „აჩრდილი სიკვდილისა“? სადღაა სიცოცხლისა და მოქმედების აზრი, მანამ, სანამ სიკვდილი სძლევს სიცოცხლეს?

* * *

აი კითხვები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ ელიზბარს, მას შემდეგ რაც ლიზიკოს იმსხვერპლებს შავი სიკვდილი.

ნუ-თუ არ შეიძლება ადამიანმა სძლიოს სიკვდილი სიცოცხლის წარმოდგენით და მუდამ მასთან იყოს, ვინაც სწყურია მის სულსა?

და ეს კითხვები იმდენად იტაცებს ელიზბარს, რომ მას ავიწყდება საერთო საქმე, თვისი დანიშნულება, ჭამა-სმა, თავის მოვლა, სხვების სამსახური და ისიც ნელ-ნელა ეთხოვება სიცოცხლეს.

და ბოლო ხანებში, სიკვდილის პირას, ისევ იღვიძებს ელიზბარის არსებაში წყურვილი სიცოცხლისა, მოქმედებისა, მაგრამ მასზე უკვე ძლიერად უფლობს სიკვდილის აჩრდილი და ისიც სასოწარკვეთას ეძლევა.

* * *

თუმცა ელიზბარისა და ზურაბის მსჯელობა უკვდავების და ინდივიდუალობის მარადისობის შესახებ, რაღაც არა ბუნებრივ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი უფრო სქოლასტიკურ ტრაქტატს მოაგონებს მკითხველს; განსაკუთრებით ამ შთაბეჭდილებას აღრმავებს ავტორის მეტად მძიმე დაძველებული ენა.

მაგრამ სამაგიეროდ თვით მოთხრობის ხლართი მშვენივრად შესრულებია. ბარნოვს.

მას ვისაც სწყურია პიროვნების სიცოცხლით გაზომოს ცხოვრების მნიშვნელობა და საკუთარის „მე“თი სძლიოს სიკვდილს, უეჭველია, მოელის დამარცხება სიკვდილისაგან.

მაგრამ არის კიდევ მეორე შეხედულება ცხოვრებაზე, რომლის აზრი განიზომება საერთო და საზოგადოებრივ ცხოვრებით. თუ ამ მხრით მივუდექით საკითხს, მაშინ სიკვდილი ძლეული იქმნება.

ელიზბრის წინ ორი მხარე იშლებოდა ამ კითხვისა: მას ანიჭა ბედმა კერძო ნეტარება სიყვარულით, რომლის ობიექტი წარმავალი პიროვნება —ლიზიკო იყო, და მეორეს მხრით ბედნიერება შრომისა და საერო საქმის სამსახურისა.

თუ სიცოცხლის გამართლებას მარტო პირველში ჰპოებდა, მაშინ მასაც ლიზიკოს სიკვდილთან ერთად, სიკვდილივე დაეპატრონებოდა; და სიცოცხლე ძლეული, უშინაარსო გახდებოდა.

ხოლო თუ სიცოცხლის მიზანს საერო საქმეში და დაჩაგრულთა სამსახურში ჰპოებდა, მაშინ კერძო უბედურება ვერ მოსპობდა ამ საყვარელ საქმეს და სიცოცხლის აზრიც არ წაიშლებოდა.

მაგრამ მან პირველით ამოწურა სიცოცხლის საიდუმლოება და დამარცხდა კიდეც. სიცოცხლის აზრი ადამიანთა წინსვლაში და ბუნების მოვლენების ჰარმონიულ ზრდისათვის გამოყენებაში რომ დაენახა ელიზბარს, მაშინ მიხვდებოდა, თუ რა რიგ წინ მიდის საზოგადოებრივი ცხოვრება და იმარჯვებს ადამიანი ე. ი. მარცხდება სიკვდილი, ჰქრება მისი შიში, რადგან პიროვნების წარმავალი სიცოცხლე მიუცილებელი საფეხურია საერთო, განუწყვეტელ ცხოვრებისა. თითქოს ელიზბარის ბუნება მიხვდა ამას უკანასკნელ დროში, როცა ხელახლა გაიმარჯვა გაზაფხულმა, მაგრამ გვიანღა იყო— „აჩრდილი სიკვდილისა“ უფლობდა მასზე და ასე უნიადაგოდ გაქრა იგი ჭაბუკი...

ელიზბარის იდეალისტობაში ჩვენი საერთო სენია, ჩვენ აქ გვინდა იდეით დავამარცხოთ სიკვდილი, მაშინ, როდესაც სინამდვილის არა გაგვეგება-რა და მას გავურბივართ.

* * *

ჩემთვის სწორედ ამ მხრივ არის აღსანიშნავი **ბ. გ. ქიქოძის** მოთხრობა: „რომანიული თავგადასავალი ვახტანგ დერვიანისა“. აქ თემა ყველასათვის მოძველებულია, მაგრა იგი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას კავშირი აქვს ჩვენი დროის ტიპებთან. თვითონ ქალი, რომელსაც უსინიდისოდ მოსტაცებს ქალწულობას დერვიანი, რაღაც მკრთალია და დაუმთავრებელი, რადგან იმ პირობებში ასეთი გულუბრყვილო ადამიანი ვერ იცხოვრებდა, აქამომდე ვერ დაიცავდა შეულახველად ამ ყრმულ გულწრფელობა-სათუთობას; და მით უმეტეს ისეთ წრეში, რომელშიაც ეს ქალი ტრიალებს. მაგრამ ჩემთვის საინტერესოა თვით ვახტანგი, რომელსაც რაღაც მელანქოლია დაჰპატრონებია და ამ ხელოვნურ ქურქში იგი ნიცშეს ნიღაბით გვევლინება. თითქოს მას, ბუმბერაზს არ შეუძლია მიიღოს თვისი ერი, ხალხი და საზოგადოდ წვრილმანური ცხოვრება და ამავე დროს ამ ცხოვრების ნაძირალზე ეშვება და ნათელ ადამიანებსაც წუმპეში სვრის, სიცოცხლეს შხამავს. იგი უმოქმედოა არსებითად, მაგრამ მოქმედია თვის უარყოფით დასაწყისით. მას უნდა ცხოვრებით სარგებლობა და თვით ცხოვრებას დასცინის „სატანიურად“.

ვახტანგი ნამდვილი პარაზიტია, რომელიც ჩვენი ცხოვრების უკუღმართობამ აღმოაცენა. მაგრამ მასზე უფრო საყურადღებოა, ჩემის აზრით, ელენეს ძმა, სამსონი. ეს პირდაპირ ამოღებულია ჩვენის ცხოვრებიდან. მოგახსენეთ, რომ ჩვენი დროის დამახასიათებელი მოვლენა (ინტელიგენციის ცხოვრებაში) იდეალისტობაა. ჩვენ გვინდა ობსტრაქციაში ვძლიოთ მტერი, რომელმაც ქვეყნად ბოროტება გაამეფა; მაგრამ რეალურად ჩვენთვის არც ამ ბოროტების მიზანია გარკვეული და არც მის წინააღმდეგ მოქმედება შეგვიძლია. თითქოს სულ მოწყვეტილნი ვართ ნიადაგს.

ვის არ შეხვედრია სამსონი, გულწრფელი მოყვარული ხალხის საერთო ბედნიერებისა „ჭეშმარიტი სოციალ-დემოკრატი“; თქვენ კარგად იცნობთ მას; იგი თვის თავს მატერიალისტად აღიარებს, მაგრამ პრაქტიკაში უკიდურესი იდეალისტია. იგი ფურცლავს მარქსის „კაპიტალს“ და მისი გული ბრაზით ივსება ბურჟუაზიის და კაპიტალისტების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც არც ერთი მათგანი არ უნახავს და არც რაიმე წარმოდგენა აქვს მათ შესახებ.

მას სძაგს ნაციონალისტები გულწრფელად, თუმცა მათშიაც ჩვეულებრივ ადამიანებს ხედავს.

ყოველი მოვლენა იმდენად აინტერესებს, რამდენადაც მას კავშირი აქვს კაპიტალიზმის განვითარებასთან.

თითქოს იგი მოწყვეტილია აქაურ ცხოვრებას, სინამდვილეს, სხვა პლანეტაზე სცხოვრობს და თვისი წარმოდგენით ქმნის ორ მოწინააღმდეგე კლასს: ბურჟუაზიას და პროლეტარიატს და მათ შორის ანტაგონიზმს ამკვიდრებს.

იდეალური ფაქტორის უარმყოფელი თეორიაში, ასეთი მონა ხდება მისი პრაქტიკაში. ამგვარი უკუღმართობა და წინააღმდეგობაა მის ფსიხიკაში გამეფებული.

* * *

გასულ წელს დასტამბა ბ. **ლორთქიფანიძის** „მომღერალი“ გაზეთ „კოლხიდაში“. აქაც ავტორი ბრუნვით დასტრიალებს სულით მოლილ ადამიანებს, რომელნიც ცხოვრებამ არ დაინდო და უფსკრულისაკენ დააქანა. აქაც გაცრუებული იმედები ტლანქისა და უხეშ ძალის მიერ დაგმობილი სიყვარული. ლორთქიფანიძეს სხვაზე ნათლად აქვს წარმოდგენილი პიროვნებათა აქტიორულ, ნაზ და სათუთ ბუნების ტრაგედია დღეის ტლანქ სინამდვილის წიაღში.

აღსანიშნავია აგრეთვე ბ. **მჭედლიშვილის** მიერ გალექსილი: „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ეს მოვლენა სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორი ამ ნაყოფიერ ცდის შემდეგ ლირიულ ლექსების გარდა ხშირად მიმართავს რთულ შემოქმედებასაც. ეს ნაწარმოები ფრიად ლამაზისა და მოხდენილის ლექსით არის აწყობილი.

* * *

დაგვრჩა დრამატიული ხელოვნება 1913 წლ. რომლის შესახებ თითქმის ვერაფერს ვიტყვი. მიზეზი ის არის, რომ სიმბოლიურ ხასიათის დრამებზე ძნელია ლაპარაკი მანამ, სანამ შესაფერის დეკორაციებით და მიზანსცენებით ვერ იხილავთ მათ თეატრში.

ასეთია **გედევანიშვილის**: სინათლე“ და **ქიჩელის** „სამდედიშვილი“.

ჩემის აზრით, მხატვრული მხარე სრულიად არ შეეფერება იმ იდეას, რომელიც ავტორმა გაშალა „სამდედიშვილში“ და ამიტომ იგი უხორცო და უფორმო ზღაპრის შთაბეჭდილებას ახდენს.

ვიმეორებ, წაკითხვით არ შეიძლება გადაჭრილი რაიმე ითქვას.

დაგვრჩა **შალიკაშვილის** „უნიადაგონი“ და **მიუკაშვილის** „ნაგავი“; ეს პიესები რეალისტურ ხასიათისანი არიან, მაგრამ რამდენადაც პირველმა გადაამლაშა ფოტოგრაფიულის სურათებით და ზნე-ჩვეულებებით, იმდენად მეორე დასცილდა სინამდვილეს და გაუგებარი გახდა ჩვენთვის.

ბ. შალიკაშვილს დიდის ხნით აინტერესებს ოჯახის ბედი და მისი საკითხი. და იგი განსაკუთრებით აგვიწერს იმას, რაც ასე ხელოვნურად ამოუწურავს ბ. დ. კლდიაშვილს ე. ი. ფეოდალურ ოჯახის რღვევას. მაგრამ რამდენადაც კლდიაშვილის შემოქმედებაში ამ რღვევის მთავარი მიზეზი (კაპიტალიზმის შემოჭრა და ახალი ურთიერთობა) გაშუქებულია, იმდენად შალიკაშვილის პიესებში იგი მთავარი დაჩრდილულია და წვრილმანებს ეძლევა დიდი მნიშვნელობა. აქ დრამატურგი, ცხადია, გაიტაცა დრამების ეფექტებმა და დაამარცხა, სამაგიეროდ ტეხნიკურად დრამა ჩინებულად შეუსრულებია ავტორს და საინტერესო პრობლემაც აუღია.

აქ ვათავებ წლიურ განხილვას. შესაძლოა ბევრი რამ საყურადღებო გამომრჩა, მრავალი მწერლები არ აღმინიშნავს, მაგრამ მკითხველი მაპატიებს, რომ სამშობლოდან შორს ვიმყოფები და საჭირო მასალებიც არ მომეპოვება

ხოლო მწერლებიც, უეჭველია, მაპატიებენ, რადგანაც იმის მიზეზი, რომ ისინი ერთმანეთში ითქვიფებიან და ინდივიდუალური სახე ვერ გაამჟღავნეს, მე არ მედება ბრალად. ვუსურვოთ ახალ წელს გაეკვლიოს გზა მათ მუზისათვის..

აკაკი პაპავა.

ტფ. ქალაქის თვითმმართველობა 1913 წელს.

ქალაქ ტფილისის დავალიანება და ქალაქის თვითმმართველობის მესვეურთა უთავბოლობა 1913 წელს უფრო ნათელი გახდა, ვიდრე წინა წლებში იყო. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ქალაქის ხმოსნები ამ წელს საქმის მდგომარეობას დიდის ყურადღებით უცქეროდნენ და მუდმივ სჯა-ბაასი ჰქონდათ იმ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომელმაც ქალაქი მუდმივ დეფიციტებისაგან უნდა გადაარჩინოს და იხსნას გაკოტრებისაგან.

რა ჯამს უდრის ქალაქის დეფიციტი,—ეს საკითხი დღესაც სადავო საგანს შეადგენს ჩვენის ხმოსნებისთვის. ერთის ნაწილის გამოანგარიშებით დღემდე ქალაქის დეფიციტი ექვს მილიონამდე აღწევს, მეორენი ამტკიცებენ, მხოლოდ ოთხი მილიონია, ხოლო მესამეთა აზრით დეფიციტი შეადგენს სულ ორ მილიონამდე მან. ნამდვილ დეფიციტის გამოსარკვევად ამას წინად მცოდნე პირთაგან არჩეულ იქმნა კომისია, რორომელიც მუშაობას უკვე შეუდგა.

ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობა საანგარიშო წელს ძველებურად კუს ნაბიჯით მიდიოდა წინ, რის გამოც განუხორციელებელი დარჩა მრავალი ისეთი პროექტი, რომელიც წინა წლებში იყო შემუშავებული.

აი სურათი იმისა, თუ რა გააკეთა ქალაქის თვითმმართველობამ 1913 წელს და რა დასტოვა გაუკეთებელი:

საანგარიშო წელს საბოლოოდ მოწესრიგებულ იქმნა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების საქმე. რაც შეეხება სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების საკითხს, ეს დღესაც გადაუწყვეტავია და საბჭოს საგანგებო კომისიის პორტფელში სძინავს.

1913 წელს დასრულდა ქალაქის საელექტრონო სადგურის აგება. სადგური საბოლოოდ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია და არც თვით ქალაქის თვითმმართველობამ იცის, როდის ექნება მას ხელში სრულიად დამთავრებული და უდეფექტო სადგური.

სოლოლაკის გვირაბის საქმე 1913 წელს ოდნავაც არ წასულა წინ. გამოირკვა მხოლოდ ის, რომ კონცესიონერები გარდაიცვალნენ და საქმის გამგრძელებელნი აღარავინ არის, ამ საქმის გამორკვევა საბჭომ მხოლოდ

ამ ორის კვირის წინად დაავალა გამგეობას და ამ რიგად არავინ იცის, გვირაბის გაყვანის საქმე როგორ გადასწყდება.

ბევრი ლაპარაკი იყო 1913 წელს ფუნიკულერთან მისავლელ გზაზე ტრამვაის შტოს გაყვანის თაობაზე, მაგრამ ამ საქმისა აღარა ისმის რა, თუმცა მცხოვრებნი პირდაპირ დაინტერესებულნი არიან ამ განზრახვის სისრულეში ჩქარა მოყვანით.

საანგარიშო წელსვე გამოირკვა ქალაქის წყალსადენის გაფართოვებისა და გაუმჯობესების საჭიროება, რისთვის საბჭომ 400,000 მანეთამდე გადასდო. ამ საქმეს განხორციელება ალბად ჩქარა არ ეღირსება, რადგანაც ქალაქს ფული არა აქვს და მის გამოძებნაშია.

1913 წელს გადასწყდა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ტრამვაის გამოსყიდვის შესახებ. საბჭომ პრინციპიალურად აღიარა, რომ ტრამვაის გამოსყიდვა მოკლე ხანში უეჭველად უნდა მოხდეს და დაადგინა, ამის თაობაზე ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან მოლაპარაკება გამართოს 1914 წლის 14 მარტიდან. ტრამვაის გამოსასყიდად ქალაქს ვარაუდით 13—14 მილიონი მანეთი დასჭირდება, რომელ ფულის აღებასაც სესხად აპირობს.

1913 წელს ქალაქი მხნედ შეუდგა სასმელ წყლის ძებნას და უმთავრესი ყურადღება მიაქცია წალკისა, ნატახტარისა და ბულაჩაურის წყაროებს, რომელთა გამოკვლევა უკვე დაიწყო, მაგრამ ჯერ არ დაუმთავრებია.

ამავე წელს აღიძრა საკითხი საქალაქო მიწების ექსპლუატაციისა და ამ მიწების მორწყვის შესახებ. თადარიგი ამ საქმეების გასახორციელებლად თვითმმართველობამ უკვე დაიწყო საანგარიშო წელს, მაგრამ თვალსაჩინო მაინც არა გაუკეთებია რა.

საანგარიშო წელსვე აღიძრა საკითხი ხორცისა და პურის ვაჭრობის საქმის მოწესრიგებისა ერთხელ და სამუდამოდ საქალაქო საყასბოებისა და თორნე-ფურნეების მოწყობით, მაგრამ ეს საქმეც განუხორციელებელი დარჩა.

საანგარიშო წელს საბჭომ საჭიროდ სცნო, დაარსდეს ტფილისში კიდევ სამი სანატარიუსო კანტორა (ახლა ხუთია) და შესაფერი შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე.

1913 წელს ტფ. ქალაქის თვითმმართველობამ მოიწვია კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრება და მისივე მეთაურობითა და ხელის შეწყობით გამართა ტფილისში საყინულეთა საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრება.

1913 წელს საბჭომ გადასწყვიტა, შეადგინოს ვაკეს მოწესრიგებისა და გეგმის გენერალური პროექტი.

პოლიტეხნიკუმის ბედის გადაწყვეტაში რა როლი ითამაშეს ქალაქის თვითმმართველობის მესვეურებმა, ეს მკითხველებს ალბად ახლაც ახსოვთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ წინად აღთქმულ 200 დესეტინის გარდა საბჭომ საანგარიშო წელს პოლიტეხნიკუმს კიდევ 184 დესეტინა საქალაქო მიწა შესწირა.

საანგარიშო წელს სამსახურის ვადა გაუთავდა გამგეობის ორს წევრს: გ. დ. ჟურულს და მ. ნ. ათაბეგოვს. საბჭომ წევრებად ისევ ესენი აირჩია. უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. ჟურულმა 52 თეთრი კენჭი მიიღო და არც ერთი შავი, მხოლოდ მეორემ 53 კენჭში მხოლოდ ორი შავი კენჭი მიიღო.

1913 წელს თითქმის სულ დამთავრდა ქალაქის სასალახო, რომელიც დაჯდა 900,000 მან. სასალახოს გარშემო დიდი აურზაური ასტყდა, რომელსაც შედეგად მოჰყვა საბჭოს ხმოსანთა დიდის უმრავლესობის ცნობილი გალაშქრება ხმოსნის ი. გ. სულაბერიძის წინაღმდეგ.

ქალაქის თვითმმართველობამ მირზოევის მიერ ნაანდერძევი პაიები კარგ ფასად გაჰყიდა 30 სტიპენდიის ნაცვლად განსვენებულის სახელობაზე 70 სტიპენდია დააარსა.

საანგარიშო წელს მოხდა ქალაქის სავაჭრო - სამეურნეო პოლიციის რეორგანიზაცია და აღიძრა საკითხი ქალაქის თვითმმართველობის სატეხნიკო განყოფილებისა და სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს რეორგანიზაციისა და ქალაქის მთელის შტატის გადათვალიერების საჭიროების შესახებ.

1913 წელს სასულიერო უწყებასა და ქალაქის თვითმმართველობის შორის უთანხმოება მოხდა საქალაქო სკოლებში სამღვთო სჯულის მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ. სასულიერო უწყებამ მასწავლებლად არ დაამტკიცა ქალაქის თვითმმართველობის კანდიდატი და განმარტა, რომ კანონით უფლება გვაქვს, მასწავლებელი ჩვენ დავნიშნოთო. ბოლოს ეგზარხოსი დასთანხმდა, არ დაარღვიოს ძველი ჩვეულება და დაამტკიცოს ხოლმე ქალაქის თვითმმართველობის კანდიდატები.

საბალნეოლოგიო სადგურის დაარსების საკითხმა განვლილ წელს წინ ვერ წაიწია. საკითხი ყოველმხრივ გამოსარკვევად გადაცემული აქვს საგანგებო კომისიას, რომელიც მუშაობას ვარაუდით მომავალ გაზაფხულისთვის დაასრულებს. საკითხი მეტად რთულია და მნიშვნელოვანი და უეჭველია საბოლოოდ ჩქარა ვერ გადასწყდება. წინასწარ პროექტით განზრახულია მთელი აბანოების გამოსყიდვა. მთელი ამ საქმის განხორციელება დაახლოვებით ექვს მილიონამდე მან. მოითხოვს.

საანგარიშო წელს იყო ლაპარაკი დახურულ ბაზრების მოწყობასა, საქალაქო ბანკის დაარსებისა, საფსიხიატრო საავადმყოფოს საჭიროებისა, მადათოვის კუნძულის მოწესრიგებისა და მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსებასა და სხვა საჭირ-ბოროტო საქმეებზე, მაგრამ მათ განხორციელება ალბად ჩქარა ვერ ეღირსებათ განსაკუთრებით ნივთიერ ხელმოკლეობის გამო.

საანგარიშო წელს დასრულდა და აკურთხეს კიდეც ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო საბავშვო საავადმყოფო. დასრულდა აგრეთვე სამშობიარო თავშესაფარის ახალი შენობა, გაიხსნა ვერის საქალაქო ბაღი და 100,000 მან. იჯარით გაიცა დიდის მთავრისა და მიხეილის ქუჩის მოკირწყვლის საქმე.

ამავ წელს გამოირკვა, რომ ქალაქის კონტროლი თავის მოვალეობას ვერ ასრულებს და საჭიროა მისი რეორგანიზაცია; საანგარიშო წელსვე მოქმედება დაიწყო ქალაქის ნივთიერმა განყოფილებამ.

საანგარიშო წელს საბჭომ სატრაქტირო გადასახადი გაადიდა. 80,000 მან. ნაცვლად გააწერა 90,000 მან.

ამავ წელს შემწეობა აღმოუჩინა სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებასა და ინახავდა თვის საავადმყოფოებსა და სკოლებსა.

წარსულ ზაფხულში ქალაქს დიდი ზარალი დაატყდა თავსა. ჩვენ ვამბობთ გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურებაზე—კედლის ჩამონგრევას ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა შედეგად და თან ქალაქს რამდენიმე ასი თუმანი ზარალი მიაყენა.

ქალაქის თვითმმართველობასა და ტრამვაის დირექციას შორის წარსულ წელს დამოკიდულება მწვავე იყო. ქალაქი მუდამ აჯარიმებდა დირექციას და ერთხელ კიდეც აღიძრა საკითხი, ტრამვაი სულ უფასოდ ჩამოერთმიათ იმის გამო, რომ დაუკითხავად ტარიფის გადიდებით დირექციამ ქალაქთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია. ტარიფის დარღვევა აძლევს თუ არა ქალაქს იმის უფლებას, რომ დირექციას ტრამვაი ჩამოართვას,—ეს საკითხი გადაცემული აქვს საიურიდიო კომისიას და მოკლე ხანში საბჭოც განიხილავს. საბჭოს აგრეთვე დღემდე გადაუწყვეტი აქვს საკითხი იმის შესახებ დააჯარიმოს თუ არა დირექცია ტრამვაის მოსამსახურეთა წარსულ გაფიცვის დღეებისთვის.

თეატრი და ხელოვნება ჩვენში 1913 წ.

ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინედ ქართულ თეატრის კრიზისზედ იყო ლაპარაკი და თითქოს იმედიც კი არ იყო მისი აღორძინებისა. მრავალი წერილი ეძღვნა ამ საკითხს, ყველა ეძებდა მიზეზებს ამ კრიზისისას, ყველა სცდილობდა ამა თუ იმ სამკურნალო საშუალებისათვის მიეთითა. დღეს კი თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ ჟამად ქართული თეატრი აღორძინების ხანას განიცდის და დიდს იმედს იძლევა, რომ მომავალში კიდევ უფრო წაიწევს წინ. ამ ჟამად ქართული თეატრი უკვე იმ საფეხურამდის მივიდა, რომ რუსულ პროვინციის თეატრებს უკვე აღარ ჩამოუვარდება და ხშირად არის ისეთი მოვლენა, რომ ერთი და იგივე პიესა ქართულ თეატრში უფრო კარგად არის წარმოდგენილი, ვიდრე ტფილისის რუსულ დრამატიულ თეატრში. აქ ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ ქართულ თეატრში ცუდი წარმოდგენები არ არის ხოლმე. სრულიადაც არა! ჩვენ კარგად ვხედავთ ცუდ წარმოდგენებს. გავიხსენოთ თუნდაც წლევანდელი „მეფე ლირი“ ან „მარიამ სტიუარტი“. მაგრამ ჩვენ გვაქვს მსჯელობა საერთო ტენდენციაზე ქართულ თეატრისა და ეს ტენდენცია ნათლად გვიმტკიცებს, რომ ქართული თეატრი მტკიცე ნაბიჯით მისწრაფვის წინ.

გავიხსენოთ წარსული.

გავიხსენოთ ტფილისის სეზონი ამ ხუთიოდე წლის წინედ და შევადაროთ იგი ეხლანდელს. რეპერტუარი სრულიად უვარგისი იყო. ორიგინალური პიესები ახალი არ იყო, ძველი კი (გ. ერისთავისა და ა. ცაგარლისა) ხალხს არ აკმაყოფილებდა. კლასიკური პიესები შექსპირისა და შილერისა, რომელნიც ძლიერ უყვარს ჩვენს საზოგადოებას, ცუდ ასრულებისა გამო, ხალხს აღარ იზიდავდნენ. გამეფებული იყო ქართულ თეატრში თარგმანები და უმთავრესად კიდევ გადმონაკეთები პიესები, რომელთაც ისტორიულს უწოდებდნენ (დ. ერისთავისა, ვ. გუნიასი, კ. მესხისა). ამ უკანასკნელთ თავის დროზე, შესაძლებელია, თავისი დანიშნულება შეასრულეს, მაგრამ ეხლა კი ხალხს აღარ აკმაყოფილებენ. იყო მხოლოდ ერთი „ღალატი“, რომელიც მხატვრული ნაწარმოებიც არის და ხალხსაც ძლიერ მოსწონდა და მოსწონს, მაგრამ იგი სავსებით კარგად არამც თუ წინეთ, საუბედუროდ ეხლაც ვერ შეუსრულებიათ ჩვენს სცენაზე რაღაც გამოურკვეველ მიზეზისა გამო.

ეხლა ჩვენ რეპერტუარი გვაქვს. შესაძლებელია ღარიბი იყოს ეს რეპერტუარი, მაგრამ გ. ერისთავის და ა. ცაგარლის პიესების შემდეგ ქართული თეატრი არას დროს არ ყოფილა ეგრე მდიდარი ორიგინალური პიესებით, როგორც ეხლა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენი თანამედროვე მწერლები—დრამატურგები ი. გედევანიშვილი („მსხვერპლი“, „გამცემი“, „სინათლე“), ნ. შიუკაშვილი („გამხმარი ფოთოლი“, „მეგობრობა“, „სიმახინჯე“, „მთის ზღაპარი“ და სხვა), ტრ. რამიშვილი („მეზობლები“, „საბედისწერო დამბაჩა“), ვ. შალიკაშვილი („გადაჭრილი მუხა“, „უნიადაგონი“) და სხვა. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამ პიესებს ნაკლი არა ჰქონდესთ, პირიქით, ბევრს მათგანს ეს თუ ის ნაკლი აქვს, მაგრამ ყველანი ჩვენი ცხოვრებიდან არიან ამოღებულნი, ამა თუ იმ საინტერესო საკითხს ეხებიან და ამიტომ ჩვენ საზოგადოებისათვისაც საინტერესონი გახდნენ.

გადავიდეთ ეხლა ასრულებაზე. წინედ ჩვენი სცენა იცნობდა მხოლოდ მსახიობს, როლის აღმსრულებელს, და მთელი წარმოდგენა ერთ პირზედ იყო დამყარებული. დანარჩენი მსახიობები სუსტნი იყვნენ და იმასა სცდილობდნენ, რომ ამ უმთავრეს მსახიობისათვის შეეწყოთ ხელი, რომ მათ მოეხდინათ შთაბეჭდილება. არ იყო ის, რასაცა ჰქვიან ანსამბლი, არ იყო მწყობრი შესრულება, არ იყო აკტორის დედა აზრის გაშუქება. აღარას ვიტყვით სცენის მოწყობილებაზე. იგი ხომ ყოვლად შეუფერებელი იყო პიესასთან, ილუზიას ვერა ჰქმნიდა და მაყურებელსაც, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა.

ეხლა კი ჩვენ სულ სხვასა ვხედავთ. ჩვენს სათეატრო ასპარეზზე გამოვიდა ახალი ტიპი რეჟისორისა, რომელიც უმთავრეს მნიშვნელობას მწყობრ შესრულებას, ანსამბლს აძლევს და განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს სცენის მოწყობილობას, დეკორაციებსა და ტანსაცმელს, ეხლა ქართულ წარმოდგენაში ერთი მსახიობი კი არა ადგენს და სხვები მას კი აღარ ეხმარებიან, არამედ ყველა ერთი მიზნით არიან გამსჭვალულნი რეჟისორის ზეგავლენით პიესა წარმოადგინონ და ავტორის დედა აზრი ნათელი ჰყონ. ჩვენს ახალგაზდა რეჟისორთაგან აღსანიშნავი არიან ვ. შალიკაშვილი, ა. წუწუნავა და ე ქორელი, აქვე უნდა დავუმატოთ, რომ არის შემთხვევები, როცა ქართული წარმოდგენა უხეირო არის, მაგრამ ეს ეხლა უკვე გამონაკლისს შეადგენს. მაგიერად უფრო ხშირად ისეთი წარმოდგენა იმართება ხოლმე ქართულ თეატრში, რომელიც ყველასათვის საინტერესო და დამაკმაყოფილებელია. გავიხსენოთ წლევანდელ სეზონიდან თუ გინდ „ინსტინქტი“ (რეჟ. მესხიშვილი), „მსხვერპლი“ „დამარცხებული რომი“ და განსაკუთრებით (სინათლე“ (რეჟ. შალიკაშვილი) და „ოდიპოს მეფე“ (რეჟ. ქორელი) გადავიდეთ ეხლა სათეატრო საქმის გავრცელებაზე საქართველოში.

უკანასკნელ ხუთ-ექვს წლამდის ქართული მუდმივი დასი მხოლოდ ორ ქალაქში იყო—ტფილისსა და ქითაისში. ეხლა კი ექვსი მუდმივი ქართული თეატრია—ტფილისში ორი (დრამატიული საზოგადოებისა და სახალხო სახლის დასები), ქუთაისში,* ბათომში, ბაქოში და ჭიათურაში. ასე არის ზამთრობით, ზაფხულობით კი ქართული წარმოდგენები სისტემატიურად მრავალ დაბასა და ქალაქებში იმართება; და ამასთან იშვიათია ისეთი მოზრდილი სოფელი მთელს საქართველოში, სადაც ზაფხულობით სცენის მოყვარეთა მიერ ქართული წარმოდგენები არ იმართებოდეს ვინ ესწრება ქართულს წარმოდგენებს? ეს საკითხი ფრიად საინტერესო და მასთან საყურადღებოც არის. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ცნობები, გამოქვეყნებული ქართულ დრამატიულ საზოგადოების მიერ. თურმე ქართულ თეატრში უმთავრესად იყიდება ბილეთები ფასით მანეთზე ნაკლები. შემდეგ, რაც უფრო გააიაფა თურმე დრამატიულმა საზოგადოებამ ადგილების ფასები, მით უფრო მეტი შემოსავალი აიღო, მით უფრო ბევრი ხალხი მივიდა წარმოდგენაზე. აქედან ცხადია, რომ ქალაქებშიაც ფართო დემოკრატიული წრეები ესწრებიან ქართულ წარმოდგენებს, ეს მოვლენა ფრიად საყურადღებოა და მეტად გამხარებელიც. აშკარაა, ქართული თეატრი ქართული დემოკრატიისათვის მოთხოვნილებად გადაიქცა. ეს კი ჩვენი ცხოვრებისათვის ფრიად ძვირფასია, ვინაიდან ქართულ თეატრს ქართველ ერის ცხოვრებაში არა მარტო კულტურული მნიშვნელობა აქვს, არამედ ეროვნულიც.

დღეს-დღეობით ქართული თეატრი ერთი იმ იშვიათ ადგილთაგანია, სადაც თავისუფლად გაისმის ქართული ენა და ქართული აზრი.

ყველა ეს კი იმედს გვილვიძებს, რომ მომავალში კიდევ უფრო კარგად წავა ქართულ თეატრის საქმე და ქართული თეატრი კიდევ უფრო დიდ მოთხოვნილებად გადაიქცევა ქართველ დემოკრატიისათვის, ქართველი ერის ფართო წრეებისათვის. ორიგინალური რეპერტუარიც გაუმჯობესდება და წარმოდგენებსაც კიდევ უფრო მხატვრული სახე მიეცემა.

დრამატიული საზოგადოების დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებულია საკულტურო დაწესებულებათა ანგარიშში. გადავალთ სხვა სექციებზე და ქალაქებზე. ტფილისში ქართული თეატრის საქმეში მეორე ადგილი უჭირავს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სექციას. წარსულ სეზონში სექციის წყალობით გაიმართა 32 წარმოდგენა. აქედან 22 ორიგინალური პიესა იყო წარმოდგენილი განმეორებით. დაესწრო 16,962 კაცი. წლევანდელ სეზონის პირველ ნახევარში წარმოდგენილი იყო სულ 15, აქედან ორიგინალური პიესები დაიდგა ექვსი. ამ წარმოდგენებზე უმეტეს ნაწილად ქართველი საზოგადოების უღარიბესი ნაწილი, მშრომელი ხალხი ესწრება. ერთად ერთი სამწუხარო მოვლენა ის არის, რომ წრეს არა ჰყავს საკმაო რიცხვი ინტელიგენტურ ძალებისა, რომელთაც შეეძლოთ სცენაზე გამოსვლა.

დანარჩენ ადგილებში: ავლაბარში, ნაძალადევში და ხარფუხში საქმე ჯერ ახლად დაწყებულა, მაგრამ წარმოდგენები რეგულიარულად იმართება და ხალხიც საკმაოდ ესწრება. წელს ბაქოსა, ბათომსა და ჭიათურაში იმდენად მოწესრიგდა საქმე, რომ ოფიციალურად მიჰყავთ სეზონი იქაურ დრამატიულ საზოგადოებებს, მიწვეულნი არიან რეჟისორები და მსახიობები. სამწუხაროდ, საქმე დაეცა ქუთაისში, სადაც წელს არ არის სეზონი. ამის მიზეზისა და ბევრი სხვა საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც საჭირბოროტოდ გადაიქცა, აუცილებელი საჭიროა მოწვევა საქართველოს სცენის მოღვაწეთა კრებისა; ეს აზრი კარგა ხანია მომწიფდა, პრესაში თუ დრამატიულ საზოგადოებების კრებებზე. არა ერთხელ აღძრულა საკითხი ამის შესახებ, მაგრამ 1913 წელმა ვერ განახორციელა იგი და უანდერძა 1914 წელს.

რაიც შეეხება ჩვენს მუსიკას, აქაც წარსული წელი ნაყოფიერი იყო და დიდი იმედების აღმძვრელი. ყოველ ქვეყანაში ათასობით და ათი ათასობით ხარჯავენ მუსიკაზე, ჩვენში კი ყველაზე ნაკლები ხარჯი ამ დარგს ერგება ხოლმე. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში იმდენად წაიწია წინ ქართულ მუსიკის აღორძინების საქმემ, რომ მომავალში შიში აღარაფერშია. ჯერ კიდევ ყველას ახსოვს ის დრო, როდესაც აწ განსვენებული რატილი შტუნცის მარშს აწერდა ქართულ სიტყვებს „აღსდეგ გმირთ გმირო“ და ქართულ ჩვენ მუსიკად მოგვქონდა, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ამას ჩვენ აღარ ვსაჭიროებთ. ქართული ხალხური მუსიკა განცვიფრებას იწვევს მუსიკის მცოდნე პირთა შორის. არ გასულა ბევრი დრო მას შემდეგ, რაც ქართულ კონცერტების შესახებ სიზმრადაც ვერას ვნახავდით, შარშან კი თითქმის მთელი ოპერა დაიდგა ორიგინალური, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ მეორე და მესამე აქტები. ოპერა უკვე დასრულებულია და მალე მთლად დაიდგმება. გარდა ამისა შარშანვე გაიმართა პირველად დ. არაყიშვილის კონცერტი, რომელმაც დაგვანახვა, რომ ჩვენ კომპოზიტორებს შორის დ. არაყიშვილს სხვებთან ერთად ერთი უპირველესი ადგილი უკავია, მისი ნაწარმოებთა უმრავლესობას (სიმფონიური) ნამდვილი ქართული ხასიათი აქვს და მისი ოპერაც სასიამოვნო მოვლენა არის ქართველებისათვის. სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე პირველი სიმფონიური კონცერტი ქუთაისში, რომელიც მოაწყო იქ ზ. ფოცხვერაშვილმა, ამ კონცერტის მოსასმენად ბევრნი ახლო მახლო ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოვიდნენ, რაც იმის მაჩვენებელია, თუ როგორ აინტერესებს ხალხს ქართული მუსიკა. წელსვე გამოვიდა მე-V ტომი არაყიშვილის ნამუშევარისა „ეთნოგრაფიული მასალა“ ქართული სიმღერები“, რომელიც გამოსცა მოსკოვის საეთნოგრაფიო საზოგადოების სამუსიკო სექციამ.

ხალხური მელოდიებისა და სიმღერების შენახვაში უპირველესი ადგილი უჭირავს თვით ხალხსა და აგრეთვე ხალხურ გუნდებს. ჩვენ მომღერალთა გუნდებით არ ვართ მდიდარნი, თუმცა კი სოფლად და ქალაქშიაც თითქმის ყველანი მღერიან. ამიტომ სიხარულით უნდა შევეგებოთ, თუ რამე ახალი გუნდი დაარსდება. გარდა ფილარმონიული საზოგადოების გუნდისა, არსებობს ძმათა კავსაძეების მშვენიერი გუნდი, ჩარკვიანის გუნდი, არსებობს გუნდები: გორში, ქუთაისში; წელს გუნდები დაარსდა აგრეთვე ფოთში

მეგრელიძის მეთაურობით და
ისში „მგალობელთა გუნდის
გადოება“. საგულისხმოა ის
მოება, რომ სოფლებშიაც თან
არსდება ასეთი გუნდები ოთხ
შემადგენლობითა. მაგალითად
გურჯაანში. მაგრამ ყველა, რა
გაკეთდა ისეთი მცირეა, იმ
თელა სიმდიდრესთან შედარ
რომელსაც ქართული ხალხურ
სიკა ჰქვიან, როგორც ქვიშ
ტეხი ზღვაში, მაგრამ პატარ
რაობით დიდი საქმე კეთდება.
წმუნებული ვართ, მომავალი წ
თავის წვლილს არ მოაკლ
დიდი საქმისათვის საჭირო ს
ჯამსა. მხატვრობისა და ქან
მხრივ მდიდრები არა ვართ; ამ
ყველაფერი ისტორიულ წარსუ
მხატვრებისაგან წელს თავისი
მოებთა გამოფენა გამართა გ
გაბაშვილმა. გამოფენა, რასა
ლია, ფრიად შინაარსიანი
ბევრი ნაწარმოებიც დაიყიდა,
რამ 1913 წლის ნაწარმოებთა
ცხვი მცირე იყო. მექანდაკ
მხოლოდ ი. ნიკოლაძეზე გვესმ
ლმე, წელს აკურთხეს მისი ქან
ბა ილიას ძეგლი, წელსვე შესრ
მან ე. ნინოშვილის ძეგლი და
დევე დ. სარაჯიშვილისა და ა.
ჯაძის ძეგლების ესკიზები. უნდ
ვნიშნოთ აგრეთვე ფრესკების
მოღება, რომელიც მოაწყო სა
რიო საეთნოგრაფიო საზოგად
ამ მხრით ფრიად ბევრი რომ
და. ნორვეგიელმა მხატვარმა
კი დაუფასებელი ღვაწლი დას
ფარისა და ბეთანიის ფრესკებ
ცხოვლად გადმოღებით. ■

მუშათა ცხოვრება
1913 წ.

გასული წელიწადი იშვიათი
იყო მუშათა ცხოვრებაში. 190
1906 წელს დაქსაქსული ძალნ
დეგ ხანებში, სულს ითქვამდა,
ნიერდებოდა. სასტატისტიკო
ზათა მიხედვით, 1905 წლიდან 1
წლამდე მუშათა ცხოვრებაში
ლაზე ღირსშესანიშნავი გაფიც
რაოდენობის მხრივ 1905 წელ
იყო. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება,
ეს წელი იყო წელიწადი, ს
აღფრთოვანებისა. შემდეგში გ
ვათა რიცხვი ნელდება, თან და
კლებულობს, ვიდრე 1912 წლ
1912 წელს კი გაფიცვებმა იფ
რიცხვით იგი 1906 წელს უ
1912 წელს დაწყებულმა მუშ
თვისი გაგრძელება ჰპოვა 1913წ.
მის ყველა გაფიცვას საზოგადოდ
სეთში და კერძოდ კავკასიაში
ნომიური ხასიათი ჰქონდა.
სიათებელი თვისება 1913
მუშათა მოძრაობისა არის
შეგნება თვისი მდგომარეობის
დანიშნულებისა, მეტი სიმტ
და სიმხნევე კლასობრივ ბრძოლ
და საოცარი ერთსულოვნება
თანხმობა მუშათა შორის. დრო
თი გატაცების ალაგი დაიჭირა
რწმენამ, ბუნდოვანი მისწრ
შეიცვალა გარკვეულის გეგმით;
უფრო მტკიცე კალაპოტში ჩაღ
რა მიზეზებია მუშათა მოძრ
განვითარებისა? ჯერ ერთი ცხო
ბის გაძვირებამ უაღრეს წერ
მიაღწია. უპირველესი საგნებ
ბევრისთვის მიუწდომელი გა
დაძვირება ბინისა, სანოვაგისა, ტ
საცმელისა,—ერთის სიტყვით უ
იმისა, ურომლისოდაც ადამიანს
მიანური ცხოვრება ვერ შეუძლ
აფიქრებდა მუშათა კლასს და
ბის გასაუმჯობესებელ გზებს აძე
ნებდა. გაფიცვა საზოგადოდ
ამნაირ საშუალებად არის მიჩნ
კულტურულ ქვეყნებში და რუს
მუშებსაც თავიანთ მდგომარ
გასაუმჯობესებლად ბრძოლის ამ
ტურულ საშუალებას მიჰმართეს
საზოგადოდ ამა თუ იმ. ქვე
მუშათა ცხოვრების დამახასიათებე
სამრეწველო და საეკონომიო
ცენტრის. მუშები გამოდიან.
რების სიმწვავეს ყველაზე
დიდი სამრეწველო ცენტრებისა
დიდი ქალაქების მუშები განიც

ამიტომ გაფიცვებიც უმეტეს წი ლდ ასეთ ცენტრებიდან დაიწყება ლმე.

სწორედ ამ მიზეზით მოძრაობამ ავრად გაშალა ფრთა ისეთ ქა ქებში, როგორიც არის პეტერბურგი, მოსკოვი, ლოძი, ვარშავა, ვა და ბაქო. პეტერბურგში არ ჩენილა ისეთი დარგი სამრეწვე ურისი, ქარხანა თუ ფაბრიკა, სახელმწიფო თუ კერძო სამრეწველო, სადაც მუშებს გაფიცვა არ მოეხდინათ თვის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჯერ ჯეროვნით სრულიად შეუძლებელია სასტატისტიკო ცნობების მოყვანა გაფიცვათა ოდენობაზე მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1913 წელი ურად არ ჩამოუვარდება ამ მხრით 1905 წელს. ყველაზე ღირსშესანიშნავია ძველი და ახალი ლესნერის ქარხნები, პუტილოვისა და ობუხოვის მუშათა გაფიცვა. გაფიცვა გრძელდებოდა თვეს, თვენახევარს და ხანისხან ორ თვეს. მიუხედავად იმისა, რომ მუშები გაფიცვის გამო აუტანელ გაჭირვებას განიცდიდნენ, მაინც ანედ აგრძელებდნენ გაფიცვას.

არ შეიძლება ითქვას, რომ გაფიცვა მუშათა გამარჯვებით თავდებოდა ამის საწინააღმდეგოდ ბევრი დამშლელი პირობები არსებობს. ქარხნები ისეთი ნაცადი ხერხითა იარაღით ებრძოდნენ მუშათა კლასს, როგორიც არის ყოვად ძლიერი ლოკაუტი, მუშათა ლისა და ერთსულოვნების დაქქვსა, ერთი კატეგორიის მუშათა მეორე კატეგორიაზე ამხედრება და ხვა.

ბევრგან მუშები დამარცხდნენ, ისევ ძველ პირობებში განაახლეს მუშაობა, ბევრგან მცირეოდენი გამარჯვებაც მოიპოვეს, უფრო იშვიათად კი გაფიცვა სრულის გამარჯვებით დაგვირგვინებულა. ამისდა მიუხედავად რუსეთის მუშათა ცხოვრების მატიანეში 1913 წელიწადი მაინც ღირსშესანიშნავია.

ერთი გარემოებაც არის აღსანიშნავი მუშათა მოძრაობაში. საზოგადოდ გაფიცვის დროს დანაშაულობათა რიცხვი იზრდება ხოლმე. 1913 წელი კი ამ მხრივ გამონაკლისია, რაც მუშათა მეტ შეგნებას ამტკიცებს. ამ გაფიცვებს ღრმა ეკონომიური მიზეზები ჰქონდა.

კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა აღსანიშნავი მუშათა ცხოვრებაში: ზამთარში გაფიცვები მიწელებულია და საზოგადოდ ცხოველმყოფელობას იშვიათად იჩენს. მეტი გამოცოცხლება დაეტყო გაზაფხულს და ზაფხულში უაღრეს წერტილს მიაღწია, შემოდგომას კი დადგა ხანი ლიკვიდაციისა.

ეს იმით აიხსნება, რომ ზაფხულში ბუნება ნაკლების სიმკაცრით ეპყრობა გაფიცულთ, თვის სიმწვავეს უფრო მცირედ აგრძნობინებს. სულ სხვა არის სუსხიანი ზამთარი, რომლის თადარიგსაც შემოდგომითვე უნდა შეუდგნენ.

1913 წელმა ჩვენს მუშათა ცხოვრებაშიაც დასტოვა ღრმა კვალი. იშვიათია მუშათა ცხოვრების ისტორიაში ისეთი გაფიცვა, როგორიც იყო ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვა. უსახელო საზოგადოების დირექტორმა ბელოიმ ისეთი პირობები შექმნა, რომ მუშათა მშვიდობიანი მიმდინარეობა წარმოუდგენელი იყო. ცხოვრების გაძვირება ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ და მუშათა მდგომარეობა კი უცვლელად დარჩა. ტრამვაის მოსამსახურეებმა მიიღეს ეს მხედველობაში და დირექციას წარუდგინეს მოთხოვნილებანი; ყველა მოთხოვნილებას ეკონომიური ხასიათი ჰქონდა: ისინი მოითხოვდნენ ჯამაგირის მომატებას 10%—30%-ით, ყოველ ექვს თვეში ერთხელ ჯამაგირის გადიდება სხვა და სხვა დარგის მუშებისათვის, სამკურნალო დახმარებას, ტანისამოსს, უფასო ბილეთებს და სხვა. დირექციამ მუშებს არავითარი პასუხი არ შეუთვალა, რასაც [illegible] გაფიცვა [illegible]. 26 აგვისტოს ტრამვაის მიმოსვლა შესწყდა. აღსანიშნავია, რომ გაფიცვა იშვიათის ერთსულოვნებითა და თანხმობით მიმდინარეობდა. გაფიცვა 11 ენკენისთვეს დასრულდა მუშების გამარჯვებით. მშვიდობიანობა და წესრიგება ამ ხნის განმავლობაში არ დარღვეულა. ადმინისტრაციის ჩარევას რომ დისონანსი არ შეეტანა, გაფიცვას სრული მშვიდობიანობის ხასიათი ექნებოდა. საზოგადოების სიმპატია, მიუხედავად შევიწროვებისა, გაფიცულთა მხარეს იყო.

24 ივლისს ბაქოში დაიწყო სხვა და სხვა სამრეწველოს მუშათა გაფიცვა. გაფიცვა თანდათან ძლიერდებოდა. ნავთის სამრეწველო მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს. გაფიცვამ კარგა ხანს გასტანა და მუშების მოთხოვნილებათა ნაწილის დაკმაყოფილებით დამთავრდა.

თიბათვის დასაწყისში ქუთაისში გაიფიცნენ მაღაროების მომუშავენი, მადნის გასარეცხ ქარხნის მუშები და ვაგონების დამტვირთველი მუშები. მუშები მოითხოვდნენ რვა საათის სამუშაო დღეს და ხელფასის მომატებას 40—20 პროც. გაფიცულ მუშათა და ფირმების პატრონთა შორის მოლაპარაკება გაიმართა. გაფიცვამ თითქმის თვენახევარს გასტანა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. იყო კიდევ წვრილმანი გაფიცვა ბაქოში, ქუთაისში, ფოთში და ბათომში.

აღსანიშნავია, რომ კავკასიაში თითქმის ყველა გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა, რაც მუშათა შეგნებასა და ერთსულოვნებას უნდა მიეწეროს.

ქართული პრესა 1913 წ.

პრესა საზოგადოებრივი აზრისა და იდეების გამომხატველია. უპრესოდ არც ერთ კულტურულ ერს არ შეუძლიან ცხოვრება, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ის დამოკიდებულია და შევიწროვებას განიცდის, მაშინაც კი ამ თუ იმ ერს მუდამ აქვს რამდენიმე ორგანო გამომხატველი მისი სულისკვეთებისა. ამ მხრით ჩვენ კარგა ხანია ადგილი დავიჭირეთ კულტურულ ერთა სიაში და ყოველ წლობით მეტი წინსვლა გვეტყობა. განსაკუთრებული თვისებები აქვს ჩვენს პრესას: უმეტესი ნაწილი ჩვენი გაზეთებისა, მაგალითად, უეჭველად გამომხატველია საზოგადოების რომელიმე ნაწილის აზროვნებისა, იდეებისა. ჩვენ არა გვაქვს ისეთი გაზეთი, რომელსაც საერთო ხასიათი ჰქონდეს, მხოლოდ ინფორმაციული იყოს. სამაგიეროდ არა გვაქვს ამისდაგვარი არც ერთი დიდი ჟურნალი; ყველა სალიტერატუროა. მაგრამ ყველაზე ძვირფასი ის არის, რომ ჩვენებურ პრესას ერთი დაუფასებელი მხარე აქვს: იგი წმინდაა და სპეტაკი, როგორც თოვლი ღილისა და ანკარა წყაროს გული. რასაკვირველია, ეს სისპეტაკე პრესამ შეინარჩუნა 1913 წლის განმავლობაშიაც, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ზოგიერთ გამოცემებში ასტყდებოდა ხოლმე შეუფერებელი კამათი და ენებათა გაღიზიანება რომელიმე საკითხის გამო. რიცხვი ჩვენი ჟურნალ-გაზეთებისა 1913 წლის განმავლობაში საკმაოა. წლის განმავლობაში ტფილისში გამოდიოდა სამი ყოველ-დღიური გამოცემა: „სახალხო გაზეთი", „ჩვენი დროება" და „ახალი აზრი"; სამი ყოველ-კვირეული — „თემი", და „ფიქრი" და „კლდე", სამი ჰუმორისტული ალმანახი „ჭინჭარი, „მათრახი" და „სუსხი„, ორი საბავშვო ყოველ-კვირეული ჟურნალი: „ნაკადული" და „ჯეჯილი". ერთი სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი" და ერთი საპედაგოგიო—„განათლება". ამათგან დაიკეტა: „ჩვენი დროება", „ახალი აზრი" და „ჭინჭარი".

საინტერესოა ის მოვლენაც, რომ [illegible] ძლიერ გაიზარდა ჩვენში ჟურნალ-გაზეთების მოთხოვნილება, და იმედია, ორჯელ და სამჯერ მეტი რიცხვი ჟურნალ-გაზეთებისა იარსებებს აუტანელი პირობები რომ არ უშლიდეს ხელს. ხალხის მოთხოვნილებათა ზრდის მაჩვენებელია პროვინციის პრესა: ამ მხრით ჩვენ პროვინციებში უპირველესი ადგილი ქუთაისს უკავია. წლის განმავლობაში აქ გამოსულა 15 ჟურნალ-გაზეთი— „ერი", „იმერეთი", „კოლხიდა", „დილა", „თანამედროვე ქვეყანა", „სიმართლის ხმა", „სიტყვა", „შინაური საქმეები", „სასოფლო გაზეთი", „ჩვენი თეატრი", „ოქროს ვერძი", „კოოპერაცია", „შრომის კვირა" და „განთიადი". ამათგან „შინაური საქმეებისა", „სასოფლო გაზეთისა" და „განთიადის" გარდა ყველანი დაიხურა. ბათომში გამოდის ერთი გაზეთი „ბათომის გაზეთი" და სიღნაღში—„ხმა კახეთისა". დაიკეტა ბაქოში „წყარო", და გორში—„ქართლი". ასე რომ 1914 წლის 1 იანვრისათვის ქართულ ენაზე ტფილისში და პროვინციებში გამოდიოდა: გაზეთი—შვიდი, ჰუმორისტული ალმანახი—სამი, საყმაწვილო ჟურნალი—სამი („ნაკადული" მცირე წლოვანთათვის), სამეურნეო ჟურნალები—ორი, ყოველ-კვირეული ორი, ყოველ-თვიური—ორი.

ძაან ახალ წელია

(სახალხოლო სიმღერა).

დღეს ჩემთან დარდს რა უნდა,
მით რომ ახალ-წელია.
თავით მიდგა არაყი,
ფეხით ყურძნის წვენია;
ორივეს ვსვამ, ბოთლებს ვლევ,
ვლევ და როდი მრცხვენია.
სირცხვილი რას მიქვიან,
რადგან ახალ-წელია!..
საცა მინდა იქ შეველ,
მოვიღერე ყელია,—
სად მიდიხარ, ძმობილო,
ვინა ამის მიქმელია?!
ვდარდიმანდობ, გაიგეთ,
რადგან ახალ-წელია...
გოზინაყი, ჩურჩხელა,
უხვად წინ მიდგენია.
ცოტა რომ შემასმით
არ ამომშრეს ყელია!
გაიგეთ თავის-თავზე
ამილია ხელია.
რადგან? რა ამბავია?
— მით რომ ახალ-წელია.
ჩემს ჭირს სხვას არ ვაპირებ,
სხვისას ჭირიც ჩემია...
ჩემ სიცოცხლეში სიტკბო
მე ხომ არ მიგემია!
ოჰ, თქვენ კი გენაცვალოთ
უნცროსი ძმა თქვენია...
შენ უყურებ მოკეთე
გარშემო რამდენია!
სუყველა თავს მევლება,
ერთმაც არ მაწყენია.
ალბათ იმისგან არი
დღეს რომ ახალ-წელია...
„მიირთვი", სულ ეს მესმის:
„ნურაფრისა გრცხვენია"!
თუმცა წარსული წლებისგან
დავრჩი გულ-ნატკენია.
ამ წლებზე სულ სხვას ვფიქრობ:
ძალან ახალ წელია!..
დიდი დარბაისელი,
ვით სოლომონ ბრძენია,
ერთი ბრიყვული სიტყვა
მას როდი წასცდენია.
მაშ მოდი მოგილოცავთ...
ძალან ახალ წელია!

ვაჟა-ფშაველა

რუსეთი 1913 წელს

რუსეთის ცხოვრებაში წარსული წელიწადი ერთი იმ წელიწადთაგანი იყო, რომელიც ტიპიურ მოვლენად გადაიქცა რუსეთში დღიდან 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებისა. დამახასიათებელი თვისება როგორც ამ წელიწადისა, ისე წინანდელებისა, ის არის, რომ საკითხი რუსეთის კონსტიტუციონალიზმისა კვლავ გამოუცნობელ სფინქსად აღიმართა რუსეთის წინაშე. ძველი წეს-წყობილება, ბიუროკრატიული წესი მართვა-გამგეობისა აღარ არსებობს. 17 ოქტომბრის უმაღლესმა მანიფესტმა ბოლო მოუღო, ოფიციალურად მაინც, ამ წესს; ახალი წეს-წყობილება, რომელიც იგულისხმებს საკანონ-მდებლო ფუნქციების გადასვლას ხალხის ხელში, ოფიციალურადვე აღიარებულია. მიუხედავად ამისა, დღეს არც ერთი და არც მეორე. ძველ ტრადიციებზე აღზრდილი ბიუროკრატია ეურჩება იმას, რაც დრომ მოიტანა და რაც უკვე ფაქტად იქცა: წარმომადგენლობითი წესს მართვა-გამგეობისას. ეს ახალი წეს-წყობილება ახალი მარტო იმით კი არ არის, რომ პეტერბურგში ხალხის წარმომადგენელნი კანონმდებლობენ. ახალია იმით, რომ ხალხის წარმომადგენლები კანონმდებლობენ 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით. ამ მანიფესტით კი რუსეთში უნდა დამყარებულიყო კონსტიტუციონალიზმი, უნდა განხორციელებულიყო უფლებრივი წეს-წყობილება, საფუძველი უნდა ჩაჰყროდა თავისუფლებას სიტყვისას, ბეჭდვისას, კრებებისა და სხვა.

ბიუროკრატია, რა თქმა უნდა, ერთბაშად ვერ შეურიგდა თავის საკუთარ თავის უარყოფას და მოისურვა შეზღუდვა იმ უფლებებისა, რომლებიც ხალხს მიენიჭა 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით. მან მოისურვა ძველ ტყავში ახალი ღვინო ჩაესხა და 17 ოქტომბრის მანიფესტი ფაქტიურად არ განხორციელებულიყო. რანაირის საშუალებით შეეძლო ამის მიღწევა? ერთი გზა— აშკარაა რესტავრაცია, გაუქმება არსებული მდგომარეობისა და აღდგენა ძველისა, სადა და სასტიკი ეს გზა, მაგრამ ამასთანავე ერთად ფრიად სახიფათო. დარჩა მეორე გზა შექმნა მთავრობის მორჩილი სათათბიროსი, რომელიც არსებით წინააღმდეგობას არ გაუწევდა მთავრობას და ამ რიგად ევოლუციონური რესტავრაცია ფაქტიურად განხორციელდებოდა. 3 ივნისის კანონით ასეთ სათათბიროს საფუძველი ჩაეყარა.

როდესაც ასეთი პოლიტიკური კონიუნქტურა შეიქმნა, რუსეთის საზოგადოებრივი აზრიც ამის მიხედვით უნდა ჩამოყალიბებულიყო საზღვარი ორს უმთავრეს საზოგადოებრივ მიმდინარეობის შორის მაინც. ერთის მხრით უნდა ჩამოყალიბებულიყო ისეთი ჯგუფები, რომელნიც კონსტიტუციონალიზმის მომხრენი არიან, მეორეს მხრით კი კონსტიტუციონალიზმის მოწინააღმდეგეჯგუფი. ნამდვილად კი ეს ასე არ მოხდა. დღეს ვერავინ იტყვის, სად იწყება კონსტიტუციონალიზმი და სად მისი საწინააღმდეგო მოძრაობა. საზოგადოებრივი აზროვნებაში მთავარი ადგილი დაიჭირა საპარლამენტო ფაქტების შინაარსმა, ბრძოლამ, რომელიც, რა თქმა უნდა, თავისი ფასი და ღირებულებაც აქვს, მაგრამ რომელმაც ამასთანავე ერთად სრულიად დაჰფარა მთავარი საკითხი რუსეთის სინამდვილისა— არის თუ არა რუსეთში კონსტიტუცია და, თუ არის, ვინ არის მისი მომხრე და ვინ წინააღმდეგი.

ამ არევ-დარევის ტიპიური წარმომადგენლები და საუკეთესო მატარებლები არიან ოქტომბრისტები, სწორედ ის პარტია, რომლის დროშაზედაც 17 ოქტომბრის მანიფესტი სწერია. ამ აზრით არევ-დარევამ ფრიად ორიგინალური და ამასთანავე ერთად არანორმალური მდგომარეობა შექმნა რუსეთში. არამც თუ თვითოეული მინისტრი ცალ-ცალკე არამედ თვით მინისტრთა საბჭოც კი საჭიროდ სთვლიან ყოველ შემთხვევის დროს გამოაცხადონ, რომ ისინი დიდის პატივისცემით ექცევიან სახელმწიფო სათათბიროს, მხოლოდ იმაზე და ზრუნავენ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი განახორციელონ. ამის საპასუხოდ ოქტომბრისტებიც არწმუნებენ დიდსა და პატარას, კონსტიტუციონალისტები ვართო. მთავრობა და სათათბიროს ხელმძღვანელი პარტიები ერთმანეთს ეფიცებიან, კონსტიტუციონალისტები ვართო, მაგრამ კონსტიტუცია კი დღემდის არ განხორციელებულა.

ბიუროკრატია თავისი ძველი გზით მიდის, და სათათბიროს ხელმძღვანელი პარტიები ამ გზას ულოცავენ. საჭიროდ ~~არ~~ მიგვაჩნია დაწვრილებით ჩამოთვლა ყველა იმ აქტებისა, რომლებშიაც გამოისახა, ერთის მხრით, მთავრობის პოლიტიკა და, მეორეს მხრით, ტაქტიკა მორჩილებისა სახელმწიფოს სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიებისა.

მოიგონეთ მოღვაწეობა შინაგან საქმეთა მინისტრის მაკლაკოვისა და მის მიერ შემუშავებული პროექტი ბეჭდვითი საქმისა, რომლის მიღება მინისტრთა საბჭომაც კი ვერ იკისრა. 17 ოქტომბრის მანიფესტში აღთქმულ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას დაუპირისპირდა მაკლაკოვის პროექტი. უმთავრესი მუხლები ამ პროექტისა ოქტომბრისტთა ხმების დახმარებით გავიდა. მაგრამ ეს გარემოება, უეჭველია, ვერც ოქტომბრისტებს და ვერც მაკლაკოვს ვერ დაუშლის თავიანთი თავი კონსტიტუციონალისტებად და 17 ოქტომბრის მანიფესტის მომხრეებად გამოაცხადონ.

მოიგონეთ მოღვაწეობა სახალხო განათლების სამინისტროსი, სრული ფაქტიური გაუქმება უნივერსიტეტების ავტონომიისა, ასეთივე ფაქტიური გაუქმება მშობელთა წრეებისა და მთელი რიგი ისეთ განკარგულებებისა, რომელთაც მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი, როდესაც ძველი, ბიუროკრატიული, უმაღლესი მანიფესტით გაუქმებული წესი იყო მართვა-გამგეობისა.

მოიგონეთ მოღვაწეობა იუსტიციის მინისტრისა; ფაქტიური გაუქმება დეპუტატების ხელშეუხებლობისა და ყველა ის ზომები, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს პრესტიჟისა და ავტორიტეტის დასაცემად იქმნა მიღებული. დასასრულ, მოიგონეთ პროცესი ბეილისისა და მრავალი სხვა ამისთანა მოვლენა. მაშინ თქვენს თვალწინ გადაიშლება სრული სურათი რუსეთის დღევანდელი მდგომარეობისა და დარწმუნდებით, რომ რუსეთში კონსტიტუციონალიზმის ნასახიც არსად ჩანს; ჯერ ისევ განუხორციელებელია 17 ოქტომბრის მანიფესტი, თუმცა ამ მანიფესტზე ბევრს ლაპარაკობენ როგორც მინისტრები, ისე სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელი პარტიები.

რუსეთის ტრაგედიაც სწორედ ამაში მდგომარეობს. ყველა ჰგრძნობს, რომ ძველი გზით სიარული შეუძლებელია, მაგრამ ყველა მაინც ძველის გზით მიდის. ძველი თუ ახალი გზა,—აი რანაირი დილემა სდგას რუსეთის წინაშე. სანამ იგი არ გადასწყდება, რუსეთის შინაური ცხოვრება დაუსრულებელ კონფლიქტების ასპარეზად იქნება გადაქცეული, წელიწადი წლიწადს გაჰყვება, ბევრი რამ საყურადღებო მოჰხდება წლიწადების ამ მიმდინარეობაში, მაგრამ საბედისწერო საკითხი ისევ საკითხად დარჩება და ბევრი უკმაყოფილების საბაბად გადაიქცევა.

1913 წელიწადიც სწორედ ერთი იმნაირი წელიწადთაგანია, რომლის წინაშეც კვლავ გადასაწყვეტად იდგა საკითხი, მაგრამ მაინც ვერ გადასწყდა. ვნახოთ, მომავალი წელიწადი რას მოგვიტანს.

ჩვენი დღენი და გზანი

მონას ჰკითხეს: რატომ
არ იცინიო?—როდისღაო?
უპასუხა: სულ ტირილი გვაქვსო.

ერთი რამ განსაკუთრებით ახასიათებს ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებას: ის, რომ ჩვენი ცხოვრება ჩვენში, ჩვენს ბუნებაში კი არ არსებობს, არამედ ჩვენს გარეშეა, ვინაიდგან იგი შეუგნებელია, უცხოა ჩვენთვის. საზოგადოდ ყოველივე მოვლენა ცხოვრებისა ადამიანისათვის იმდენად არსებობს, რამდენად გაცნობიერებულია, განშორებია ცხოველურს ალღოს, ინსტიქტიურს მოქმედებას, რადგან ადამიანობა იწყება იქ, სადაც თავდება უბრალო ცხოველობა და მყარდება სამეფო გონებისა და შეგნებისა. ცხოვრება შეგნებაა და როგორც კერძო ადამიანის, ისე მთელი საზოგადოების, ერის არსებობის ღირსება განიზომება იმის მიხედვით, თუ ამ არსებობაში ჩახედულია ცნობის თვალი, რამდენად ცხადია და გარკვეული კერძო ადამიანის თუ საზოგადოების მიერ. მხოლოდ ამ თვალსაზრისით, ამის მიხედვით ვლაპარაკობთ პიროვნულის და ეროვნულის ცხოვრების სიმაღლისა და სიმდაბლისათვის, მხოლოდ ამით ვხელმძღვანელობთ, როცა ვსწერთ, რომ ეს პიროვნება, საზოგადოება, ერი ძლიერია, განვითარებული, გამარჯვებული, თუ პირიქით, დაცემულია, განუვითარებელი, სუსტი ეს გვაქვს სახეში. როცა ვამბობთ: მკრთალია, უძლური ჩვენი ცხოვრების დუღილი.

დიახ, ჩვენ ჩვენის ცხოვრების გარეშე ვდგევართ. ამით აიხსნება, რომ ჩვენში არ მოიპოვებიან მკაფიოდ ჩამოსხმულნი, გარკვეული, მკვეთრი, ნათელი პიროვნებანი. პიროვნებას ჰქმნის ცხოვრების შემეცნება უპირველესად. ველურებში ერთი ადამიანი გასაოცრად ჰგავს მეორეს და ასე წარმოიდგინეთ, არა მარტო თავის სულიერის აგებულობით, არამედ გარეგნობითაც კი. აქ ადამიანი საკუთარის გრძნობებით და ფიქრებით კი არა სცხოვრობს იმდენად, რამდენად საერთო აზრებით და ჩვეულებებით, რომელნიც ამასთანავე მეტად მარტივნი და განუვითარებელნი არიან. წინსვლა ნიშნავს ამ მდგომარეობიდან გამოსვლას და საკუთარის მსოფლიოს შემუშავებას, საკუთარის მე-ს შემოფარგვლას და შემოხაზვას. რასაკვირველია, ჩვენ ველურები არა ვართ, კაი ხანია. მაგრამ ეგეც გარეშეა, რომ ჩვენში ბევრი რამაა ისეთი, რაიც დამახასიათებელია პრეველყოფილის მდგომარეობისა: პიროვნების განუვითარებლობა, ცხოვრების მიღებული შეგნება ან სრული შეუგნებლობა, არ განცდა.

თვალი გადაავლეთ ჩვენს უკანასკნელი 40—60 წლის კაზმულ მწერლობას, რომელიც საკმაოდ მდიდარია: დაიხატავთ სადმე ქართველს ტიპს, ქართველის ეროვნულს, თავისებურ სახეს? იპოვით ადამიანს, რომელშიაც როგორც ერთს ცენტრში, შეგროვილი იყოს ქართველის ეროვნული ნიშნობლივი თვისებანი! ასეთს ადამიანს, ასეთს ქართველს, მთელი ერის სულიერობის გამომხატველს თქვენ ვერ აღმოაჩენთ. იგი არ დაუხატავს ჩვენს მხატვრულს შემოქმედებას.

მაგრამ არაა არამც თუ ერთი მთლიანი საზოგადო სახე ქართველობისა, არ მოიპოვებიან კერძო, ცალკე სახეებია ქართველობის სხვა და სხვა სულიერი მხრის გამომხატველნი, არაა სახე ქართველის წოდების, კლასის, წრის, არაა ცალკე ჯგუფური ტიპიც. ჩვენს მწერლობას აქამდის არ დაუხატავს ქართველი ტიპიური აზნაური, გლეხი, მუშა, მღვდელი, ინტელიგენტი და სხვა. მართალია, ზოგიერთმა მწერალმა ლამაზად მაღალის ნიჭით აგვიწერა ცალკე სახე აზნაურის, გლეხის თუ სხვის, მაგრამ მათი შექმნილი სახე შეიცავს უფრო რომელისამე ვიწრო კუთხის განსაკუთრებულს თვისებებს, ვიდრე მთელი ერის განსაზღვრული კლასის და წოდების საერთო ღირსებებსა და ნაკლულევანებს. ილია ჭავჭავაძის თავადი—კახელი ბატონია; დ. კლდიაშვილის აზნაური—მარტო ერთის მაზრის გაკოტრებული აზნაურის სახეა; ე. ნინოშვილის გლეხი—ერთი კუთხის გლეხის გულში იცქირება მარტო; შ. არაგვისპირელმა გააპიროვნა თავის შემოქმედებით მხოლოდ ქართველი გლეხი; ვაჟა-ფშ-ველას ცრემლები—უპირველესად მთიელის ცრემლებია, მთის არწივის მწარე კვნესა. რაც შეეხება ქართველს მუშას, ქალაქის ახალის ცხოვრების გამომჭედელს, მას ჯერ სრულებით არ მოვლენია თავისი მხატვარი და იგი კაზმულ მწერლობისათვის თითქმის უცნობია დღემდის...

⁂

რითი აიხსნება ყოველივე ეს?

მარტო იმით, რომ ჩვენი ეროვნული საზოგადოებრივი ცხოვრება ძალზე განუვითარებელია და მხატვრის ტილოზე მხოლოდ ის აღიბეჭდება, რაიც ძლიერად სცხოვრობს, რის მაჯის ცემა ღონიერია, რასაც გარკვეული ნათელი მოხაზულობა მიუღია. ჩვენი ეროვნულის ცხოვრების ხმა სუსტია და ჯერ [illegible]

მხატვრის გულამდის, ის უძლურია და არ განუცდია მწერალს, ის ლანდია, რიჟრაჟი, ნისლიანი დილა და შემოქმედის თვალს ვერ გაურჩევია ჯერ მისი ხაზები. მწერლობა უკვდავი სახეა, მაგრამ იმას, რაც უკვე იშვა ან რის შობა უკვე მოახლოვებულია და მისი შუქები უკვე წინასწარ გვეთამაშება, მისი სხივები უკვე შეეხო ჩვენს დღეს.

ჩვენი ეროვნული ცხოვრება თავის პოლიტიკუ-სოციალურ ეკონომიურის გარკვეულის სახით ჯერ არ შობილა და ამის მიხედვით ისიც უნდა ვსთქვათ—რაც უნდა საწყენი იყოს ამის თქმა, რომ ქართველი ერი, როგორც ერთი ძალთმსოსილი კოლექტიური პიროვნება დღეს არ არსებობს. ვიტყოდი სულმოკლე ადამიანების სანუგეშოდ, რომ ქართველი ერი ხანგრძლივი დაშლისა, დარღვევის შემდეგ აღორძინების და განახლების ხანაში გადადის, მაგრამ ამ წრილს ვისიმე სანუგეშოდ არა ვსწერთ და მინდა მხოლოდ დღევანდელ სინამდვილეში ჩაიახედო მკითხველი. ეს სინამდვილე-კი გვეუბნება, რომ ქართველი ერი, როგორც ერთი გარკვეული პიროვნება, შეგნებული წევრი თანამედროვე კაცობრიობისა, უნდა იშვს, მაგრამ ჯერ არ შობილა.

მას არ იცნობს ჩვენი მხატვრული მწერლობა, არ იცნობს სინამდვილე. მწერლობას არ აღუნიშნავს, რაც ნამდვილად არ მოიპოვება. მთელი საუკუნის განმავლობაში ჩვენს ეროვნებას არ წარმოუშვია ერთი ეროვნული გმირი. ყოველს ძლიერს გრძნობას, ძლერს განცდას, ძლიერს მისწრაფებას ჰყავს თავისი ღმერთი, კერპი, გმირი, რომელშიაც ყველაზე მეტად გამოიხატება საერთო ტკივილი და მისწრაფება.

ამგვარს გაზეციერებულს ადამიანში საზოგადოება ჰპოვებს თავის მდგომარეობის უწმინდეს სარკეს, მით ყველაზე უფრო შეიგნებს თავის განსაცდელს და მისი ხელმძღანელობით გაიკაფავს გზას განსაცდელიდან გამოსასვლელად. მერე სად არის ჩვენში ასეთი გმირი, განმცდელი მთელი ერის სიმწარის და ვაების, მოძღვარი და წინამძღოლი, ერის გულით მოჭირნახულე, ერის პირით მოპასუხე? გმირი, რომელმაც სავსებით განიცადოს ტრაგედია ქართველის ერისა და თუ არ მიანიჭოს ერს ხსნა, დიდებულად ემსხვერპლოს ამ ტრაგედიას?

გმირობა არ ნიშნავს მარტო თავის განწირვას; არა ყოველი დედა, რომელიც თავს განწირავს შვილის დასახსნელად, გმირია. შეიძლება ადამიანი არც ეწამოს სხეულით, მაგრამ გვირგვინით შეიმკოს შუბლი თავის სულიერის განცდით. გმირობა ყველაზე უწანარეს არის უმწვავლესი შეგნება და განცდა მდგომარეობისა და თუ ამ მხრით შევხედავთ ჩვენს ახალს ისტორიას, დავინახავთ, რომ მარტო ერთმა დ. ყიფიანმა ჩაიხედა ასე თუ ისე ქართველი ერის სინამდვილეში, დაინახა და იგრძნო სახე ამ სინამდვილისა, ეზიარა მას თავისებურის რწმენითა და მსოფლმხედველობით და დაიმსხვრა, მაგრამ ამ დამსხვრევაში მოიპოვა შარავანდედი ეროვნულის გმირისა, თვით მიიღო სახე ერისა.

მას შემდეგ მრავალი ცვლილება მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ბევრით განვითარდით, ჩვენი თვითშეგნება გაიზარდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ეროვნული გმირები მოვლენოდეს ჩვენს საზოგადოებას. კვლავ მკრთალია, უძლური, გაუბედავი, მოჩლუნგებუ ჩვენა ცხოვრება, რაღაც ბურუსშია გახვეული. სუსტია ჩვენი გრძნობანი, ფიქრებს ვერ მიუღიათ ცხადი გამოხატულობა. ოდნავად სცემს ჩვენი გული, სული არაა აღფრთოვანებული მაღალის ზრახვებით, არა გვაქვს რწმენა, ტირილი არაა მწარე, ოცნება ფრთა შესხმული და ამიტომაც არ არიან გმირები. გმირი მოვა ძლიერ მოწოდებაზე, ჩვენ კი არ მოვუწოდებთ მათ, არ ვუხმობთ ქუხილითა და ყვილით, მთელის ჩვენის არსებით არ გვწყურია მათი გამოცხადება. გმირს შობს ღრმა გრძნობა და აზრი, ჩვენში კი არაა ძლიერი ეროვნული შემეცნება, არაა განცდა სრული ცხოვრებისა, არ ვცხოვრობთ იმ ცხოვრებით, რომელიც გარს გვარტყია, უსახონი და უპიროვნონი ვართ და ასეთს ადამიანებს შორის არასოდეს არ დაიბადება გმირი, სახე გაბრწყინვებული, პიროვნება ნათელი, შეგნება განხორციელებული.

⁂

უგმირობა ჩვენი განუვითარებელი ეროვნული ცხოვრების ნიშანია. შეიძლება განა ეროვნულის ცხოვრების შესახებ ლაპარაკი, როცა ჩვენთვის არაა გადაჭრილი ისეთი დედა საკითხი, როგორიც არის: საჭიროა თუ არა ეროვნული თავისუფლების მოპოვება? სიკეთე და მადლია ეროვნება, თუ უბედურება? სატრფიალოა თუ სავნებელი მოვლენა?

ჩვენი საზოგადოება მოკლებულია ეროვნულს რწმენას. რწმენა იქაა მხოლოდ, სადაც კი შეჭრილა ცხოვრებაში და ადამიანის ბუნების განუკვეთელი ნაწილი გამხდარა. ჩვენში რწმენა სიტყვაა მარტო, საგაზეთო წერილის მასალა ან შექეიფიანებული სუფრის სადღეგრძელოების შინაარსი. ჩვენში, ჩვენს ოჯახში, კერძოობასა თუ საზოგადოებაში ნამდვილი ეროვნულის რწმენის სახსენებელიც არ მოიპოვება: არავინ ცხოვრობს, როგორც ქართველი, არავინ ჰფიქრობს თავის თავს ქართველად, არავინ აზროვნობს და ჰგრძნობს ქართველურად. ყველანი ვარსებობთ უცხოს არსებობით და ხან და ხან თუ გვახსენდება მხოლოდ, რომ ქართველები ვართ.

ხშირად ვყვირით და ვსწერთ ეროვნებისა და მამულიშვილობის შესახებ, მაგრამ ეს იმდენად საკუთარის ბუნების მოთხოვნილება, პირადის განცდის ნაყოფი კი არაა, რამდენად გამოწვეულია სხვისის ნაკარნახევით, წახედულობით. ჩვენ ნაციონალისტები ვართ, მამულიშვილები იმდენად, რამდენად ეს წაგვიკითხავს, გაგვიგონია, დაგვინახავს, ისე, როგორც ეროვნებას ვგმობთ და ვებრძვით იმიტომ, რომ ასე გვიკარნახებენ სხვები, ამას გვითითებს უცხოთა მდგომარეობა და მოძღვრება. ჩვენს ნაციონალიზმს და ანტინაციონალიზმს არსებითად ორივეს ერთნაირი ძირითადი საფუძველი აქვს—შეუგნებლობა საკუთარის ცხოვრებისა, განუცდელობა პიროვნებისა. არც ერთია გამოწვეული კულტურითა და არც მეორე, ორივე ჩვენის უკულტურობის შვილია.

ჩაუკვირდით ჩვენის ცხოვრების ყოველდღიურს უბრალო მოვლენას: განა რომელიმე ქართველის ოჯახში, ქართველების შეკრებილობაზე, საზოგადოებრივ საქმიანობის, შემთხვევით საუბრის და კამათის დროს ნახვით ადამიანებს, რომელთაც გარკვეულად ჩამოყალიბებული შეხედულობა ჰქონდეთ, რომელნიც აღიარებენ ერთს რწმენას და შეურყევლად, მტკიცედ ემსახურებოდნენ მას, ბეჯითად იდგნენ არჩეულ გზაზე დ არ იცოდნენ რყევა დ ცულლუტობა? ნახავთ ქართველებს, რომელნიც ერთგულად იცავდნენ ყოველისავე სმქით, სიტყვით, ზრახვით თავის ეროვნებას, რომელთა გულს მოხვდებოდეს ყოველი მახვილი ერის წინააღმდეგ აღმართული, რომელნიც მხნედ იბრძოდნენ უკანასკნელ სუნთქვამდე ერის მტრების მოსაგერებლად?

არა. ყოველი ჩვენი კრება, ოჯახი, საზოგადოება თუ ცალკე წევრი ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე, რომ ქართველებს საზოგადოთ არა აქვთ ღრმა, მტკიცე, შესისხლხორცებული რწმენა, არას ენდობიან, არაფრისთვის გამოიდებენ თავს საქმით და არა ყვირილით მარტოოდენ.

არსად არიან ქართველები, თავით ფეხამდე გამჭვალულნი ეროვნულის თვითშეგნებით, თავმოყვარეობით, ღირსებით, მისწრაფებით. თუ ვინმეა ქართველი, მარტო შემთხვევით ან რაღაც იძულებით, ჩაგონებით.

ერთს ოფიციალურს მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ ბოლო დროს ქართველებში დაიბადა ცოტაოდენი ეროვნული მიმართულება, მაგრამ ამ ეროვნულის მიმართულების მომხრეებმა თვითონ არ იციან, რა სწადიათ, რას ესწრაფვიანო. სიმართლეს არაა მოკლებული ეს მოხსენება: ათ წელიწადზე მეტია, საქართველოს პოლიტიკური იდეალი გამოცხადდა საჯაროდ; ბევრი დაიწერა ამის შესახებ, მაგრამ იგი ჯერ ჰაერშია, რადგან მისი მოთხოვნილება და საჭიროების შეგნება ფართოდ არ ჩაქსოვია ჩვენს ცხოვრებას. ავტონომია სავსებით ჯერ არ არსებობს ჩვენთვისაც, ჩვენს შემეცნებაშიც, სანამ ჩვენი პოლიტიკური იდეალი რეალურად განხორციელდებოდეს, იგი ხორცშესხმული, განამდვილებულად იქნეს ჯერ ჩვენს აზრსა და შეგნებაში.

პოლიტიკურის უფლებას წინ მიუძღვის ზნეობრივი უფლება, ვიდრე ეროვნულ პოლიტიკურ იდეალს მივაღწევდეთ, უნდა სავსებით ვასარგებლოთ იმ მცირე ეროვნულის უფლებით, რომელიც დღეს გვაქვს, უნდა ამოვავსოთ მთლად დარჩენილი ცარიელი ადგილი ეროვნულის მოქმედებისა, მთლად გავშალოთ ჩვენი ძალ ღონე იმ ფარგალში, რომლითაც შემოზღუდულნი ვართ. აი, ამას შემდეგ, როდესაც აღარ იქნება ერთი კუნჭულიც უსარგებლო და გამოუყენებელი, ჩვენ მოვიპოვებთ ზნეობრივს უფლებას ავტონომიის დასამკვიდრებლად და ისეთის ეროვნულის თვითშეგნებით ვიქნებით აღჭურვილნი, რომ პოლიტიკურის ავტონომიის განხორციელებას ვერა დაუდგება რა წინ.

სანამ სხვისგან მოვითხოვდეთ, უნდა მოვითხოვოთ საკუთარის თავისაგან. ვიდრე სხვა მოგვცემდეს, უნდა თვით მივცეთ ჩვენს თავს. სანამ კანონათ კრებულში ჩაიბეჭდებოდეს ავტონომიის საფუძველი, იგი უნდა აღიბეჭდოს წარუშლელად ჩვენი გულის ფიცარზე...

⁂

შეურყეველი ღრმა რწმენა ეროვნებისა, გარკვეული ნათელი ეროვნული სახე და ძველი ებრაელისებური სიმკაცრე და სიმტკიცე ეროვნულის მისწრაფებისა—აი რა უნდა ანათებდეს დღეს ჩვენს ცხოვრებას პოლიტიკურ-კულტურულ სფერაში. უნდა განვიცადოთ ჩვენი დღევანდელი ტრაგედია, უნდა ვიგემოთ ის სიმწარე, რომლის მსგავსი მეორე შეიძლება არც ახსოვს ჩვენის ერის ისტორიას და ამ განცდაზე უნდა აღმოცენდეს გარკვეული ეროვნული სახე: ჩვენი დღის შეგნებამ უნდა შვას ჩვენი გზა, გზა ნათელი, გარკვეული და წმინდა ეროვნული. უნდა მოეღოს ბოლო ერთხელ და სამუდამოდ იმ რყევას, ორჭოფობას, შემთხვევითობას, დაბნეულობას, უმტკიცობას, ურწმუნობას, გაუბედაობას, რომელიც ისე ახასიათებს ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობას.

მთელის არსებით უნდა ვიწამოთ ღმერთი ეროვნებისა და მას უნდა დაემორჩილოს უთუოდ უპირობოთ ყოველი, სულ მცირე მოვლენაც ჩვენის პოლიტიკურ-კულტურულ არსებობისა. და აქ არ უნდა იყოს არავითარი შებრალება, პატიება, ლმობიერება, დათმობა. ერი შეუბრალებელია, მკაცრია; მისთვის არ არსებობს მცნება პატიებისა, იგი არ დაინდობს დამნაშევს თავის მშობელის წინაშე და უსასტიკეს სასჯელს მიუსაჯავს ყოველს შვილს არა თუ საქმისათვის, უბრალო ზრახვისათვისაც, თუ ერთი ან მეორე დედის მავნებელია და შეურაცხმყოფელი.

ეროვნება, ჩვენი თვითარსებისა ან გვწამს, ან არა, პასუხი გადაჭრილი უნდა იყოს. თუ გვწამს, ეს რწმენა ყველაფერში გარკვევით უნდა სჩანდეს—საქმეში, სიტყვაში, ფიქრში, იდუმალ ნაზს გრძნობაში, ნატვრასა და ოცნებაში. დაფლეთილი, დარღვეული ადამიანი, დანაწილებული გონება, დაყოფილი საქმე, აქეთ-იქითობა უფრო დამღუპველია საზოგადოებისთვის, ვიდრე პირდაპირ ბრძოლა მის წინააღმდეგ. ან ჰო, ან არა! ან ყველაფერი, ან არაფერი—აი ყოველი ერის იმპერატივი, ბრძანება, ერის ჭირისა და ვაების განმცდელისა, თავისუფლებას მოკლებულისა, დაცემულის და ღირსება ახდილისა.

ამ ბრძანებას მივაქციოთ ყურადღება. აქ შიშსა და უიმედობაზე ნურვინ ილაპარაკებს, ადგილი არა აქვს არც ერთს, არც მეორეს. პირიქით, ჩვენს იმედებს საზღვარი არ უჩანს, ხოლო ეს იმედი ფატალისტური როდია. მისი განმახორციელებელი ჩვენი მოქმედებაა, ჩვენი საქმიანობა, რომელიც აღმოცენდება მხოლოდ აწმყოს სრულს შეგნებაზე. და ჩვენი მოქმედებაც მით უფრო ძლიერი იქნება და მხნე, გაბედული, რაც უფრო ღრმა და ფართო იქნება ჩვენი თვითშეგნება, განცდა დღისა.

დღევანდელი ჩვენი ყოფა ხაოსია, ეროვნულმა თვით შემეცნებამ უნდა გაჰფანტოს ხაოსი. ეროვნული გათვითცნობიერება, ეროვნული აღორძინება—უპირველესი არსებითი საკითხია ეხლა ჩვენთვის. იგი უნდა იყოს დემოკრატიული თავის მიმართულებით და თავის შედგენილობით. ჩვენი აღორძინება უნდა დაემყაროს თანასწორობის და სამართლიანობის საფუძველს და მის მისახწევად უნდა ილვწოდეს მთელი ხალხი, მასსა; ეროვნული მოძრაობა უნდა იყოს მასიური, ხალხური. ეს საერთო საკაცობრიო გრძნობაა დღეს, გარდაუვალი განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისათვის...

ერის არსებობა არ განისაზღვრება მარტო პოლიტიკურ-ეროვნულის ფარგალით მის წესიერ ცხოვრების უზრუნველსაყოფად აუცილებლივ საჭიროა ეკონომიური განვითარება, სოციალურის საკითხის გადაწყვეტა მშრომელი კლასის ინტერესების მიხედვით. მაგრამ ამის შესახებ ამ ჟამად აქ არას ვიტყვით.

სამ. ფირცხალავა.

ტფილისი 1 იანვარი

ახალი წელიწადი იწყება. ფიქრი მომავლისკენ ისწრაფვის, ახალ აზრს, ახალ მდგომარეობას ეძებს. მაგრამ საიდან შეიძლება გაჩნდეს ქვეყნად ახალი რამ? გრძნეული ძალები, რომელნიც უწინ ახალისებდნენ მსოფლიოს, ჩვენს დროში უძლურნი შეიქმნენ. სასწაულები აღარა ჰხდება. საიდუმლოებით სავსე სასწაულის ადგილი ისტორიულ თანდათანობას უჭირავს. მომავალში მარტოოდენ ის იქმნება, რაც წინადვე არსებობდა წარსულში ფარულად. დამდეგ ახალ წლის განმავლობაშიაც მხოლოდ ის შეიძლება ვიხილოთ ცხადად და ნათლად, რაც განვლილ წლის თვალ განუჭვრეტს სიღრმეში ჰსუფევდა შეუმჩნეველად.

მაშ ვიკითხოთ, რას წარმოადგენდა წარსული წელიწადი?—რეაქციის მეჯლისს, რეაქციის უმაღლეს გამარჯვებას. რვა წლის წინად, როცა ხალხის შემომქმედმა ძალამ უეცრივ შეატორტმანა საზოგადოებრივ ცხოვრების აშმორებული ტბა და საშინელი თავზარი დასცა საკუთარის ბედნიერებით დამთვრალ საზოგადოების ზედაპირს, აი მაშინ დაისახა რეაქციამ მიზნად სიწყნარის და სიჩუმის აღდგენა. თავშეუკავებელის სიმკაცრით და უკმეხის ძალით რეაქციის ბურჯებმა ხანგრძლივის მეცადინეობის შემდეგ დასახულს მიზანს უკვე მიაღწიეს. განვლილი წელიწადი რეაქციის გამარჯვების დღესასწაული იყო. რეაქციის მცველნი ოფიციალურად აცხადებენ თავის სრულს გამარჯვებას, მაგრამ ავიწყდებათ, რომ სწორედ იქ, სადაც გამარჯვების უკანასკნელი წერტილი ისმის, ისტორიულის აუცილებლობით იწყება მათივე დამარცხების ხანა.

შავბნელია დრო, რომელიც მოუვლინა ქვეყანას რეაქციამ, უკუნეთი მაინც არა ყოფილა. როგორც ყოველთვის, ეხლაც რეაქციის ხანამ შესცვალა მხოლოდ ფორმა, მხოლოდ გარეგანი გამოხატულება პროგრესიული ძალთა განვითარებისა. თუ პოლიტიკურ მოქმედების ასპარეზი შეზღუდული და შეკრული იყო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ თვითმოქმედების ნაკადული მთლად შეწყვეტილიყოს. პირიქით, პოლიტიკურ ასპარეზიდან აცდენილმა ენერგიამ კულტურულ მოღვაწეობისაკენ იბრუნა პირი და აქ, ამ ნიადაგზე ამზადებს და სწრთვნის იგი იმ პროგრესიულ სულს, რომელსაც ეკუთვნის აუცილებლივ მომავალი.

პოლიტიკურ მოღვაწეობის ასპარეზზე ყოველთვის მხოლოდ ხალხის შეგნებული ელემენტები მოქმედებენ. მაშასადამე, პოლიტიკური პროგრესსი საბოლოოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად არის გავრცელებული ხალხში საზოგადოებრივი შეგნება. რეაქციამ შესძლო პოლიტიკურ პროპაგანდის აკრძალვა და ხალხის ფართო წრეების პოლიტიკურ პარტიებად დარაზმვა, მაგრამ საზოგადოებრივ შეგნებას კი ლაგამი ვერ ამოსდო. განვლილ რეაქციის ხანაში ეს ორი, ურთი-ერთის უარმყოფელი პროცესსი, ერთად და განუყრელად მიმდინარეობდა. რაც უფრო ვიწროვდებოდა საზოგადოების პოლიტიკური მოღვაწეობა, მით უფრო ღრმად და ფართოდ იდგამდა ფესვებს ხალხში საზოგადოებრივი შეგნება.

განვლილ წელიწადს რეაქციის გამარჯვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. პოლიტიკური ასპარეზი მიწყნარებულია და გაჩუმებული, მაგრამ ეს სიჩუმე წარმოადგენს იმ ზეწარს, რომელიც გადაფარებული აქვს ხალხის გაღვიძებულ საზოგადოებრივ თვითშეგნებას.

ისტორიამ ნახტომები არ იცის. არც დამდეგ 1914 წელს უნდა მოველოდეთ ისეთ ნახტომს, რომელიც უცბად შეგვიყვანს თავისუფლების სამთავროში, მაგრამ აღარც იმ უიმედობას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელიც ასე ნაღვლიანად ჰღრღნიდა გულს აქამომდე. ფიქრი მოუსვენრად ეძებს ახალს აზრს, ახალს მდგომარეობას. მოგვცემს თუ არა 1914 წელიწადი იმ ახალს მდგომარეობას, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ის კი მაინც ეჭვს გარეშეა, რომ დაგვიახლოვებს მას.

კერძოდ საქართველოს საზოგადოებრივ ძალებს ჯერ კიდევ დიდი კულტურული საქმე უდევთ წინ გასაკეთებლად. უდიდესი ნაწილი საქართველოს მცხოვრებლებისა ჯერ ისევ სრულიად განზე უდგანან ჩვენის ქვეყნის შეგნებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეკონომიური ჩამორჩენა ერთის მხრივ და გონებრივი სიბნელე მეორე მხრივ ჯერ ისევ დასაძლევნი არიან. ეროვნული თვითშეგნება ჯერ მხოლოდ ქართველი ერის მეტად მცირე ნაწილის დამახასიათებელია. უფრონაკლებ, ვიდრე ეროვნული თვითშეგნება, აერთიანებს საქართველოს მცხოვრებლებს განსაზღვრული ეროვნულ-პოლიტიკური იდეალი. საქართველოს, როგორც გარკვეულ ნაციონალურ იდეალით გაერთიანებულს კრებულს, ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ის წყნარი და მყუდრო მუშაობა, რომელიც სწარმოებდა ჩვენს ქვეყანაში განვლილ წელს საქართველოს კულტურულ გაერთიანების ნიადაგზე, უნდა გაგრძელდეს მომავალში უფრო მეტის ენერგიით და მეტის მხნეობით- ისტორიამ ნახტომი არ იცის ციდან ბედნიერება თავს არავის დასცემია; არც ჩვენ დაგვეცემა. თუ იმ დროისთვის, როცა სრულიად რუსეთის რეაქციას ძლევამოსილება ჩამოერთმევა, საქართველო საზოგადოებრივად და კულტურულად გაერთიანებული ძალა არ შეიქმნა, შესაძლოა, იძულებული გვყონ, სამუდამოდ გამოვეთხოვოთ ჩვენს იდეალებს.

მაშ, გვახსოვდეს ეს და ვისურვოთ რომ დამდეგ 1914 წელს ჩვენი ქვეყნის კულტურული დაწინაურების საქმე უფრო მარდად და უფრო ნაყოფიერად მიმდინარეობდეს, ვიდრე განვლილს წელს.

დღიურ

წელიწადი გათავდა, ახალი
ყო. დღიურის მაგიერ წლიურ
და დავწერო, მაგრამ წლიურ
ხიარულო, სალხინო, სიცილი
როგორ ეზარება ყველას მო
ლული დღე, დაღვრემილი სა
ღვლიანი ბაასი, ნისლგადაკ
ბუნება ჭირისა და სიმწარის
ნება! ოჰ, რა ცუდია ტირი
შავი ფერი!

ყველას სწყურია სახე გაშ
აღტყინებული სიხარულით
ც: მოწმენდილი მზიანი, აყვავ
ბაღი, ამწვანებული მთა, აღ
ვანებული სიმღერა, წარმტა
სიკა და თავდავიწყებული
ოჰ, რა მშვენიერია სილაღე
ერის სულისა! რა ღვთიური
მაზით ბრწყინავს მისი თვალებ
რა კარგია ფერი ვარდისა, ს
უყვარს **სიტყვასაც** მო
სხივი მხიარული მზისა, ტ
ეალერსება მის გულს მო
მთვარის შუქი, ათრობს მოკა
სამშობლოს ველი და ოცნებ
მუდამ თავს დასტრიალებს
ფალს ღიმილს, ნადიმს დაუსრ
ბელს, სიმღერას სიყვარულისას
კვეს სიკეკლუცისას; დღე-ღამე
ფიალება ვარდის გვირგვინით
კულს ასულს და მოუწოდებს
ზეამართულის ფიალით!

მერე რატომ არ იცინის?
ლხენა მისი? რატომ ემოყვრებ
დას, წამოუსხამს თალხი საბურ
ნაღვლიანია ხმა მისი, კალამი
და სუნთქვა კვნესაა გოდების,
ალის და ოხვრისა? რატომ ი
„გონება ჩემი დახშულია,
გაშრა, ოცნება მოკვდა,
ფიქრს ებრძვის განაწამები,
კლდესა ასქდება და გზა კი
უჭრია"? სად არის სიხარული ჩ

დამარხულია სიხარული ჩემი
რამ დღეს ახალი წელია, დღე
დისა და მკითხველს სალამი
მიუძღვნა, სალამი არა მწუხარე
არამედ გამხნევების და ნუგეშ
სახარებო და სალხინო... და
კარი, ძირს დავსწიე სარკმელის
და და წყვდიადი მოვფინე ო
დავხუჭე თვალები, დავადუმე
თა სმენა, მოვკვეთე აწმყო და
ნება ჩემი მივაპყარ მომავალს,
ვშორდი გარემოს და ვეთვისე
რეულს,

და ვიხილე სამშობლო სხვა,
მა სიმღერა უცხო ციური, გა
ჰიმნი მადიდებელი ერისა აღ
ლის; ჩემს წინ წარმოსდგნენ დე
და მამანი განახლებულნი, სიყ
ლით შემომხედეს ასულთა და
და შუბლი მათი შეემკო სიამაყ
გმირობას. აღარა სჩანდა შიში,
მკვდარიყო სული მონებისა, არ
იყო მლიქვნელი და მოღალატე,
ცემი და შემარცხვენელი.

ზეამიტაცა სიხარულმა, არა
დღიურმა. განათდა ოთახი
ყვავილებით შეიმოსა ჭერი
კედლები. სამოთხის სურნ
ბა მოეფინა ყველაფერს. ათ
და ღიმილი სურათების სახე
ამეტყველდნენ მკვდარი წიგნ
გამოცოცხლდა გაცივებული კ
და ათასფრად აყვავილდა ჩემი
ჭნარი თაიგული სიცოცხლით,
ტარებით, უკვდავებით აღივსო
გული და წმინდა ცრემლები ა
ცებისა მომადგა თვალზე...

მე მიყვარს ჩემი ერის მომავა
მე მრწამს ჩემი ერის მომავალი
სიცოცხლის ძარღვია, მაჯის
სულის თქმაა. მე ველი ამ მომავ
იგი მოვა; მოვა, რაც უნდა დ
დებული იყოს დღევანდელი ც
რება, რაც უნდა მიჩლუნგებ
იყოს ჩვენი გრძნობა, რაც
შეჯაჭვული იყოს ჩვენი ეროვნ
თვითშეგნება.

„დედა მიწა მაინც ბრუნავს"!
ნახლება მაინც იქნება! მაინც
ვსდგებით მკვდრეთით! ამის იმედ
გამარჯობა, მკითხველო!
სალამი, მეგობარო!

სიტყვ

ღესასწაულისა გამო „სახალხო ეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა აბათს, 3 იანვარს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ გუშინ „სახალხო გაზეთის“ რე ციის თანამშრომლებმა სახალ ო მილოცვა გაუგზავნეს სოხუმში ავადმყოფ მგოსანს ირ. ევდოშვილს.

◆ კიევის ქალაქის გამგეობამ ოვა ტფილისის გამგეობას მონაწილეობა მიიღოს ცნობილ მწერალ ჩენკოს ძეგლის აგებაში, რომელსაც კიევში დასდგამენ.

◆ სამედიატორო სამართალი გე ლიგანსის და გეგეჭკორს შორის თვე გათავდა. როგორც გვატყობინებენ, გეგეჭკორის მიერ წამოყენებული ყველა ბრალდება უარყოფილი იქნა. დაწვრილებით რეზოლუციას თავის დროზე ვაუწყებთ მკითხველებს.

◆ 6 იანვარს 1914 წ. ქართული თეატრის და ახალი კლუბის დარბაზში გაიმართება **ჩვეულებრივი თავად-აზნაურთა ბალი.** დიასახლისები: სტატს დამა კნ. ელისაბედ ხილოზის ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა და ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვრისა.

◆ დღეს ქართული დრამატიული სი სცენას „არსენას“ ალ. ყაზბეგისას. ხვალ, 2 იანვარს, დასდგამენ ლევანიშვილის ახალ პიესას „სი-თლე“.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალ **აკადემულის** დეკემბრის ნომრები ზრდილთათვის და მცირე წლოვანთათვის და ჟურნალ ხაკადულის [illegible] წლის საჩუქარი: [illegible] **ქეხი,** პარიკე ბიჩერ სტოუ, თარგმანი მ. კლდიაშვილისა. წიგნი მშვენივრად და სუფთად არის გამოცემული.

◆ რედაქციამ მიიღო **„სახალხო გაზეთის“** მე-53 ნომერი. მოთავსებულია წერილები კ. მოდებაძისა, [illegible], დ. ჩ—სა. ჩ. —შვილისა, ხ—სა დ. ლამბაშიძისა, მ. კაპანაძისა და სხვ.

◆ გამოვიდა სოხუმის ჟურნალი „ხუსხი“-ს საახალწლო ნომერი.

◆ [illegible] გიორგის [illegible] გორის ეპისკოპოსი **ანტონი.**

◆ დღეიდან კაზმულ ხელოვნების საზოგადოებაში გაიმართება [illegible] გამოფენა. გამოფენა მოთავსებულია ვერის [illegible] თავში ძველი-აზნაურის [illegible]. გამოფენილი იქნება როგორც რუსეთის ისე საზღვარგარეთის ხალხთა ხელნაწერები: [illegible] ბელგიისა, [illegible], დანიისა, [illegible], გოლანდიისა, [illegible], [illegible], [illegible], ინგლისისა, [illegible], [illegible], [illegible], და სხვათა. გამოფენაზე არის ნაწარმოები რუსეთისა, ამერიკისა, ბელგიისა, გერმანიისა, ავსტრიისა, [illegible] იტალიისა; შვეციისა, [illegible], საფრანგეთისა, შვეიცარიისა, ჩინეთისა და სხვა.

◆ 28 დეკემბერს მეფის მოადგილის სასახლეში(?) კრება მოხდა. საბჭომ, სხვათა შორის განიხილა ბექვლითი(?) ქის ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენება. ამ მოხსენებით ტფილისის კომიტეტი უნდა გადაკეთდეს კავკასიის კომიტეტად და ასეთი შემადგენლობაც უნდა გაადიდდეს. მოემატება სამი უფროსი წევრი და ერთი მდივნის თანაშემწე, რომელსაც წელიწადში 600 მანეთი დაენიშნება. კომიტეტის წევრებსაც ჯამაგირები გაუდიდდება. კომიტეტის თავმჯდომარეს დაენიშნება წელიწადში 5,500 მან. 5 უფროს წევრს —თითოს 3,500 მან. 2 უმცროს წევრს —თითოს 2,500 მან.; სტამბებისა და წიგნის მაღაზიების ინსპექტორს— 3,500 მან. და გზის ფულადაც 500 მ., მდივანს 1,600 მ. მის თანაშემწეს— 600 მან, კანცელარიისა და სამეურნეო ხარჯებისათვის—3,000 მან. ბინის დასაქირავებლად—1,500 მ. სულ კომიტეტის გარდაქმნას 20,000 მანეთი დასჭირდება. ასე რომ ხაზინამ წელიწადში უნდა გადასდოს სულ 39,200 მ.

საბჭომ ეს მოხსენება მცირეოდენის ცვლილებით მოიწონა.

◆ „ზაკ. რეჩ.“ სიტყვით ბაქოს ქალაქის თვითმმართველობას 1913 და 1914 წლების პირველი შესატანი თანხა უნდა გამოეგზავნა პოლიტექნიკუმისათვის დაპირებულ ფულიდან სულ 100,000 მან. როგორც ვიცით სულ აღთქმული ჰქონდა 500,000 მ., ეხლა გამოირკვა, რომ ბაქოს თვითმმართველობა ამ თანხას ვერ ჰგზავნის ამ მოკლე ხანში, რადგანაც ქალაქის ფინანსები ძლიერ ცუდ მდგომარეობას განიცდის და ფული სრულებით არა ჰქონია.

რაც შეეხება იმ 400,000 მან. რომელიც გადასდო ნავთის მრეწველთა საბჭომ, უკანასკნელს ეხლახან დაუდგენია, ეს ფული მისცენ მხოლოდ საძირკველის ჩაყრის შემდეგ და ნაწილ-ნაწილად. ამასთანავე თანხის რაოდენობა იმ თანხის 20% უნდა უდრიდეს, რომელიც უკვე იქნება დახარჯული. მაგალითად, როდესაც მთავარი კომიტეტი დახარჯავს 200,000 მანეთს, მაშინ ნავთის მრეწველთა საბჭო გაიღებს 40,000 და ამ წესით მიაწევდის აღთქმულ თანხას სანამ მთელი თანხას არ შეასრულებს.

◆ **ტოტომიანცის ლექცია.** საზოგადო კლუბში დანიშნულია დღეისათვის, საღამოს 8 საათზე.

◆ მოვაგონებთ სახლის **პატრონებს,** რომ სათანადო სამართველოში თავისი განცხადებანი უნდა წარადგინონ 1914 წლის 7 იანვრამდე.

◆ 28 დეკემბერს შეშლილობის დროს მესამე სართულის ფანჯრიდან (გუდაურის მისახვევ.) გადმოვარდა თ-დი **ს. მ. ბაგრატიონ მუხრანსკი** და ძლიერ დაშავდა. იგი საავადმყოფოში მაყვანისთანავე გარდაიცვალა. განსვენებული სარაჯიშვილის არყის ქარხანაში ბუჰჰალტრად მსახურებდა.

◆ **პროფესორი ივანე ჯავახიშვილი** ქართულს თეატრში, 7 და 8 იანვარს, **წაიკითხავს ლექციას „ეკონომიური სტრუქტურა და მდგომარეობა საქართველოში მე 17 და მე 18 საუკუნეში“.** სრული შემოსავალი გადაეცემა ქართულ საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებას.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 30 დეკემბერს მოხდა. საბჭოს განსახილველი ჰქონდა 14 საქმე, მაგრამ ყველა დასტოვა განუხილველი და შეუდგა ხარჯთაღრიცხვის განხილვის გაგრძელებას. განხილვამ ღამის 11 საათამდე გასტანა.

ქუთაისი.

◆ გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ცნობის წარდგენა ქალაქის საბჭოს ხმოსნების შესახებ ამ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში. ეს ცნობები 15 იანვრამდე უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც იხილავს არსებულ საქალაქო დებულებას. როგორც ქალაქის გამგეობის მიერ შეკრებილი ცნობებიდან სჩანს, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ხმოსანთა არჩევნები ხდებოდა ყოველთვის ერთ საარჩევნო კრებაზე, ფარული კენჭის ყრით; რადგანაც ერთ სხდომაზე ვერ ირჩევდნენ ხმოსანთა საკმაო რიცხვსა, დამატებით არჩევნები ინიშნებოდა. არჩევნები მომხდარა 1902, 1906 და 1910 წელში. საქალაქო დებულების ძალით, ქუთაისში უნდა ირჩევდნენ 60 ხმოსანს და 12 მათ კანდიდატს. ნამდვილათ კი აურჩევიათ: 1902 წელს 48 ხმოსანი, 1906—60 ხმოსანი და 4 კანდიდატი, 1910 წელს კი—მხოლოდ 43 ხმოსანი. 1902 წელს ქალაქის საბჭოში აურჩევიათ 27 ძველი ხმოსანი და 21 ახალი; 1906 წელს—27 ძველი და 33 ახალი. 1910 წელს კი—31 ძველი და 12 ახალი, ახლანდელ საბჭოს ხმოსანთაგან თითოჯერ ყოფილა არჩეული (ორი წლის ვადით) 10 კაცი; ორჯერ —17 კაცი, სამჯერ —5 კაცი, ოთხჯერ—სამი კაცი, ხუთჯერ—2 კაცი, ექვსჯერ—3 კაცი შვიდჯერ—1 კაცი და რვაჯერ (ე. ი. 32 წელიწადი ყოფილა ხმოსნად) —ორი კაცი. ესენი არიან დ. ნ. აბდუშელიშვილი და დ. ა. ნაზაროვი.

დ. ხონი.

◆ ხონიდან მიმავალ ორ დილიჟანს და ეტლს გუბის მახლობლად გუშინწინ დილით ყაჩაღები თავს დასხმიან. დილიჟნები და ეტლი მგზავრებით სავსე ყოფილა. მგზავრებ შორის ბევრი ხონელი ვაჭარი იყო. თავდამსხმელი სამი კაცი ყოფილა მათ პირისახე ყაბალახებით ჰქონიათ ახვეული. თავდამსხმელთა უცემიათ, ვინც ფულის მიცემაზე გაძალიანებია ძალიან ნაცემია სხვათა შორის ხონელი ვაჭარი ილ. ბალანჩივაძე. ნ. ნადარეიშვილისთვის ოთხასი მანეთი წაურთმევიათ. სულ ორიათას მანეთამდი წაუღიათ: გაუცარცვავთ მგზავრი ქალებიც. პირველად თავდამსხმელებს სროლა აუტეხიათ დაშავებული არავინაა. ეტლი თავდამსხმელებს რამდენიმე მანძილზე წაუყვანიათ. თვით გადმომხტარან ეტლიდან და წასულან, ხოლო ეტლი უკანვე დაუბრუნებიათ. გაცარცული ვაჭრები ბევრი უკანვე ხონს დაბრუნდა ეს ამბავი ქუთაისისა და ხონის პოლიციას ეცნობა. გაიგზავნა დარაჯები ქუთაისიდან და ხონიდანაც. ჯერ ვერაფერი ამოაჩინეს. დილიჟნებს წინად დარაჯი დაჰყვებოდა, ახლა კი აღარ დაჰყვება.

თელავი.

◆ ქ. თელავი. 5 იანვარს წ. კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობის მეთაურობით სკოლაში მოხდება კრება დამსახურებულ მსახიობ კ. დ. ყიფიანის იუბილეის გამო.

წ. კ. გამგეობა სთხოვს თელავის საზოგადოებას დაესწრონ ამ კრებას.

◆ 29 დეკემბერს მოხდა თელავის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. აირჩიეს სადეპუტატო საკრებულოს თანხების სარევიზიო კომისიის ერთი კომისიის წევრი თავ. მიხეილ დივითის ძე ჭავჭავაძე.

სიღნაღი.

◆ გამომცხვარი პურის ნიხრი სიღნაღში: 1-ლი ხარისხისა გირვანქა ღირს 5 კაპ. მე-2 ხარისხისა რუსულ-ადგილობრივ ფქვილისა—3½ ხოლო ადგილობრივი ფქვილისა 3 კ.

ახალქალაქი.

◆ **ხორცის ნიხრი.** ძროხის ხორცი ღირს გირვანქა 11 კაპ. სუკი—13 კაპ., ცხვრისა—12 კაპ. თხისა—10 კ. კამეჩისა—8 კ. ღორისა—15 კ.

საახალწლო წკიპურტები,

ანუ ჩვენებური გოზინაყი.

1 ტფ ქალაქის თვითმმართველობას.

ცარიელი კასა, შიგ სოლოლაკის გვირაბი და ხაფანგი ორფეხა თაგვების დასაჭერად.

2. ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას.

ფილთაქვა—წყლის სანაყავად, რამდენიმე მთვარე ქუჩების გასანათებლად, ღორები—სანიტარო ფუნქციების შესასრულებლად, ორჩოფეხები და ნავები—წუმპეებით გაშნოიანებულ ქუჩებში სასიარულოდ.

3. ბაქოს ქალაქის თვით-მმართველობას.

საკუთარი თავი.

4. ფოთის ქალაქის თვითმართველობას.

საფუთო გადასახადი... სესხი, სესხი და... ქაობი, ქაობი, ქაობი.

5. სიღნაღის თვითმმართველობას.

სადეზინფექციო კამერა აშმორებულ ჰაერის გასაწმენდად

6. ტფ. გუბ. თავად-აზნაურობას.

ყოველ სოფელში თითო პანსიონი, ყოველ ბავშვისათვის ორ-ორი „დიადკა“ და იმდენი პროგიმნაზია, რამდენი დესეტინა მამულიც მან მიჰყიდოს უცხოელს.

7. ქუთ. გუბ. თავად-აზნაურობას.

რამდენიმე რევიზია კოლეჟსკი რეგისტრატორების განკარგულებით.

8. ქართველ საზოგადოებას.

პორტლანდის დუღაბი შესაკავშირებლად.

9. ქართულ კრებების ორატორებს.

გოგებაშვილის „დედა ენა“, პირველი ნაწილი.

10. ქართველს მსახიობებს

პანაშვიდი შექსპირის და შილლერის სულთა მოსახსენებლად.

11. დრამატიული საზოგადოების გამგეობას

დრამატიული კურსები.

12. ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას

წლევანდელ დრამატიულ მდგომარეობიდან თავის დახწევა.

13. ქართველ ქალებს.

ქართული ენის თვითმასწავლებელი.

14. ახალგაზრდა პოეტებს.

სკოლაში შესვლა.

15. ზედგინიძეს და ჯაფარიძეს.

„ქართველ ბავშვების გულში რუსული ენის სიყვარულის ღრმად ჩანერგვა“.

16. ნ—ძეს.

ეთიკის სახელმძღვანელოს შედგენა და ჰაეროპლანი ცაში ეროვნული კულტურის „მოსაწყობად“.

17. ხატისოვს.

კამერგერის გასაღები და საახალწლო პროშტი.

18. არშაკ ბაბოვს.

კარლო ჩხეიძის სადარბაზო ბარათი და რქიანი რაშის ორდენი.

19. სიტყვა-კაზმულ საზოგადოებას.

იავ-ნანა.

20. ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოებას.

სიტყვები, სიტყვები, სიტყვები!..

21. ქართულ ბანკებს.

საანგარიშო მანქანა.

22. წერა-კითხვის საზოგადოებას და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

მილიონები ქართველ ქველმოქმედებისაგან.

23. ქალთა საზოგადოებას

გამგეობა.

24. „ზაკავ. რეჩს“

გაზეთ „ზაკავკაზიეს“ სიკვდილი.

25. „ზაკავკაზიეს“

გაზეთ „ზაკავ. რეჩის“ სიკვდილი.

26. ქართულს გაზეთს

მკითხველი, მკითხველი, მკითხველი!

საახალწლო ლექსიკონი

ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია—ორატორების წითელი ფარდა, რომლითაც ჩვენ დროში ქართველ მარქსისტებს აფრთხობენ.

ეროვნულ-კულტურული ავტონომია—საპნის ბუშტი, ნარიძის მიერ გამოგონებული.

ქართველი დასელი—მექანიკური ტიკინა უცხოელ მარქსისტების სათამაშო.

ადგილ-მამული—ის რაც ეხლა ჩვენ თავად-აზნაურობისათვის ისტორიულ მოგონებას წარმოადგენს.

ქეიფი და ფულის ფლანგვა—ქართველ თავად-აზნაურობის ხელობა.

დიადკები—ქართველ თავად-აზნაურთა ბავშვების აღმზრდელ-მასწავლებლები.

ქართული კრებები—ჩვენი დროის სოდომი და გომორა, სადაც ძაღლი პატრონს ვერა სცნობს.

ქართველი ორატორი—უსაქმო წევრი ყოველ კრებებისა. მათ მოვალეობას შეადგენს წამოხტნენ ყოველ წუთში და სთქვან რაიმე, თუნდ სისულელეც.

ქართველი საზოგადო მოღვაწე—ადამიანი, რომელიც ყოველგან არის, ყველაფერს ეღება და ვერაფერს აკეთებს.

ქართველი სამღვდელოება, რუსულად მწირავ მლოცავი მღვდელმსახურნი.

ქართველი ქალები—ქალები რომელნიც ბაბილონის გოდოლის დროინდელ ენაზე ლაპარაკობენ, ქართულს ყველაფერს თაკილობენ და უცხოელი ცუდიც კარგად მიაჩნიათ.

ქართული თეატრი—დაწესებულება, სადაც რეჟისორი, მსახიობნი, სტატისტები და ყველა სხვანი რუსულ ენაზე აზროვნებენ და ლაპარაკობენ, მხოლოდ წარმოდგენის დროს გამოუცნობ ენაზე ლაპარაკობენ.

ქართველი მსახიობი—რეცენზიებით მუდამ უკმაყოფილო მსახიობი.

ტრამვაი და წყალსადენი—მუდმივი სოლიდური საგანი ქუთაითურებისათვის.

ცემა ტყეპა—ჩვეულებრივი მოვლენა გაზეთ „ფიქრის“ თვალსაზრისით.

„ახალი კლუბი“—დაწესებულება, სადაც ძველებური საშუალებებით: ბანქოთი და ლოტოთი აცარიელებენ ქართველების ჯიბეებს.

სახალხო განათ. მოღვ. სრულიად რუს. კრება

24 დეკემბერს კრების სხვა და სხვა სექციამ-კომისიამ მუშაობა დაიწყო. წაიკითხეს მრავალი მოხსენება საპედაგოგიო სხვა და სხვა საკითხზე. ყველაზე უფრო შინაარსიანი და საგულისხმო აღმოჩნდა არა რუსთა სკოლების კომისიის სხდომა. სხდომამ ფრიად მრავალმნიშვნელოვანი მოხსენებანი მოისმინა. მთელი სხდომა უკრაინულ სკოლათა საკითხის განხილვას მოუნდა მოხსენება წაიკითხა იულჩმა „არა-რუსთა სკოლა და გარეშე წრე“ მომხსენებელი განსაკუთრებით შეეხო უკრაინის სახალხო სკოლას და აღნიშნა მისი ყველა უარყოფითი მხარეები. მომხსენებელმა სთქვა, რომ სკოლასა და უკრაინელთა ცხოვრების შორის კედელია ამართული. იგი არ შეეფერება ბავშვის ტრადიციებს, ოჯახს, ზნე-ჩვეულებას. რუსული ენით სწავლებას ბავშვის გონებაში შეაქვს არევ-დარევა; იგი ამახინჯებს მოსწავლის სულსა. ამის შედეგად ის არის, რომ ბავშვს ამგვარ სკოლიდან ვერავითარი ცოდნა ვერ გამოაქვს და დამახინჯებით კი მახინჯდება. სახალხო სკოლა უკრაინაში ჰკლავს ეროვნულ იდეას და ხალხზე არა ზნეობრივად ჰმოქმედებს. ადვილი წარმოსადგენია ის საშინელი ტრაგიზმი, რომელსაც განიცდის უკრაინელი მასწავლებელი; იგი გამოსულია ხალხიდან, ხალხის ფულით არის გამოზრდილი და იძულებული კია ჩჰკლას და დაახშოს ერის სული, მისი კულტურა. მომხსენებელს შემდეგი რეზოლუცია შეაქვს მსჯელობად: უკრაინელთა მიერ დასახლებულ ადგილების სკოლებში სწავლება სამშობლო ენით უნდა ჰწარმოებდეს, ველიკორუსთა ენა უნდა ცალკე საგნად ისწავლებოდეს, ისიც ოთხწლიან კურსის სასწავლებელში სამი წლის შემდეგ, როდესაც ბავშვს საკმაოდ კარგად ექნება გაკვეთილი სამშობლო ენა. სამასწავლებლო სემინარიებში უნდა გაიხსნას ცალკე განყოფილება უკრაინის სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებლად.

მეორე მომხსენებელმა ჩალიმ აღნიშნა, რომ რუსული ენით სავალდებულო სწავლების გამო უკრაინის მრავალ რიცხოვანი ერი თვის მშობლიურ ენას მოკლებულია, მოკლებულია იმას, რაც ერთი უძლიერეს იარაღთაგანია წინსვლა-განათლებისა უკრაინაშიო, სთქვა მან, სიტყვა „სახალხო სკოლა“ სასტიკ დაცინვად გაისმის, რადგანაც ხალხსა და ამ სკოლის შორის საერთო არაფერია, პირიქით, მათ შორის ღრმა უფსკრულია, ძალდატანებითი რუსიფიკაცია პედაგოგიურის მხრივაც ფრიად საზარელიაო. მისი მეოხებით ხალხი უვიცობას ვერ დაჰხწევია, ერის შემოქმედობითი ძალა ჩაკლულია. სკოლაში სცდილობენ ბავშვს შეაძულონ მისი ერი, წარსული; ბავშვში იბადება ზიზღი, სკოლისადმი, იგი ბოროტდება და მიეშურება ფაბრიკა-ქარხნებში, საცა მას მოელის ზნეობრივი დაცემა. სახალხო განათლების მოღვაწეთა კრებამ ხმა მაღლა უნდა გამოაცხადოს, რომ უკრაინის სკოლებში საგნების სწავლება უკრაინულის ენით უნდა სწარმოებდესო. მესამე მოხსენება წაიკითხა სოკოლოვმა; ამ მომხსენებელმაც იგივე ანორმალობა აღნიშნა უკრაინის სკოლებში.

მოხსენებებმა ცხარე კამათი გამოიწვია. მოლაპარაკეთა უმრავლესობამ აღნიშნა დიდი ვნება, რაც სკოლის ნაძალადევ რუსიფიკაციას მოაქვს.

ძლიერი პროტესტი და უკმაყოფილება გამოიწვია ვინმე შახვერდოვის სიტყვამ; იგი ამტკიცებდა სახელმწიფო ენის სარგებლობას სახალხო სკოლებში. მოლაპარაკე აიძულეს კათედრა მიეტოვებინა.

სიტყვები წარმოსთქვეს სხვა და სხვა ერთა წარმომადგენლებმა; ილაპარაკეს ქართველებმაც: ყველამ ერთხმად დაჰგმო რუსიფიკაცია სკოლებში.

ჯერ კამათი არ შეწყვეტილა.

მოწერილი ამბები

სოფ. მუხრანი (დუშეთის მაზრა). შობა ღამეს მუხრანის ახლად დაარსებულ სასწავლებელმა „ბაგა“-მ იდღესასწაულა „შობის ხე“. ჩვილმა ბავშვებმა მშვენივრად შეასრულეს სხვა და სხვა სიმღერები და დეკლამაციები. რო დამსწრენი ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ. აღსანიშნავია, რო ამ სასწავლებელში, დედაენაზე ანვითარებენ ბავშვებს. ამ ხნის ბავშვებს ასე განვითარებულებს სხვა სასწავლებლებში ვერ შეხვდებით.

დიდი მადლობის ღირსია კნეინა მუხრანსკისა, რომლის თაოსნობითაც დაარსდა ეს სასწავლებელი და რომელიც ასე გულმოდგინედ მუშაობს სოფლის საკეთილ-დღეოდ სხვა და სხვა დარგებში. აგრეთვე ბევრს შრომობენ ბატონი ვ. სილვეროვი და მასწავლებელი ქალი ფილავა.

შალვა მარინაშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო უფალ ივანე რატიშვილს და ე. თაყაიშვილს, რომელთაც არ დაიშურეს და თავისი წვლილი მოაწოდეს ძველად დიდებული წმ. სამების მონასტრის განსაახლებლად. ივანე რატიშვილმა შემოსწირა ერთი თუმანი და ე. თაყაიშვილმა ხუთი მანეთი.

პატივისცემით **არქიმანდრიტი ნაზარი.**

არეულობა სამხრეთ-აფრიკაში

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

კაპშტადი. გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა მატარებლის აფეთქებისა. გაფიცულნი წესიერების დარღვევას გაურბიან. ამის გამო სამხედრო წესებს არ გამოაცხადებენ. კაპშ[illegible] ნის გზის მოსამსახურენი, როგორც სჩანს, გაფიცვას არ ემხრობიან. ნატალში მუშებიც გაფიცვის საკითხში ორ ბანაკად გაიყვნენ.

პრეტორია. გაიმართა მიტინგი, რომელსაც 2,000 მუშა დაესწრო. მიტინგმა საყოველთაო გაფიცვის სურვილი გამოსთქვა.

იოგანესბურგი. 9,000 კაცის მონაწილეობით მიტინგი მოხდა. საერთო აზრი გაფიცვის სასარგებლოდ არის. მოლაპარაკეთა კილო ზომიერი იყო. ჰფიქრობენ, რენდში მობილიზაციის შემდეგ 12—15 ათასი კაცი იქნება შეიარაღებული.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

31 დეკემბერი.

უცხოეთი.

ვოლონა. ელბასინის მახლობლად ესად-ფაშას მომხრეებსა და ჟანდარმების შორის შეტაკება ხდება.

ცეტინიე. სკუპშჩინის არჩევნები მოხდა. მთავრობის პარტიის წევრი 46-ია, ოპოზიციისა—4.

პეკინი. რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით პარლამენტის ორივე პალატა დაითხოვეს. პრეზიდენტი, ხალხს განუმარტავს დათხოვნის მიზეზს და აღუთქვამს, პალატებს კვლავ მოვიწვევო.

ტოკიო. საკურამისის კუნძულზე ცეცხლის მდრქვეველმა მთამ ამოჰხეთქა. ქალაქი კაგოსიმა და ახლომახლო მიდამოები ცეცხლმა დაჰფარა

სოფია. ბულგარეთის სააგენტოს ცნობით, ტყუილია, ვითომც ბულგარეთის მთავრობა პარლამენტის დათხოვნას აპირებდეს.

ვალონა. ესად-ფაშას რაზმისა და ჟანდარმერიის ბრძოლაში, პირველი დამარცხდა.

პრაგა. გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დეპუტატმა კლოფაჩმა უგრორუსთა პროცესის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა. როცა რუსმა დეპუტატმა მარკოვმა, მოიწადინა უგრორუსთა პროცესის თაობაზე ლაპარაკი, მიტინგი გათავდა.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა დელკასეს ნაცვლად პეტერბურგში ელჩად დანიშნოს პალეოლოგი, რადგანაც დელკასე თანამდებობიდან გადადგომას აპირებს.

რუსეთი.

მინსკი. საოლქო სასამართლოში აღძრულია 100-ზე მეტი საჩივარი ებრაელებზე, რომელთაც ბრალდებათ შინადრობის ფარგლის გარეშე უკანონო ვაჭრობა.

პეტერბურგი. ქარბუქისაგან შეწყვეტილი მატარებელთ წესიერი მიმოსვლა განახლდა.

პეტერბურგი. უშინსკის სახელობაზე გაიხსნა მეორე კრება მასწავლებელთა ურთიერთად დახმარების საზოგადოებისა. კრებაზე 250 დელეგატი მონაწილეობს. კრების თავმჯდომარედ ზოლოტარევი აირჩიეს.

ასტრახანი. უცნობმა ბოროტგამზრახველმა მოჰკლა ორი პოლიციელი და დასჭრა მეეტლე. დამნაშავე შეიპყრეს.

ბელოსტოკი. დაიწვა მაუდის სამრეწველო ქარხანა ზარალი—200.000 მანეთია.

ვილნა. საადგილ-მამულო ბანკში აღმოაჩინეს 32.000 მანეთის გაფლანგვა ხაზინადარი საზღვარ-გარედ გაიქცა.

მოსკოვი. სულით ავადმყოფთა სამკურნალოების მოღვაწეთა საერთაშორისო მეოთხე კონგრესი დასრულდა. შემდეგი კონგრესი პარიზში მოხდება 1915 წელს. (გუშინ ეს დეპეშა შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი).

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ექიმი ზ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა **№ 2,** ტელეფონი 15—27. 1502

საამშენებლო და სამიწისმზომლო
ყოველ გვარ საქმეებს პირნათლად და ზომიერ ფასებში ასრულებს **სატეხნიკო ბიურო**
ნ. გ. ნიორაძისა
პუშკინის ქ. 27 ტელ. 15—02. 921

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავრ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 8 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 10 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4|3 საფოსტო 7 საათსა და 23 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ფეხსაცმელები თომა დ. ჯანუარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში

მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა. 855

ექიმ ნაგასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეხსაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნაგახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბუასხარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მ. გ. ბეგტაბანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აბავშვთ და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბეგტაბანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნაგახარდიანი.**

1004

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა „მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

უფლებიანი სავაჭრო სკოლა და

საბუღალტრო კურსები

ივ. ეს ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა

სკოლაში მიღება დაიწყება 8 იანვრიდან დილის 8 საათ.—2 საათამდე. 15 იანვრიდან კურსების მეცადინეობა 1-ლ ჯგუფთან იწარმოებს 2 საათ.—5 საათამდე. მე-2 ჯგუფთან საღამოს 7 საათ.—10 საათ. იქვე იყიდება სახელმძღვანელონი ბუღალტრიის შესწავლა შეიძლება აგრეთვე მიწერ-მოწერითაც. მიხეილის ქ. სახლი № 17. 905.

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

ს ა ქ ა რ ხ ნ ო მ ა ღ ა ზ ი ა მ

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად,** საზღვარ-გარეთ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსსოს და კომენსკის სურათებს.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ვალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრები, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის

„ხმა კახეთისა“-ზე

წელიწადი მესამე

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

ფოსტით გაგზავნა.		**სიღნაღში.**	
1 იანვრიდან წლის დამლევამდე	4 მ.	1 იანვრიდან წლის დამლევამდე	3 მ.
ნახევარი წლით	2 „ 25 კ.	ნახევარი წლით	1 „ 80 კ.
ერთი თვით	— 50 „	ერთი თვით	— 35 „

სოფლებში აგენტთან. ერთი წლ. 3 მ. 50 კ., ნახევარი წლ. 2 მ., ერთი თვით 35 კ. **ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

მისამართი: ქ. სიღნაღი К. І. Ткавадзе.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვებში



1523

1914 წ. იანვრიდან ტფილისში გამოვა ყოველ თვიური

სამეცნიერო ჟურნალი

„ჩვენი სიძველე“.

ჟურნალში დაიბეჭდება წერილები (სპეციალური და პოპულიარული) საქართველოს წარსულის შესახებ. ჟურნალი დასურათებული იქნება. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი წარსულის საუკეთესო მცოდნენი. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში. ჟურნალის ფასი წლიურად 7 მანეთი, რომელიც შეიძლება შემოტანილ იქმნას ნაწილობით—ჯერ 3 მან., და შემდეგ ოროლი ჟურნალი ცალკე ნომრობით არ გაიყიდება. ფულისა და კორესპონდენციისათვის **ადრესი:**

Тифлисъ. Высшіе женскіе курсы, Сергѣю Несторовичу Какабадзе.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ხოლო ქუთაისში „იმერეთის“ კანტორაში **ის. კვიცარიძესთან.**

1653 რედაქტორ-გამომცემელი **სარგის კაკაბაძე.**

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

სავაჭრო ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოიანისა

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი N 24—4, ტელეფ. 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის კურსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში და Pigi-ის (პარიზში), Muster Comtonში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.

საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუჰხალტერია (უბრალო, იტალიური გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო ა საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

ლექტორ-ბად კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა-მიღებულნი. გავხსენით სპეციალური ქალთა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით, და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების საქმოსგან. კურსები კარგ მოწაფეებისათვის ეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო. იმათგან 53 ქალი. რადგანაც მსურველი ბევრია, კურსებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია ქალთ გარედ მცხოვრებთათვის. 1628

მუდამ დღე მოგვდის ახალ-ახალი

თევზის მრეწველნი

მმ. ბ...

მეგველოვები.

მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი

აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა.

კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგილები** და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

საყმაწვილო წიგნები:

ყვავილთა შორის, წ.-კ. გამოც. ფასი	45 კ.
მამის ერთგული, „	15 „
სვიის გვირგვინი, „	15 „
მტრედი, „	10 „
მოთხრობანი, დ. კლდიაშვილისა,	30 „
საყმაწ. მოთხრობ., ე. გაბაშვილისა,	30 „
ბუს თავგადასავალი,	20 „
ბუნების მოვლენანი,	15 „
დონ-კიხოტი,	25 „
ხუმარა სპილოები,	20 „
კეთილი ძაღლი,	20 „
სოფელი კურთხეულა,	3 „
ცხოვრების გზა,	2 „
მოთხრობათა კრებული, ნათ. ყიფ.	3 „
ოქროს ფული,	2 „
ცხოველების გამგრიახობა,	25 „
ლომ-კაცი,	25 „

ცხოველები და მცენარენი ცხელ ქვეყნებში,

ახლად მიღებული სამეცნიერ. წ

Характеристики и воспоминанія, Г. М. Тумановъ,

Новая лингвистическая теорія Меликсетъ-Бековъ,

Къ вопросу о настоящемъ имени просвѣт. Грузіи, მისივე,

ქება თამარ მეფისა, ს. კაკაბაძე,

ქება დავით მეფისა, „

ხონის საჯდრის დავთარი „

საცისშლოს დავთარი, „

დიდი ალექსანდრე მეფის თარიღი,

მცნება სარჯულო,

მეფის კურთხევის წესი,

საეკლესიო რეფორმებისთვის,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველ**

საბუღალტრო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე ნება **კურსებზე, სწავლა 4 თვე გაგრძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან 1914 წ. კურსებზე სა ვალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავში რებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიურ ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორე პონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლება—პოლიტიკური ეკ ნომია; ანგარიშს ჩოთქზე და კალიგრაფია. არა სავალდებულოდ უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭდვას. მასწავ ლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი გა ნათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულ თათვის კურსებთან დარიგებულია დამატებითი მოსამზადებელი კლა სები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურ ველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორეს პონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებ კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიმართეთ კურსების დამაარსებელ

ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1634

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიურ საპოლიტიკო, საზოგადო საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ

„ბათუმის დღე“-ზე

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ი ს ფ ა ს ი

	1 წლით.	**½ წლით.**	**თვიურად.**
ქალაქის ხელის მომ.	7 მან.	4 მან.	1 მან.
სხვა ქალაქებში	8 მან.	5 მან.	1 მ. 20 კ.
საზღვარ-გარედ	14 მან.	8 მან.	2 მან.

მისამართის გამოსაცვლელად ბათომიდან სხვა ქალაქებში 1 მან. ქალაქიდან ქალაქში—50 კაპ.

რედაქციისა და კანტორის მისამართი: ბათომი, მარინის პროსპ. № 10

1610 რედაქტორ-გამომცემელი **ვლ. ვლ. სახნოვსკი.**

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის

საწყობში შემდეგი გამოცემანი:

ყუბანეიშვ. პირველდაწყ. დარიგ. სალვთ. სჯ. სწავლებაზე, ფ. ყდით	30
ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია „ „	40
ხუნდაძე. ქართული გრამატიკა. „ „	60
მისივე. მოკლე ქართული გრამატიკა „ „	20
ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა. „ „	20
რობაქიძე. სამშობლოს აღწერა. „ „	50
„გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო „ „	85
გერსამია მღვდ. ლოცვანი, „ „	10
დადეშიძე. წერის დედანი, „ „	25
კიტა აბაშიძე. ეტიუდები მე XIX საუკ. ქართ. ლიტ. შესახებ, „ „	70

აქვე იყიდება **ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები.** პროვინციის წიგნის მაღაზიებსა და სასწავლებლებს ეძლევათ დიდი შეღავათი. გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია **დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები **ძლიერ იაფად.** ამ ჟამად აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო „კარტოჩკები“ და კალენდრები 1913 წლისათვის.

ადრესი: Кутаисъ. Книжный магазинъ Т—ва К. Оцхели. 16

გრძელდება ხელის მოწერა ჟურნალ

„სასოფლო გაზეთზე“

24 ნოემბერს უკვე შესრულდა ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის.

წლიური ფასი ჟურნალისა 4 მან. ნახევარი წლის 2 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერად: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთი პირველ მაისისთვის.

მთელი წლის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრად ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით- Кутаисъ С.Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе. 1641

გამოვიდა და იყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.

განახვალე

ი. სარაჯიშვილის და ი. გრიშაშვილის სურათებით. ფასი 25 კაპ.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ [illegible]